652
1961/2

652/2

1

1961

65

საბჭოთა მეცნიერება

ეკონომიკა

ლიტერატურული-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების ორგანო

შინაარსი

ნ. გვარიშვილი — ლექსები 3
ნ. მალაზონია — ლექსები 5
ჯ. ჯაყელი — ჩრდილოეთის ციალი (მოთხრობა) 7
პ. რუხუა — ლექსები 16
მ. ვარშანიძე — ლექსები 17
ალ. ჩხაიძე — ქუჩა (მოთხრობა) 19
ლ. გელაძე — ლექსები 32
ლ. კვიცარიძე — სარეცელი (ნოველა) . . 34
რ. ჩხარტიშვილი — სასწაული! (ლექსი) . 40
ს. დემურხანაშვილი — პატარა ქალიშვილი (მოთხრობა) . . . 41
ა. ჩხაიძე — ჩემო აჭარავ! 47
გ. კაკიტაძე — მინიატურები 48
ი. ბერიძე — ლექსები 50
გ. ურუშაძე — სისხლიანი სურათი (მეომრის დღიურიდან) . 51
ე. მუჯირი — ლექსები 53
ე. ჰემინგუეი — კანარის ჩიტი ქალიშვილისათვის (მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნა გ. მაჭუტაძემ) 54

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ზ. ართილაყვა — ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ . . . 58
ნ. დუმბაძე — „არსენა მარაბდელის“ ზოგიერთი მხატვრული ხერხი . 62
დ. კოტმახიძე — მწვანე მშენებლობის გადაუდებელი პრობლემები 67

85-98

1

1961

იანვარი
თებერვალი

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკაცია

ალ. ჩავლეიშვილი—შალვა დადიანის ერთი კერძო წერილი 70

ლიტერატურული კალენდარი

პ. ჯორბენაძე—დიდი ხელოვანის ტრაგედია 72

აჭარის წარსულიდან

პ. ცქვიტარია—ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის აჭარაში 75

წიგნის თარო

ხ. ხალვაში—შეუდრეკელი პატრიოტი . 78
მ. სვანიძე—საინტერესო ანტირელიგიური წიგნი 80

სატირა და იუმორი

შ. შუბლაძე—სარეკელა (იგავ-არაკი) . . 81
ა. სამსონია—სტუდენტობა და სიყვარული (მოთხრობა) 82
ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ 1960 წლის ნომრების შინაარსი . . 94

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:
ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1, ტელეფონები—14-06, 13-35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა გვარიშვილი

ყოველ ახალ წელს

მეგონა ღამით ნისლებში ვიღაც
თეთრ-თეთრ ყვავილებს ფურცლებს აცლიდა
და ალიონზე სუყველას ერთად
ჩემს გასახარად ვზავნიდა ცოდან..
ვერ მოვიშორე ეს ბალღის ფიქრი,
ახლაც ის ვიღაც მეგულვის ცაში...
მაგრამ ეს რა ქნა?.. ყვავილთა ფიფქი
ჩამომაყარა სუყველა თმაში!

ფ ე ჩ ე

ძველად ჩადრის ქვეშ ქალებს პირბადე ფეჩე ეკეთათ.

თვალი არ მოგკრას ვინმემ,
ვაი თუ შეგიყვარდა!..
ხურავდა ქვეყნის სარკმელს
ერთი პატარა ფარდა.
ქალის ღიმილი მარტო
უნდა პირბადეს შერჩეს.

თვალებქუჟუნა რომ ხარ,
იცოდეს მხოლოდ ფეჩემ.
ახლაც გულსა მტკენს ბოლმა,
ვინ შეგითოკა ხელი
და ჩამოგკიდა თვალზე
ეს შავი საბურველი?

დედოფალი გამობრძანდა

დედოფალი გამობრძანდა,
ყველას რჩება თვალი.
ნურც შენ სტირი, ნურც გვატირებ,
თარინინა ნანი.
მთვარე გიცდის სახლის წინა,
დოლი-ზურნაც არის,
რაღას უცდით, დაუკარით
თარინინა ნანი.

ყმაწვილობა გრჩება შინა —
ნაწნავების ქროლვა,
ღედას კიდევ ჩაეხუტე,
აწი სტუმრად მოვა.
მაყრის ცხენი დაამშვენე
შენი ალვის ტანით,
გოგოებო, მიუმღერეთ
თარინინა ნანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწნავები

მთის ასულო, საქართველო გინდა მართლა დამიღუპო?
თამარ მეფეს თომარჯიღის ქვეშ ნაწნავი ჰქონდა ტყუპად,
ქეთევანი — მზე ველების ატარებდა თმებში იებს,
გახსოვს? ქართველ ქალობისთვის ნაწნავებით დაითრიეს.

შეხე წარსულს — მუზარადი გრეხილ ნაწნავს ველარ იტევს,
წყნეთელ გოგოს თმებზე აბნევს მეფე ცრემლის მარგალიტებს.
თმებზე მეტი სამკაული რა ჰქონიათ ქართველ ქალებს,
თავზე თმების გრეხილები ვაზებივით დაატარეს.

თმაგაშლილი დედაკაცი ყველასათვის იყო გლოვა,
მერდინის ქვეშ დალალ-კავი ქართლის დედამ დაგვიტოვა.

შენ კი, საით გადაჰყარე ქეთევანის ნაწნავები,
ზედ ეყარა წამებულის ცრემლიანი წამწამები,

ზედ ეფინა დასაფიცი თავლეჩაქი ცისებრ წმინდა.
სად გაქვს გიშრის დალალები? სიო ყვავილს ჩაგიწნიდა!

რუ ბაიებში

ჩამორუკრუკდა რუ ბაიებში,
ბაიებს უმღერს ტკბილ რუბაიებს,
თან გულს უტოკებს პატარა იელს
კორდზე ჩამომჯდარ ლურჯთვალა დებში.

გვირილა

ატამმა ვარდის ჩაიცვა კაბა,
გადმოიხედა მაღალ სერიდან:
თეთრმა გვირილამ პატარა ქოლგით,
ნეტავი საით გაისეირნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტორ მაღაზონია

დ უ მ ი ლ ი

ღამე ჩამოდგა, იცი როგორი?
ასე მეგონა, შენ დამაცქერდი.
ღამე ჩამოდგა, იცი როგორი?
შენს კაბასავით შავი ხავერდი.
ღამე ჩამოდგა ჩუმი და წყნარი,
სწორედ ისეთი, როგორც შენა ხარ.
გულში დაფარა მზის ნაპერწკალი
და შენც გასწავლა გულში შენახვა?
ო, ჩემო კარგო!

ღამის დუმილი
და შენახული დილის ღიმილი
მხოლოდ დილამდე დარჩება ასე.
შენ კი
არ იცი დილა-საღამო,
თითქოს ღამე ხარ დაუსაბამო
და ამ დუმილით სამსალას მასმევ.
გახსენი ბაგე შეუდარები,
მითხარი რამე, გემუდარები!

ზ ა მ თ ა რ ი

ქარი ქრის.
ო, ქარმა ცოტა ხნის წინათ
ფოთლები მოსტაცა ტყეს,
ღრუბელი აწვალა,
დაწურა წვიმად
და მერე შფოთავს და სტვენს.
ზამთარი.

თან მოჰყვა გიზგიზა ბუხარს,
ცივსა და ყინვების დროს,
თან მოჰყვა,
რომ თოვლის ზღაპარი უთხრას
უფოთლო ხესა და რტოს.
ბარშიც რა ულმერთოდ მოთოვა.
მაინც
არ ცხრება
და ისევ თოვს.
გული კი მოელის ვარდიან მაისს
და გაზაფხულის სიმღერას მთხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არ მოვკვდები

გაზაფხულს მზე და ყვავილი მოაქვს,
ღიმილს აფრქვევენ ატმის ტოტები.
ძლიერაც გსურდეს, ვერ მოშორდები,
ძლიერაც გსურდეს, ვერ დაღონდები...
არა, ყველაფერს თავისი დრო აქვს,
და გაზაფხულზე მე არ მოვკვდები!

ზაფხულის ცა და ღადარი მომწონს,
ზღვის სილურჯე და ზვირთის ციალი,
ალუბალი და მარწყვი ცვრიანი,
პურის ყანა და ველის ნიავი...
ჩვენი მცხუნვარე მზე დაილოცოს!
არა, ზაფხულში მე არ მოვკვდები!

სოფლის ბარაქა და სილამაზე,,
სიმინდის რძე და ვაზის მტევანი,
კალოს ლხინი და ღამის თევანი,
მაჭრის დუღილი და შადრევანი —
ვის არ მოხიბლავს შემოდგომაზე!..
არა, რთველის დროს მე არ მოვკვდები!

ქარბუქმა თოვლი დაყაროს ბარში
და მთები დასხდნენ დარბაისლებად,
დაე, საფლავზე თვლემდნენ ლოდები
და ტყის ქათამმა იფიქროს ფშანში —
ნეტავი მთა თუ გადაისვლება...
არა, ზამთარში მე არ მოვკვდები!

მეყო ჭირის და ვარამის ზიდვა!
ახლა ბედნიერ ჩემს სამშობლოში
უფრო ბედნიერ დღეს ველოდები!
და ვინღა მოწყვეტს ჩემს ვარსკვლავს ციდან!..
ო, არასოდეს, წლის არც ერთ დროში
არა და არა, მე არ მოვკვდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი

ჩრდილოეთის ციალი

მან პაპიროსი პირველად შეიძინა და კოლოფი ისე მოუხერხებლად გახსნა, რომ გამყიდველმა გაიღიმა და თავიდან ფეხამდე ჩაათვალიერა ეს ღაჟღაჟა, ნამდვილი მთის შვილი, რომელსაც მკლავებზე ფოლადის ფერი დაჰკრავდა და ტანადაც ფოლადურად ჩამოსხმული, მყარი აგებულებისა ჩანდა.

— მოგწონს?

ალიმ ღრმად ამოაბოლა, მაგრამ გული ვერ მოიოხა და თავის გაქნევით თქვა:

—სიყვარულით ნაკეთებია, მაგრამ... რბილია. მაგარ თუთუნს ვარ მიჩვეული.

— არაფერია, შეეჩვევი! — უთხრა გამყიდველმა. კარებისაკენ მიმავალს თვალი გააყოლა და ინატრა: მაგის მხარ-ბეჭი და შეძლება მომცაო.

ალი ცაცხვის ძირას, ძელსკამზე ჩამოჯდა.

ახლო-მახლო არავინ ჩანდა და უკვირდა, სად წავიდაო ხალხი.

მუშათა უბანი ასე დაცარიელებული არასოდეს ენახა. სკამს გადააწვა, ფეხი ფეხზე გადაიდო და პაპიროსის კოლოფს დააკვირდა.

ბიჭებმა ჩაიარეს და შესძახეს, მაგრამ მათთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. ის კოლოფზე რუსულ წარწერას უკირკიტებდა, მაგრამ არა ესმოდა რა და გაახსენდა, თუ როგორ გაწითლდა რუსი გოგონას წინაშე, რომელიც რუსულად გამოელაპარაკა და ვერაფერი გაუგო.

მოსაღამოვდა.

ახლოდან მოისმა სახელდახელოდ აგებული ელსადგურის გუდგუდი, ცაცხვის ფოთლებში ოქროსფრად გამოსცრა სხივები და მის გაკუთხულ, გაუპარსავ სახეს დაანათა.

ალის ნაცნობი ხმა შემოესმა, მიიხედა და მათი უბნის ბრიგადირი მოსე გვარამიძე იცნო.

— აქ რას აკეთებ, ალი?

— ვისვენებ. — მოკლედ მოსჭრა და პაპიროსის კოლოფი ღიმილით გაუწოდა.

— ოჰო! „ძიგარას“ დაანებე თავი? რავა დიდკაცურად აბოლებ!..

ალის ეწყინა ასეთი ხუმრობა და თავი დახარა. მოსემ გამამხნევებლად დაჰკრა ბეჭზე ხელი და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამოდი. სასეიროდ წავიდეთ მუშათა კლუბში.

ალი ზანტად წამოდგა და გაჰყვა.

— პირის გაპარსვა დაგვიწყებია, ალი!

— საპარსი არ მქონდა და...

კლუბს რომ მიუახლოვდნენ, ისეთი სასიამოვნო მუსიკის ხმა მოესმათ, ალის გულზე მოეშვა და, მის არსებაში თუ რამ მიძინებული იყო, გამოაღვიძა.

მუშებს ლამაზად ეცვათ, „საგარეოდ". ვიღაც კოსტუმიანმა ახალგაზრდამ ალის მეგობრულად გადასდო ხელი და თავისკენ მიიზიდა. ალიმ წამით ვერ იცნო ის, ვიღაც ინჟინერი ეგონა. მაგრამ დარბაზის სვეტს რომ გასცილდნენ და შუქი პირდაპირ სახეში მოხვდათ, ღიმილით შესძახა:

— ბიჭო, შენ კოტე ხარ?

— ჰო, მე ვარ, ვეღარ მიცანი?

— ასე გამოწყობილი არასოდეს მინახიხარ. ძალიან გშვენის ეგ კოსტუმი.

ალიმ ახლა უფრო იგრძნო მისი ჩაუცმელობა — ძველი შარვალი, გარღვეული ფეხსაცმელი... და თავი დახარა, მაგრამ ამ დროს კვლავ გაისმა საოცრად მიმზიდველი მელოდია და ალის ყველაფერი დააავიწყდა.

დარბაზს თვალი მოავლო. რამდენიმე წყვილი ცეკვავდა. ალის არასოდეს ენახა ასეთი ცეკვა და კოტეს გულუბრყვილოდ უთხრა:

— კაცო, ასე ჩახუტებული ცეკვა გაგონილა?

კოტეს გაეცინა და ჰკითხა:

— აბა შენ რას ეძახი ცეკვას?

— რასა და... განდაგანას, ხორუმს... კაცები ცალკე უნდა ცეკვავდნენ, ქალები — ცალკე. — და თავისი სოფელი გაახსენდა, სადაც არათუ ასე ჩახუტება, უბრალო გახუმრებაც არ შეიძლებოდა მეზობლის გოგოსთან.

— ის წყვილები, ალბათ, ერთმანეთის ნათესავები არიან! — დასძინა ალიმ და კოტეს გადახედა.

— არა, კაცო! ერთმანეთს არც კი იცნობენ... მამაკაცს ვინც სურს, იმას შესთავაზებს ცეკვას, ქალიც უარს არ ეტყვის, სირცხვილია.

ალიმ გულიანად გაიცინა. შემდეგ კოტეს დააკვირდა, ხომ არ მაბრიყვებსო, მაგრამ რაკი დარწმუნდა, მართალს ეუბნებოდა, ესიამოვნა. შემდეგ ჩაფიქრდა და წარმოიდგინა: აი, თითქოს გავიდა დრო, ხელფასი კაი ბლომად მიიღო, ახალი კოსტუმი შეიძინა, ცეკვა ისწავლა, სხვებივით თამამად მოვიდა კლუბში და... ვინც მოსწონს, იმას შესთავაზა ცეკვა... რა ბედნიერებაა?!

თავი ასწია და მოცეკვავეებს დააკვირდა. უცებ ერთი წყვილი შემოტრიალდა და... ასეთი ლამაზი ქალიშვილი ჯერ არ დაუნახავს ალის. ფეხის წვერებზე იწია და უნდოდა სულ ემზირა ამ ქერათმიანი, ტანლერწამა ქალისათვის, მაგრამ ისინი მოცეკვავეებს შეერივნენ და თვალს მიეფარნენ. ალიმ წინა რიგებისაკენ გაიწია, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ცუდად ეცვა, შერცხვა და უკანვე მიდგა. გული ქვეყნად დაუტეველი ნათელი სურვილებით აევსო, გაბრუვდა და კოტესკენ გადაინაცვლა.

— თუ ძმა ხარ, მართალი მითხარი, ვინც შენ გსურს, იმას გამოიწვევ საცეკვაოდ?

— ჰო-მეთქი, ხომ გითხარი!

— უარი რომ თქვას?.. სირცხვილს ვიღამ გაუძლოს!

— ფიქრი ნუ გაქვს. ეს განდაგანა ხომ არაა, კაცო!

ალიმ სიამოვნებით გაიღიმა. თვალები გაუბრწყინდა... თავისთავში რაღაც მტკიცედ გადაწყვიტა და გარეთ გამოვიდა. ასეთი ნათელი განწყობილება, მიზნები და სურვილები არასოდეს ჰქონია მას.

* * *

ალი მაღალმთიანი სოფლიდან გაიწვიეს აწჰესის მშენებლობაზე. მას თანასოფლელებიცა და მეზობელი სოფლის ახალგაზრდებიც ახლდნენ. ხალხი ყველა კუთხიდან შეგროვდა. მშენებლები და მებათქაშეები ერთ ბრიგადაში გაერთიანდნენ, შემდუღებლები — მეორეში, მნგრეველები და მელაღუმეები — ცალკე...

— შენ რა სამუშაოს შესრულება შეგიძლია? — ჰკითხეს კოტეს.

— მე სპეციალობა არა მაქვს, რასაც დამავალებთ, იმას გავაკეთებ.

ახლა ალის მიუბრუნდნენ:

— შენ, მთაკაცო?

— მე კოტესთან ვიქნები. რაც მაგას არა აქვს, ის არც მე მაქვს. — ასე უპასუხა, რადგან არ იცოდა რას ნიშნავდა „სპეციალობა".

გაიცინეს და კოტეს გვერდში ამოუყენეს.

კოტესა და ალის „სპეციალობის" ბევრი აღმოჩნდა. მათ ბრიგადირად მოსე გვარამიძე დაუნიშნეს, სამუშაო ცალკე უბნებად დაყვეს და ხალხი გაანაწილეს.

მოსემ მეტრნახევრიანი რკინის სატეხები და ურიები გამოიტანა. ბიჭებს ჩამოურიგა და ალის უთხრა:

— დაიჭირე ეს ურო. — და კოტეს სატეხი მიაწოდა. — თქვენ ინჟინრის მიერ მინიშნებულ ადგილას კლდეებს ჩახვრეტთ და ლაღუმის ასაფეთქებლად მოამზადებთ. აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, რამდენსაც იშრომებთ, იმდენს მიიღებთ.

ეს ბოლო სიტყვები რომ გაიგონა, ალიმ სადღაც შორს გაიხედა და გაიღიმა. თითქოს იქ ხედავდა: დედის საკაბეს, კალოშებს... თავისთვის — ტუფლებს, კოტეს რომ აქვს, ისეთ კოსტუმს, პერანგს, ოდა-სახლებში ჭრაქების ნაცვლად აბრიალებულ ელნათურებს... და ეს ყუათიანი კაცი რვაკილოგრამიან ურიოს ისეთი ხალისით დასწვდა, რომ მოსეს ულვაშებში ჩაეცინა.

გაჩაღდა მუშაობა. აქეთ მანქანები აზრიალდნენ, იქით სანგრევები ადაგდაგდა, ურიებიც ახმაურდა... „პლატინაზე" ბიჭებმა წყალს მხარი უქციეს და კაშხლის ჩაბეტონებას შეუდგნენ. ვინ ბათქაშს ამზადებდა, ვინ საარმატურე რკინის ღერებს მიათრევდა, ვინ კიდევ ბრიკეტს აწყობდა.

კოტეს მარჯვედ ეჭირა სატეხი და ურიოს ძალუმი დარტყმითა და სახვრეტის მონაცვლეებით სიღრმისაკენ მიიწევდნენ.

— დღეს რამდენ სალაღუმეს გავჭრით? — იკითხა ალიმ.

— ათამდე! — მოკლედ უთხრა და შეაგულიანა. — დაჰკარი, აგერ მოსე მოდის, შეგვხედავს და გაეხარდება.

— ვინ არის, კაცო, მოსე?

— ჩვენი ბრიგადირი. ვერ ხედავ რამსიმაღლეა?

ალიმ გაიღიმა და ძალუმად დაჰკრა.

მოსე გვარამიძეს მართლაც გაეხარდა მათი გულმოდგინება და შექება სცადა: სხვებიც თქვენებრ რომ მუშაობდნენ, ჩვენს ბრიგადას წინ ვერვინ დაუდგებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს ლაღუმების გუგუნმა გააყრუა იქაურობა. აჭარის ხევს ისეთი გუ-
გუნი პირველად ესმოდა. მთები შებარბაცდნენ, თითქოს გულიდან ამოაგდესო
დიდი ხნის ბოღმა, ფეხქვეშ გაიგდეს და ახლა გამარჯვებულის იერით ზემოდან
დასცქეროდნენ.

* * *

ალის და კოტეს მუშათა უბანში ერთი კარგი ოთახი მისცეს. ისინი მეგობ-
რულად ცხოვრობდნენ. კოტეს თავისუფალ დროს ღვინის დალევა უყვარდა,
ალის კი ყურძენი ერჩია. მალე ისინი ისე დაძმობილდნენ და დამეგობრდნენ,
რომ ორივეს მეტსახელი გამოუნახეს და ალიკოტე დაარქვეს. ყველაფერი ზი-
არი აქვთ და სახელიც ზიარი ჰქონდეთო.

— კოტე, მაი ჯემპრი არ გებრალება, სამუშაოზე რომ იცვამ?

— მაგის უკეთესი ერთი კიდევ მაქვს და ამიტომ შეველიე.

— მე რომ მასეთი ჯემპრი მქონდეს, საგარეოდ ჩავიცვამდი.

— ახლა რომ პირველ ხელფასს აიღებ, ჯემპრზეც გეყოფა და კარგ კოს-
ტუმზეც.

ალის ჩაეცინა.

— მაინც რამდენი გამოგვეწერება?

— ორას მანეთამდე ხომ ხელში გვაქვს! ცოტა უფრო ენერგიულად თუ ვი-
მუშავებთ, კიდევ მეტი გამოვა, მაგრამ მთავარი ისაა, საქვეყნო საქმე გაკეთ-
დება. — დამარწმუნებლად უთხრა კოტემ და სატეხი მოატრიალა. ალიმ მო-
წყვეტით დაჰკრა ურო და გაიფიქრა: ორასი მანეთი, ალბათ, მთელი წლის მან-
ძილზე არ შემოუვიდოდა მამაჩემსო, და დასაკრავად შემართული ურო მხარ-
ზე დაიდო. მერე კოტეს ჰკითხა:

— დღეს თოთხმეტ სალაღუმეს ვერ გავაკეთებთ? მოსეს ძალიან ეჩქარება,
იქნებ მალე გავუშვათ სინათლე.

— ჩვენზეა დამოკიდებული, მეტსაც გავაკეთებთ... მოსე რაა, ყველას ერ-
თნაირად გვაწუხებს საქმე.

ალის გაეხარდა და ურო მხრიდან ისე მოწყვეტით დაუშვა, სატეხი ლამის
გაიღუნა.

სადილისათვის რომ შეისვენეს, მოსემ სახარატოდან პირგაკეთებული სა-
ტეხები გამოიტანა და დაბლაგვებული შეცვალა.

გავიდა რამდენიმე დღე. ალი ისე შეეჩვია მუშაობას, სახლში წასვლა აღ-
არ აგონდებოდა. კვირაობით კინოში წასვლასაც ასწრებდა, ცეკვებზე შეჭვრე-
ტასაც და, თუ დრო მორჩებოდა, საბილიარდეში კედელს აეტუზებოდა და გუ-
ნებაში ფიქრობდა, „ვინ მოცლილმა მოიგონა ამ კოჭების გორებაო“. ყველაზე
უფრო მაინც ცეკვები აინტერესებდა და ოცნებობდა, თუ ვიქნები ისე ბედნი-
ერი, რომ ნადიასთან ვიცეკვოო. ამ ცისფერთვალა ნადიამ ხომ პირველი დღე-
ებიდანვე მოხიბლა და მოაჯადოვა. თუმცა ის ველარაფრით მოიგონა, იმ ღამეს
ნადია ვისთან ცეკვავდა. როგორც კი მისი სახე წარმოუდგებოდა თვალწინ, მა-
შინვე ოცნება გაიტაცებდა და ცდილობდა გოგონას ყურადღება რითიმე დაემ-
სახურებინა. აი ახლაც მოაგონდა იგი, უცნაური ქერა გოგონა...

და შემართული ურო ისე ძლიერად დაჰკრა სატეხს, რომ კოტეს კინაღამ
ხელიდან გაუვარდა იგი.

— ნელა, კაცო, მოზომილად და ხერხიანად დაჰკარი. ცარიელი ძალა რა ბე-
დენაა...

ალი წელში გასწორდა და ოფლი მოიწმინდა. მომავალი ქალ-ვაჟი შენიშ-
ნა და კოტეს ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მაგის პასუხია, მაგრამ... ვინ არის ის ორი კაცი, ჩვენსკენ რომ მოდის?

კოტემ სპეცტანსაცმელში ვაჟურად გამოწყობილი ინჟინერი ქალი ნადია სოკოლოვა და ბრიგადირი მოსე გვარამიძე იცნო.

ალი შეცბა. „ნუთუ ეს ნადიაა, თანაც ინჟინერი?“ ეწყინა, რომ ნადია ინჟინერი ყოფილა. მას უბრალო მუშა ეგონა და იმედი ჰქონდა არც ცეკვას და არც საუბარს ითაკილებსო ჩემთან.

ინჟინერმა და ბრიგადირმა ჩანახვრეტები გაზომეს და კლდეზე ცარცით აღნიშნეს, თუ სხვაგან სად და რა სიღრმეზე უნდა ჩაეხვრიტათ. წასვლისას ნადიამ თავით ფეხამდე ჩაათვალიერა ალი და გაუღიმა.

— შენ მოეწონე, ბიჭო, უბნის ინჟინერს. — გაეხუმრა კოტე.

— ეგ ნამდვილად ის ხომაა, მაშინ ცეკვებზე რომ იყო? არა, ინჟინერს მე არ მოვეწონებოდი.

— სისულელეა. მოეწონე! ჰა, დაჰკარი, დღეს ჩვიდმეტი სალაღუმე ჩავჭერით, საღამომდე ორს კიდევ მოვასწრებთ.

ალიმ უხალისოდ, დუნედ დაჰკრა ურო. ძალიან სწყინდა, რომ ნადია სოკოლოვა ინჟინერი ყოფილა. აბა, როდის იყო ინჟინერი და ისიც ისეთი ლამაზი, უბრალო მუშას კადრულობდაო. მაგრამ დიდი სინათლის მოლოდინში საქმეს გული მაინც დაუდო.

— კოტე, მაშინ ნადიასთან რომ ცეკვობდა, რა მოხელე იყო ის?

— კარგად არ მახსოვს, შოფერი იყო თუ მებათქაშე.

— რაო, მერედა მუშასთან ცეკვავდა?

— აკი გითხარი!

ალის გაეხარდა, გაეღიმა და კოტეს ორივე ხელით სწვდა ბეჭებზე.

— ა? თუ ასეა, დღეს ღვინოს მე დავლევ და შენ ყურძენი ჭამე.

— ერთიც გავიყოთ და მეორეც.

* * *

კოტეს გარდა არავინ იცოდა, რომ ალიმ თვის ბოლოს მიღებული ხელფასით კარგი კოსტუმი და ტუფლები შეიძინა, ხოლო დედას კალოშები გაუგზავნა, თანაც მისწერა, მალე მოგინახულებ და საზამთროდ შემასაც მოგიმზადებო. წერილმა და კალოშებმა ძალიან გაახარა დედა, მაგრამ შვილს მაინც ესაყვედურებოდა: შენს მეტი არავინ მყავს, შენც დამივიწყე და ამორჩეულ სარძლოზე უარი მითხარიო. დედას არაფერი არ აწუხებდა, გარდა იმისა, რომ სიკვდილის წინ ქმრის დანაბარები შვილს ვერ შეასმინა და პატარაობაშივე ამორჩეული სარძლო ვერ მოაყვანინა.

როგორც კი სალაღუმე სამუშაოებს მორჩნენ, ალი კარგ კალატოზს მიაბარეს მოწაფედ. ალიმ ჯერ ბათქაშის გახსნისათვის საჭირო ცემენტის, სილის და კირწყლის დოზები შეისწავლა, შემდეგ ქაფჩის ხმარების წესი, მაგრამ კალატოზი ჯერ მაინც არ აძლევდა ქვის დაშენების უფლებას, ალი კი ოცნებობდა ამ საქვეყნო მშენებლობაზე ერთი ქვა მასაც დაეშენებინა და სინათლის დამკვიდრებაში წილი დაედო.

ერთი თვის შემდეგ ალი გამოცდილი მშენებლის მეთვალყურეობით მუშათა დაბის ახალი საცხოვრებელი სახლის კედლის ამოშენებას შეუდგა.

* * *

ალიმ თითო-ოროლა რუსული სიტყვა ისწავლა, ცისფერთვალა ინჟინერთან აღარ დავმუნჯდებიო, მაგრამ შუბლზე სიმწრის ოფლი ასხამდა, როცა ზოგიერთ ქართულ სიტყვას პირდაპირ თარგმნიდა და უაზრობა გამოსდიოდა. არ-

ასოდეს დაავიწყდება მაღაზიაში „გუბნაია გარმოშკა“ რომ მოითხოვა და გამყიდველს გაეცინა... ჩემთვის არ მინდა, ბავშვები უნდა გავახაროო, იცრუა. ნამდვილად კი მუშათა კლუბში მოსმენილი მელოდია უტრიალებდა თავში და, სხვების უჩუმრად, სკამით ხელში ტანგოს ილეთებს სწავლობდა ჩაკეტილ ოთახში.

სამუშაოზე მოიკითხეს ალი. გამოუცხადებლობის მიზეზი ვერვინ ახსნა და ბრიგადირი პირდაპირ ალის ოთახს მიადგა. ალი ამ დროს სკამით ხელში ტანგოს სწავლობდა. კარებზე კაკუნი რომ შემოესმა, ეს ვეება კაცი კურდღელივით შეკრთა, აღარ ახსოვდა, როდის მივიდა კარებთან და გააღო.

ოთახში ბრიგადირი შეევიდა.

— გამარჯობა, ალი! სახლში ხარ, კაცო, შენ?!

ალიმ რაღაც გაურკვევლად ჩაილუღლუღა, მაგრამ სკამის დადგმა ვერ მოისაზრა. ბრიგადირმა ჯერ სკამს დახედა, მერე ალის გაუსწორა თვალი.

ალი სახეზე წამოწითლდა.

— ეს ისე... რაღაც არ ვარ კარგად, სიცხე მაქვს.

ბრიგადირი ვერაფერს მიხვდა. რა იცოდა, თუ ალი ავად არ იყო და სკამით ხელში ტანგოს ცეკვავდა, ან იმას როგორ იფიქრებდა, რომ კოტეს გარეშე ალიც არ წავიდოდა სამუშაოზე.

— დაწექი, ძმაო, ავადმყოფი სკამზე სად გაგონილა! მე ახლავე ექიმს გამოვგზავნი. — თქვა და წავიდა.

ექიმის ხსენებაზე ალი კიდევ უფრო დაიბნა. აღარ იცოდა რა ექნა. ბოლოს, ოთახიდან გამოიჭრა და მშენებარე სახლისაკენ გაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ კოტე დაბრუნდა სოფლიდან და დაღლილ-დაქანცული საწოლზე გაიშხლართა. პაპიროსი ბოლომდე არ მოეწია, რომ კარებს ექიმი გოგონა მოადგა.

— თქვენი მისამართი მომცეს... ეს რა არის, არც ავადმყოფობაში ეშვებით პაპიროსს?

კოტე დაიბნა. სახეზე გაკვირვება და კმაყოფილება გამოეხატა ლამაზი ექიმის სტუმრობით, წამოიჭრა და სკამი შესთავაზა.

ექიმი მაჯას უსინჯავდა. კოტე წითლდებოდა. შემდეგ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, მაჯა წაართვა, კარადასთან მივიდა და... მაგიდაზე გაჩნდა ხილი, ჩურჩხელები, ღვინო, მოხარშული... უნდოდა გულითადი მასპინძლობით ესიამოვნებინა სტუმარი, მაგრამ ექიმს სხვა ავადმყოფთან მიეჩქარებოდა.

— მოეშვით მაგას და მითხარით რა გაწუხებთ.

— რა ვიცი, ხანდახან თავი მტკივა ხოლმე... — იცრუა კოტემ.

— გაიხადეთ და წამოწექით, პაპიროსი არ მოსწოთ. აი ეს ტაბლეტები მიიღეთ...

* * *

„პლატინის“ მუშებმა წყალი მოიმწყვდიეს და კალაპოტის ძირითადი ნაწილი ასწიეს, რომ აკვედუკისა და გვირაბის დონემდე გაეთანასწორებინათ. სადღაც თხმელებისაკენ გადაგდებული წყალი შევიწროებულ, თავდახრილ ფალავანივით მიდიოდა, ხოლო მის მარცხენა მხარეს რკინაბეტონი რკინაბეტონს ადუღდებოდა და შენდებოდა მარადიული სინათლის სასახლე. ქვევით, მეორე უბანში კი მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს ზესადინარი აერთებდა და თვალშეუდგამ კლდეებს უსწორდებოდა. როცა ამას უმზერდა, ალის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, მაგრამ არაფერი არ აკვირვებდა, გარდა იმისა, რომ ინჟინრებმა კლდის ორივე მხრიდან დაიწყეს სადინარის გაჭრა და მილიმეტრის

სიზუსტით გაიყვანეს გვირაბი. მალე ირგვლივ გამოაცემენტეს, რომ რკინაბეტონის არტახებში მოექციათ დასაბამითვე თავის ნებაზე მიშვებული აჭარის წყალი.

ალიმ ბედნიერად ჩათვალა თავი, რომ სახლის მშენებლობაზე დაოსტატების შემდეგ სადინარ გვირაბზე გადაიყვანეს. თითქოს დასერიოზულდნენო, ალი და კოტე ოხუნჯობას მოეშვნენ და მშენებლის დიდი პასუხისმგებლობით დადინჯებულნი სულ საქმეზე ლაპარაკობდნენ.

— არაფერი ისე არ მიკვირს, კოტე, როგორც ამ ინჟინრების სიზუსტეხედავ, ერთი კილომეტრის მანძილზე საპირისპირო მიმართულებით კლდე გახვრიტეს და ერთმანეთს ზუსტი რადიუსით მიადგნენ. რა ერქვა იმ ინჟინერს, თავისთავში რომ დაეჭვდა და...

რადიუსის ხსენებაზე კოტეს გაეღიმა, უსწავლიაო ეს სიტყვა.

ალიმ წუთით ინჟინრობა ინატრა. ნეტარმა ოცნებებმა გაიტაცა, მაგრამ მეგობრის ჩურჩულმა ამ ოცნებიდან გამოიწვია.

„შეხედე, ბიჭო, ნადია მოდის, ნადია!..“

ალი წამოიჭრა.

ინჟინერი მოახლოვდა, ჯერ ჰიდროცემენტის დამჭერუნარიანობა შეამოწმა, შემდეგ შებათქაშებულ კედლებს დააკვირდა და თქვა:

— ყოჩაღ, მეგობრობაც შეგიძლებიათ და შრომაც.

ბიჭებმა ერთმანეთს ჩაუღიმეს. ალიმ თითქოს გამბედაობა მოიკრიბა და ინჟინერს მიმართა:

— მართალს ბრძანებთ, მეგობრობაც შეგვიძლია, შრომაც და... სიყვარულიც.

ნადიამ ალის შიშველ კუნთებს შეავლო თვალი, მერე გაიღიმა და მებათქაშეებს ჩაუარა.

ალი თითქოს ცეცხლზე დაიბუგა, ისე ჩასწვდა სადღაც გულის სიღრმეში ცისფერთვალა ქალის ეს ღიმილი.

* * *

„მუშათა კლუბში — დიდი საღამო“, იუწყებოდა მოზრდილი აფიშა.

შეღამდა. კლუბის ფოიე და დარბაზი ხალხით აივსო. გაისმა ორკესტრის ხმა და ტანგოს დინჯმა მელოდიამ ჟრჟოლა მოჰგვარა ალის. კოტეს აინტერესებდა, იცეკვებდა თუ არა იგი.

— ისე გშვენის თეთრი პერანგი და ახალი კოსტუმი, ალი, პირდაპირ გხატავს, აი! ახლა, რა თქმა უნდა, იცეკვებ!

ალის სიამოვნებისაგან გაეღიმა.

— რას იზამ, იცეკვებ?

— ვიცეკვებ, ოღონდ ნადიასთან — ვერა.

— რატომ, კაცო? — გაიკვირვა კოტემ.

— უარი რომ მითხრას?

— სისულელეა! მიდი, მორჩილად დაუკარი თავი და გამოიწვიე.

— რომ არ გამომყვეს, დარდს ვეღარ გადავიტან. ძალიან მიყვარს და არ მინდა გული გამებზაროს. ხომ იცი, ინჟინერია, მე კი... უბრალო მუშა.

— სიყვარულმა ეგ არ იცის... რაკი მოვიდა, იცეკვებს.

ალის პასუხიც არ გაეცა, რომ აირჩიეს „საღამოს დედოფალი“ და გამოაცხადეს ეგრეთწოდებული „ქალთა ტანგო“, როცა მამაკაცები კი არ იწვევენ ქალებს, არამედ ქალები — მამაკაცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტეს ბიბლიოთეკარმა გოგონამ შესთავაზა ცეკვა. არავის შეუნიშნავს, თუ ლამაზი ექიმი როგორ შეიშმუშნა, როცა კოტესთან ცეკვა ასცილდა.

არ გასულა წამი და... ალის ქერათმიანი ნადია მიუახლოვდა და ცეკვა შესთავაზა.

ალი მებრძოლივით წამოიჭრა და დაბნეულად გაიღიმა, მაგრამ ნადიამ ხელი ჩაჰკიდა და ცენტრისაკენ გაიწვია.

— მე ძალიან ცუდად ვცეკვავ, ნადია! — თქვა ალიმ და წელსა და მკლავში გაუბედავად წვდა.

ნადიამ მისი გამხნევება სცადა.

— აი მასე, სწორედ მასე... ოღონდ რიტმიდან არ ამოვარდე... ტანი სწორად დაიჭირე, ბეჭებში გაიმართე... ხელიც უფრო მაგრად მომკიდე.

ალის თვალწინ უეცრად მოგონებებმა გაიელვეს: სამუშაოზე მოსვლის პირველი დღე, სოფელი, დედა, სოფლის ბიჭები... და გაიფიქრა, „როგორ შორსა ვარ გუშინდელი დღიდან...“

— ალი, შენ რაზე ფიქრობ ახლა?

— ყველაფერზე... იმაზეც, რომ შენი თვალები ჩემთვის ჩრდილოეთის ციალია!..

— ოო, კომპლიმენტიც შეგძლებია. რას გეძახიან შინაურულად?

— რა ვიცი, ალიას!..

— ალია რაა, ალბათ, — ალიოშას.

ამ საუბარში ვიღაცას მხრით დაეჯახნენ და შემობრუნდნენ. ალის ფეხი აერია და დათვივით აბაჯბაჯებულმა ქალს ტერფზე ისე მწვავედ დააბიჯა, რომ თვალებიდან ლამის ცრემლები გადმოაყრევინა.

ისინი წრიდან გავიდნენ.

ალი სირცხვილისაგან იწოდა.

ნადიას გაბუქებული თითები რომ მოუთბა, კვლავ საცეკვაოდ გაუწია გულმა. მაგრამ ალიმ დაითანხმა და... ჩანჩქერისაკენ გაისეირნეს. შემდეგ სახლამდე მიაცილა ლამაზი ინჟინერი, ხელზე აკოცა და უთხრა:

— ნახვამდის, ნადეჟდა, ჩრდილოეთის ციალო...

— ოო, ისევ კომპლიმენტი... ნახვამდის, ალიოშა!

ალი მობრუნდა და სიამოვნებით მთვრალი სახლისაკენ წაბარბაცდა.

* * *

კედლები ამოიყვანეს და ბათქაშის დიდრონი ამობურცული ასოებით წააწერეს „აწჰესი“. კირწყალში ამოსვრილი ტანსაცმლით ხარაჩოდან გადმომდგარ ალის სიყვარულით უმზერდა ნადია და რწმუნდებოდა, რომ ნათელი ფიქრებითა და იმედებით სავსე ალი ამ ქვეყნად ყველაზე მაღალი იყო.

— ამ ღელეში ეს რა ააშენესო. — იკითხა ერთმა თეთრწვერა მოხუცმა, რომელიც დარახტულ ცხენზე იჯდა და ცხენებისავე ჯოგს მიერეკებოდა საზამთრო საძოვრებზე.

— ელექტროსადგური, — უპასუხეს. მოხუცმა ურწმუნოდ გააქნია თავი და ცხენს მათრახი მოუქნია. ალიმ მიმავალ მოხუცს მოურიდებლად მიაძახა:

— აქეთობას რომ ამოივლი, ზოგიც მაშინ გავიცინოთ, მოხუცო.

ნათელი დღე იდგა. საამოდ უბერავდა ხევის ნიავი. ფოთლების შარიშური ინთქებოდა მახუნცეთის კლდიდან გადმონაქუხი ჩანჩქერის ჩხრიალში.

მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. „აწჰესის“ გახსნის დღეებში მუშებს ახალი ბინები მისცეს და დაამკვიდრეს. ეს პარტკომის მეცადინეობითაო, თქვეს და ერთმანეთს ახალი ბინები მიულოცეს.

ალის ძალიან მოუნდა დედის მონახულება... სურდა გაეგო, დაბაში დარჩენილიყო, სადაც შესანიშნავი ბინა მისცეს, თუ სოფელს დაბრუნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საღამოს დედასთან გაემგზავრა. სოფელში ასვლამდე სულ იმას ფიქრობდა, გაემხილა თუ არა ნადიას ამბავი.

— ცოლი უნდა შეირთო, შვილო, მაგრამ იცოდე, სოფელში სხვას ვერავის მოიყვან, გარდა იმისა, ვისაც გაძალებენ, თორემ სამძახლოები შეგვიძულებენ.

ალი დედას პატივისცემისათვის უსმენდა, თორემ სულაც არ სიამოვნებდა ამგვარი საუბარი.

— რას იზამ, შვილო, გადაჭრით მითხარი.

ალი ჩაფიქრდა. შემდეგ თითქოს გამოსავალი ნახაო, წამოდგა და დედას ალერსიანად უთხრა:

— დაბაში მალე დიდი ზეიმი გვექნება, დაგვესწარი და... მერე გადავწყვიტოთ.

* * *

დიდი სიფრთხილითა და სიზუსტით დაამონტაჟეს ტურბინები და დანადგარები. მაღალი ძაბვის ხაზები გაიყვანეს, სახლებსა და ქუჩებში ნათურები ჩამოჰკიდეს...

დაბა სტუმრებითა და მშენებლებით აივსო. ინჟინრები მასპინძლებივით ტრიალებდნენ და მიტინგისათვის ემზადებოდნენ.

იქვე, თამარისეულ თაღიან ხიდზე შემდგარიყო ფოტოკორესპონდენტი და მოზღვავებული ხალხისა და ახალმშენებლობათა გასამზირებს ბეჭდავდა ფირზე.

მაღალი მოსე მთავრობისაგან გამოგზავნილ გარდამავალ დროშას მოაფრიალებდა.

ალი დედამისს ვერ ამჩნევდა, ნადიასთან იდგა და აღარ იცოდა მერამდენჯერ ეჩურჩულებოდა ერთსა და იმავეს:

— შენი თვალები ჩრდილოეთის ციალია, ნადეჟდა...

ლენტი გაჭრეს და იქაურობა ტაშის გრიალმა გააყრუა. ნათურები აკაშკაშდა და ხევში პირველად ჩადგა დაუშრეტელი ნათელი.

— ეს ყველაფერი ინჟინრებმა გააკეთეთ, ნადია! — სასოებით უთხრა ალიმ და ხელი მოხვია.

— ეს ყველაფერი მუშის მადლიანმა ხელმა გააკეთა, ალიოშა! — უპასუხა ნადიამ.

იქაურობის ერთბაშად აკაშკაშებამ და სიყვარულის დიდმა ნათელმა ნეტარებით გააბრუა ალი. იგი ვერ ამჩნევდა დედას, რომელიც თვალს არ აცილებდა შვილს და ფიქრობდა: „ნუთუ იმსილამაზე ქალი მეგობრად გაიხადა ჩემმა შვილმა“.

ნადია სიამოვნებითა და ბედნიერებით ავსილიყო და ალის გვერდით ნაბიჯაწყობილი მიდიოდა გაჩირაღდნებული ქუჩით. დედა კი... ერთხანს შორიახლო უყურებდა მათ, ბოლოს, გულმა ვეღარ მოუთმინა, ხალხი გაარღვია და ახალგაზრდებისაკენ გაეშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარმენ რუხუა

რუხის ბრძოლა

სამეგრელოს რომ შემოესია
რუხის ციხესთან სულთანის ჯარი,
იმ დღეს ჩიჩუამ ისე იბრძოლა,
რომ ახმიანდა ბესიკის ქნარი.
ეკატერინეც იქ იყო ცხენით,
ის ჯარს უძღოდა, ვით დედოფალი!
ომარ ფაშას ვერ წარმოედგინა,
თუ მას ბრძოლაში დაძლევდა ქალი.
ზურგი უჩვენა მტერმა კოლხელებს,
იმათ გულს სევდის მოედვა ჟანგი!
ძმა ულოცავდა ძმებს გამარჯვებას
და მქუხარებდა პოეტის ჩანგი!

გუბაზოულთან

გუბაზოულთან გამეხსნა წყლული
და მომაგონდა ის დიდებული,
ვინც ამ მდინარის ატარებს სახელს.
იქ შრიალებდა ტოტი ჩინართა,
წარსული ისე გაუჩინარდა,
რომ საიდუმლოს ვერ მოფენ ნათელს.
რამ მიაყენა მის სახეს ჩრდილი,
ნუთუ ყველაფერს ჭამს ასე ჩრჩილი?
მასზე რატომ სდუმს მემატიანე?
ვინმემ ამ წყვდიადს ფარდა ახადე,
თვალდასანახი იგი გახადე
და ღამე სხივით გაგვიმზიანე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია ვარშანიძე

ფერად-ფერად მდელოში

ო, ამ სახლ-კარს არ შეხედავს მგზავრი?!
აქ სტუმრობას ინატრებდა მეფეც.
ერთი ნახე მისი ვრცელი ზვარი,
ცოვცოველა წყაროები ჩქეფენ.

მასპინძელი ბერიკაცი წყნარი,
ტკბილ მამულში გულით ჩანაკორძი,
რომ გვხვდებოდა ხან ღვინით და წყალით,
ცა-ფირუზის ერთი დედაბოძი,

სად წასულა, რომ აღარ ჩანს არსად,
გამომხედე, კაცო სანატრელო!
ვინ მომძახის: — ის გაუდგა გზასა,
მიეფარა ფერად-ფერად მდელოს.

გააყოლე თვალი დაბლარ ვენახს,
სამი ვაჟი შიგ ჩამდგარა... ხედავ?!
აგერ ფურცლავს ბიჭი „დედაენას“,
ის ნაწნავს, რომ ხელზე დაიხვევს და,
თითქოს შლამი-მტვერი ეცხოს, ფერთხავს,
ის ბიჭი, რომ მოგაგონებს მერცხალს.

ო, რამდენი ჩამოვთვალო, გითხრა,
დავულოცოთ ამ ტკბილ ოჯახს ფუძე...
ვინ არიან? ნუ იფიქრებ დიდხანს,
ბერიკაცის გულზე ქვები თუ ძევს,

აჰა, მისი ნაშიერნი, მკვიდრნი...
ჰე, მამულო ასე საყვარელო,
არ ჩაქრება ცად მთიები შვიდი,
არ დაჭკნება შენი მწვანე მდელო.

85928

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადიოდეს ბუხარს ცხელი კვამლი,
ნაპერწკალმა ცისკენ გაიელვოს...
ჰე, რა ვუყოთ, თუ კი ბერიკაცი
მიეფარა ფერად-ფერად მდელოს.

მ თ ე ბ ი

ო, თოვლიანი მთები ამაყი,
ეპარებიან ნისლები ხოხვით.
მთაო, სად არის შენი ვარაყი?
კვლავ გამობრწყინდი, ვით ყელი ხოხბის.

ჩავცქერ, ჩავყურებ საშიშ წარაფებს,
ჰაუ, გაღმა მთის მკერდი მოშვავდა,
თითქოსდა უცებ გული წამართვეს,
თითქოს ვიღაცამ მომკლა, მომშანთა.

შემეშინდაო?!
ო, არა, გფიცავ,
ჩემი სიკვდილი რა არის, აბა! —
მე იმას ვდარდობ, ღაღანა მიწავ,
თუ ჩაგიბღოტავს შვავები კაბას,
დარჩები რიყის, ლოდთა ამარა,
შენ გაზაფხული აღარ ჩაგიხვევს,
დაშლილ-დაშაშრულ მკერდს ვერ დამალავ,
მე კი დარდები გულპირს ჩამიხევს.

ამიტირდება ჩემი ბულბულიც,
რომ შენ დაკარგავ მარად მშვენებას,
ასე მგონია, მამულ-დედული
ამიოხრდება, გადაშენდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩხაიძე

ქ უ ჩ ა

ოთახში სიჩუმეა.

მე მარტო ვზივარ ფანჯარასთან და გავყურებ ქუჩას.

ოთახში სიწყნარეა, გარეთ კი გაზაფხული ხმაურობს, თუმცა ეს არ მესმის, რადგან ფანჯარა მჭიდროდაა ჩაკეტილი. მაგრამ მე ვგრძნობ ამ ხმაურს მზის სხივების კაშკაშში, ქუჩაში მოსიარულე ადამიანების სახეებზე, ფოთლების შრიალში...

ეს ქუჩა საოცრად ნაცნობი და ბავშვობიდან შეზრდილია ჩემთან. ფანჯრიდან ვხედავ ორი ქუჩის გადაკვეთას. კუთხეში სასურსათო მაღაზიაა. მის გვერდით პატარა ეზო და ერთსართულიანი ბელეტაჟი. ეს სახლი გუშინწინ შეღებეს ვარდისფრად და ტროტუარს ახლაც ემჩნევა მოთეთრო ლაქები. ვხედავ აგრეთვე მწვანე გაზონს და ფინიკურ პალმას. გაზონის თავში აფიშების ქვის მრგვალი ბოძია. მას ზემოდან ელექტროსაათი გადმოსცქერის. საათი ხან მუშაობს, ხან არა. დღეს, მაგალითად, მუშაობს და ახლა უჩვენებს თორმეტის ნახევარს. პალმის ჩრდილქვეშ თავისი ბარგი-ბარხანით მოკალათებულა ფეხსაცმლის მწმენდავი ასირიელი ბიჭუნა.

ეს არის და ეს! ასეთნაირად მახსოვს ეგ კუთხე ხუთი, ათი, ოცი წელია. თითქოს არაფერი შეცვლილა, მხოლოდ ეს კია, აფიშების გასაკრავი ბოძი ბავშვობაში უფრო ლამაზი და განიერი მეჩვენებოდა.

ჰო, კიდევ მე ვხედავ ერთმანეთზე მიჯრილ შენობათა სახურავებს, კრამიტით, შიფერით, თუნუქით დახურულ სახლებს, რომლებიც ჰქმნიან სულ ახალ და ახალ ქუჩებს, ახალ უბნებს. და კიდევ ვხედავ, მოლურჯო, უღრუბლო სივრცეს, რომლის ფონზე ზოგჯერ ზღაპრული ურჩხულივით გამოჩნდება და ისევ მიიმალება კოშკურა ამწის ზეაშვერილი ხორთუმი. მე ვერ ვხედავ იმ კაცს, ვის მარჯვენასაც მოძრაობაში მოჰყავს ეს ძლიერი, ჭკვიანი მანქანა, მაგრამ ვიცი, აქედან სულ ახლოს, ამ ქუჩის გადაღმა აგებენ კიდევ ერთ დიდ სახლს და, ხვალ თუ არა ზეგ, მშენებლები იმ სიმაღლეზე აიყვანენ კედლებს, რომ ჩემი ფანჯრიდანაც დავინახავ მის ხარაჩოებს.

მშენებლები მალე, ალბათ, ჩემს ქუჩაზეც მოვლენ, კოშკურა ამწიც მორახრახდება აქ. შეიძლება დაინგრეს აი ის ძველი ბელეტაჟი და მის ადგილას აიგოს ახალი, გაცილებით უფრო დიდი და ლამაზი შენობა. მაშინ აქაურობა შე-

იცვლის სახეს, — ქუჩა აივსება მშენებლებით, მზით დამწვარი ღონიერი ვაჟკაცებით, შარვლიანი ქალიშვილებით, მანქანებით, ხმაურით, ხარაჩოებით, ხეტყით, ბეტონით...

დიახ, ყველაფერი ეს იქნება და ყოველივე ეს მოხდება ჩემს თვალწინ, მაგრამ ნუთუ მხოლოდ ამაშია სიახლე? ნუთუ, რაც კი მახსოვს ეს ცხოვრება, სამი ათეული წლის მანძილზე არაფერი შეცვლილა ქუჩის ამ ჩვეულებრივ მონაკვეთზე?

მე ფართოდ ვაღებ ფანჯარას და რაფაზე გადაყრდნობილი გავსცქერი გარეთ, ვცდილობ აღვადგინო მეხსიერებაში ქუჩის იმდროინდელი იერი, როგორადაც იგი პირველად აღიქვა ჩემმა ბავშვურმა გონებამ.

ეს შენობები წინათაც ხომ ასე იდგა, საათიც იმ ადგილას ეკიდა, ელექტრონის რკინის ბოძზე. მახსოვს, იმ საათზე ვისწავლე დროის ცნობა, შემდეგ ბევრჯერ გამოვიცვალე კედლისა და მაჯის საათები, მაგრამ ჩვეულებად დამჩემდა ქუჩის საათისათვის თვალის შევლება სკოლაში, პაემანზე ან სადგურში წასვლის წინ. ყვავილებიც წინანდებურად ჰყვავიან გაზონში, — ზამთარში კვდებიან, თეთრი თოვლით იფარებიან, გაზაფხულზე კი ისევ იწყებენ ახალ ცხოვრებას თვალისა და გულის გასახარად.

...ასირიელმა ბიჭუნამ მუშტარი გაისტუმრა, ფეხსაცმლის საწმენდი ჯაგრისები ჟონგლიორივით აათამაშა ჰაერში და აღიღინდა.

მე არ მესმის მისი ხმა, მაგრამ ტუჩების მოძრაობაზე ვატყობ, რომ იგი, ალბათ, ღიღინებს რომელიმე სიმღერას ახალი კინოფილმიდან, რადგან ვიცი, ზეროს საოცარი სმენა და სასიამოვნო ხმა აქვს.

ერთხელ, მისი სმენით გაოცებულმა, ვურჩიე კიდეც სამუსიკო სასწავლებელში შესვლა, მაგრამ მან თეთრი კბილების კრიალით შემომცინა და მითხრა:

— ჩემი პაპა აქ მჯდარა... მამაჩემიც... მეც შევეჩვიე, ასე მირჩევნია.

ჰო, მამამისი მეც მახსოვს, დიდი, შავი ულვაშები და კეთილი გული ჰქონდა. ისიც სწორედ აი იქ იჯდა, ახლა კი შვილი აგრძელებს მის საქმეს. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, ძველებურად... მხოლოდ ესაა, — ერთი წავიდა და სხვა მოვიდა, ერთმა მეორე შესცვალა...

უცებ გონება ახალმა აზრმა გამინათა! აი რაშია სიახლე! ყველაფერი თავის ადგილზეა, — ის სახლი, აფიშების ბოძი, მაღაზიაც, საათიც.. მოძრაობენ მხოლოდ ადამიანები; ისინი დადიან, ქუჩა ცხოვრობს და, რომ ვუკვირდები, ეს ცხოვრება ქალაქის ამ უმცირეს მონაკვეთზე მეტისმეტად დიდია და მნიშვნელოვანი.

მე ფანჯარასთან უფრო მოხერხებულად ვჯდები და დაჟინებით გავსცქერი ქუჩას, სულ სხვა თვალით დანახულ ქუჩას, რომელიც ყოველ საათში, ყოველ წუთში, ყოველ წამში იცვლის სახეს. ამ სახეცვლილებას კი ის იწვევს, რომ ქუჩა არასოდეს არაა ცარიელი, უკაცრიელი, უმიზნო, მასზე დააბიჯებენ ადამიანები — დიდები და პატარები, ქალები და მამაკაცები, მარტონი და ჯგუფ-ჯგუფად, ზოგი ნელა, აუჩქარებლად, ზოგი კიდევ სწრაფი ნაბიჯით; ზოგიერთი მათგანი მაღალია და გამხდარი, ზოგიც — დაბალი და ჩასუქებული; მათ შორის ვხედავ ნაცნობ სახეებს, არიან უცნობებიც.

მე ვაკვირდები გამვლელებს, ვცდილობ არავინ და არაფერი გამომეპაროს, გავსცქერი ისე, როგორც სარდალი გაჰყურებს სათვალთვალო პუნქტიდან ბრძოლის ველს.

მე ვხედავ მოხუც დედაკაცს კალათით ხელში. იგი, ალბათ, ბაზარში მიიჩქარის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას უკან მიჰყვება სქელ-სქელი, მელოტი მამაკაცი, რომელიც მგონი ბუ-ღალტრად მუშაობს ბანკში.

ახალგაზრდა წყვილი ქუჩას გადადის. ბედნიერებისაგან სახეგანათებულნი ვერც კი ამჩნევენ, რომ მანქანა ზედ მიადგათ და შოფერი ღიმილით ელოდება მათ გავლას.

უკვე თვალს მოეფარნენ კალათიანი დედაბერიც, მელოტი ბუღალტერიც; შეყვარებულმა წყვილმაც გადაჭრა ქუჩა და გზა მისცა მანქანას.

მაგრამ გამოჩნდნენ სხვები.

...და ქუჩა ისევ სავსეა ადამიანებით, მოძრაობით, ხმაურით.

რაფაზე იდაყვებით გადაყრდნობილი კვლავ ინტერესით შევყურებ ქუ-ჩას, რომელიც დღეს უხილავი ძალით, ახალი ფერ-ხორცით გადაიშალა ჩემს თვალწინ, როგორც აღმოჩენა.

ქუჩა კი ისევ და ისევ, გამუდმებით იცვლის სახეს და ერთი და იგივე სუ-რათი არასოდეს არ მეორდება ზუსტად.

ქუჩის ეს მონაკვეთი ორმოცდაათი მეტრი თუ იქნება, მაგრამ ჩემი თვალი და გონება მაინც ვერ იტევს ყველაფერს, ვერ ახერხებს ყველაფრის შეხედვას და აღქმას.

ამიტომ ვიწყებ თავიდან და ვაკვირდები ქუჩას ნაწილ-ნაწილ, დაახლოე-ბით ისეთნაირად, მხატვრები უჯრედებად რომ დაჰყოფენ ხოლმე გასადიდე-ბელ პორტრეტს და შემდეგ გადააქვთ იგი ტილოზე.

ვიწყებ სასურსათო მაღაზიიდან. დიდი ხანი არაა, რაც იგი უგამყიდველო მაღაზიად გადააკეთეს.

მაღაზიის ერთი კარიდან შედიან, ხოლო მეორედან გამოდიან. ქალები უფ-რო საფუძვლიანად — კალათებით, ბადურებით, ჩანთებით, ბოთლებით მო-დიან, მამაკაცები კი, ალბათ, უკადრისობენ ამ სახით ქალაქში გამოჩენას, ხელ-მჩატედ შედიან მაღაზიაში და იქიდან იღლიაში ამოჩრილი ნავაჭრით გამოდიან.

ვიტრინასთან ორი ბიჭი შეჩერდა, ასე თერთმეტი-თორმეტი წლისანი თუ იქნებიან.

რაღაცამ მიიპყრო მათი ყურადღება. კამფეტმა თუ ნამცხვარმა.

ერთმანეთს გადახედეს.

მე თითქოს მესმის მათი დიალოგი:

— ზური, გიჭამია ასეთი შოკოლადი?

— ხანდახან დედას მოაქვს სახლში. ერთ-ორ ცალს თუ გაიმეტებენ, საძ-ღომად ვინ მოგცემს!

— რამდენს შეჭამდი?

— რა ვიცი!..

— მაინც?..

— ნახევარ კილოს... მეტსაც...

— არაფერიც არა! ორას გრამზე მეტს ვერ შეჭამ.

— ორასი გრამი რაა?!

— გულის მომსუყება იცის!

— შევჭამ!

— ვერა!

— დავნიძლავდეთ!

— მოდი. თუმცა ტყუილად ნიძლევს რა ჭკუა აქვს?! ნახევარი კილოს ფუ-ლი სადაა!

— რამდენი გაქვს?

ჯიბეები მოიჩხრიკა ორივემ.

— ათი შაურია. შენ?

— მანეთი და ექვსი კაპიკი. აქედან სამი კაპიკით „ლელო“ უნდა ვიყიდო.

— ორასი გრამი მაინც მოგვიწევს.

ბიჭები მაღაზიის კარებს მიადგნენ, მაგრამ ისევ შეჩერდნენ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს; შემდეგ აფიშის ბოძთან მიირბინეს, რეკლამა ჩაათვალიერეს და კინოთეატრისკენ გაჰკურცხლეს. შოკოლადს, ალბათ, „განკიცხულნი“ ამჯობინეს.

ვარდისფერ ბელეტაჟთან „ვოლგა“ შეჩერდა. იქიდან ორი ქალი გადმოვიდა. ერთი—სქელი და ხნიერი, ძლივს გამოეტია კარებში; მეორე—ახალგაზრდა, ტანმაღალი და ლოყებღაჟღაჟაა. ესენი თეიმურაზ ამბაკოვიჩის მეუღლე და შინამოსამსახურე კლავაა. კლავამ ორი გატენილი კალათა შეიტანა სახლში. ერთი მათგანიდან ცოცხალ ინდაურს გადმოეყო თავი. თეიმურაზ ამბაკოვიჩის ოჯახში ამაღამ, ალბათ, საპურმარილოდ ემზადებიან. ვინმე უფროსთავანი თუ ჩამოუვიდა თბილისიდან.

ეზოს სიღრმეში მოჩიტული ყმაწვილი ბურთს თამაშობს. მისი სახელი ვიცი, ჯუმბერი ჰქვია. დედამისი დღეში რამდენჯერმე გასძახის ეზოსა და ქუჩაში ფეხბურთსგადაყოლილ შვილს.

ახლა ჯუმბერი მარტოდმარტო ვარჯიშობს, ცალი ფეხით მიწაზე დაუცემლად ათამაშებს ბურთს. მეც უნებლიეთ მასთან ერთად ვითვლი (მაინც რამოდენა მიმზიდველობა აქვს ამ ტყავის ბურთს!) ...სამი, ოთხი, ხუთი... ბურთი სულ მაღლა იწევს... ათი, თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი... უჰ! ბურთი მიწას შეეხო. მეწყინა. რაღა ამ თარს რიცხვზე შეეშალა! როგორც ჩანს, თვითონ ჯუმბერსაც არ ესიამოვნა ეს, ბრაზი ისევ ბურთზე იყარა! მძლავრი დარტყმით სტყორცნა კედლისაკენ. იქიდან ბურთი ზუსტად მასვე დაუბრუნდა და კვლავ გაგზავნა უკან....

მიხარია, რომ ჯუმბერი ასეთი მკვირცხლი ბიჭია. გუშინდელივით მახსოვს, სამშობიარო სახლიდან რომ მოიყვანა მამამისმა ცოლი და ახალშეძენილი პირმშო. როგორ დაბნეულად იღიმებოდა ვაჟკაცი. ისე სათუთად მიეკრა მკერდზე ვარდისფერ საბანში გახვეული უძვირფასესი, ცოცხალი არსება, თითქოს საბნის ბუშტიაო. ფანჯრიდან მივულოცე ვაჟიშვილი. შემდეგ ძეობაც ვიზეიმეთ.

ხუთიოდე წლის წინათ ჯუმბერის მამა კიბომ იმსხვერპლა. დედამისი ზრდის ახლა მას. ქმარი შეცვალა ქარხანაში და, რა ვუყოთ, სულ მუდამ თავზე რომ ვერ ადგას შვილს. ისე ყველაფრით წესიერი ბიჭია, როგორც ვიცი, ცუდადაც არ სწავლობს. ეს კია, ფეხბურთი უყვარს ძალიან და ზოგჯერ მეზობლებს ფანჯრებს უფშვნის...

უცებ მინის მტვრევის ხმა გაისმა და ჩამსხვრეულ ფანჯარაში უმალ თეიმურაზ ამბაკოვიჩის მეუღლის თავი გამოჩნდა.

— ხულიგანო!.. შენ მოუკვდი შენს პატრონს! — აკივლდა იგი.

კიდევ კარგი, ჯუმბერის დედა ამ დროს სამუშაოზეა, თვითონ კი სადღაც გაუჩინარდა.

პასუხი რომ არავინ გასცა, თეიმურაზ ამბაკოვიჩის მეუღლემ ერთხელ კიდევ დაკვესა მთელი ეზოს გასაგონად:

— მე შენ გიჩვენებ სეირს, შე არგასაზრდელო, შენ!

სეირის საჩვენებლად, ალბათ, ყოვლისშემძლე მეუღლე ჰყავს მხედველობაში.

ფანჯრების მტვრევა არაა მთლად წესიერი საქციელი, შეიძლება დავტუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სო კიდეც ამისთვის ჯუმბერი, მაგრამ რატომღაც, მაინცა და მაინც. არ დამნა-
ნებია თეიმურაზ ამბაკოვიჩის ფანჯრის მინა. მხოლოდ არ ვიცი, რატომ! იქნებ
იმიტომ, რომ სახლის პატრონს არაფრად უღირს ახალი მინის ჩასმა (კლავა უკ-
ვე გამოვიდა სახლიდან; ალბათ, ოსტატის მოსაყვანად), ან იქნებ იმიტომაც,
რომ ჯუმბერი შეიძლება მართლა სასახელო ფეხბურთელი დადგეს და ერთი-
ორი ჩამსხვრეული ფანჯარა ნამდვილად ღირს ამად.

...ქუჩაში მომრავლდნენ გაზეთიანი გამვლელები.

ზოგიერთებს იღლიაში მთელი დასტა გაუჩრიათ და სახლში მიიჩქარიან,
რომ იქ გულდასმით, საფუძვლიანად ჩაიკითხონ სათითოოდ მოწინავე წერილი-
დან რედაქტორის ხელმოწერამდე.

სულმოუთქმელ მკითხველებს პირდაპირ ქუჩაში მთელ სიფართეზე გა-
უშლიათ გაზეთები და, ახალ ამბებში მთელი გულისყურით ჩაფლულნი, თავ-
აუღებლივ იკვლევენ გზას ამდენ ხალხში.

კუთხეში ახალგაზრდების ჯგუფი შეჩერდა. ისინი ერთი პატარა ფორმა-
ტის გაზეთს ჩაფრენიან და რაღაცას გაფაციცებით კითხულობენ. აქედან ვცნობ
გაზეთს — „ლელოა“. ჰო, მართლა, გუშინ თბილისელები შეხვდნენ მოსკოვის
„ტორპედოს“ და მოიგეს კიდეც.

მათ გვერდით ტანმაღალ, სათვალიან მამაკაცს გაზეთი პირდაპირ კედელ-
ზე აუფარებია, ცალ ხელში გადაშლილი ბლოკნოტი უკავია და რაღაცას ადა-
რებს. ალბათ, ობლიგაციის ნომრებს. მას არ ესმის ახალგაზრდების აღტაცე-
ბული ქოთქოთი, თუ როგორი ოსტატური ფინტებით მოატყუა მიშა მესხმა ზე-
დიზედ მოწინააღმდეგის სამი დამცველი, შემდეგ მეკარესაც „აჭამა“ და... არა,
სათვალიანი მამაკაცი აუღელვებლად ისმენს ამ „ისტორიული“ ბურთის გატა-
ნის დეტალურ აღწერას, რადგან მას ან ფეხბურთი არ უყვარს, ან კიდევ ფუ-
ლი უყვარს ძალიან. ამ კაცის თავი ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით მოძ-
რაობს ციფრების სვეტების გაყოლებით. მე უკვე მაინტერესებს, მოიგებს თუ
არა?! სახის გამომეტყველებაზე შევატყვე, რომ ვერ მოიგო, მაგრამ, მაინცა და
მაინც, არც სწყენია, მალე მორიგი გათამაშება იქნება და მაშინ...

...მანქანის მკვეთრად დამუხრუჭების უსიამოვნო ხმა გაისმა. ქუჩების გა-
დაკვეთაზე ავტობუსმა გვერდი გაჰკრა „მოსკვიჩს“ და გაზონთან მიაგდო.

უცებ სიჩუმე ჩამოწვა.

„მოსკვიჩიდან“ შავგვრემანი, თმახუჭუჭა ახალგაზრდა გადმოვიდა. კიდევ
კარგი, საღსალმათად გადარჩენილა, მანქანას ვინ ჩივის! მაგრამ, როგორც ჩანს,
პატრონს მანქანის ბედი ჩემზე მეტად აწუხებს, უმალ ირგვლივ შემოუარა, შე-
ათვალიერა, შემდეგ ავტობუსიდან გადმომხტარ შოფერს მიაშურა. მაშინვე
ხელების ქნევით აყაყანდნენ. ზარალი არ უნდა იყოს დიდი, მაგრამ ახლა მთა-
ვარია ინსპექციის წინაშე იმართლონ თავი.

ამასობაში ქუჩა გაიჭედა. ამდენი ხალხი მაინც საიდან გაჩნდა ასე უცბად!

მოძრაობა შეწყდა.

ავტობუსში მსხდომი მგზავრები უკვე გამოერკვნენ პირველი შიშისაგან
და აღარ იციან, ჩამოვიდნენ თუ ავტობუსი კიდევ შეძლებს განაგრძოს გზა.

ხალხი ემატება.

— რა მოხდა? — კითხულობენ ახალმოსულები.

იმათ გარშემო, ვინც საკუთარი თვალით დაინახა, თუ როგორ მოხდა ავა-
რია, უკვე შეიკრა პატარ-პატარა ჯგუფები.

ორივე შოფერს გამოუჩნდა მეგობრები და დამცველები.

უმეტესობა მაინც სეირს უცქერის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტოციკლებით მოგრიალდა ინსპექცია.

მილიციელებმა ცნობისმოყვარეთა წრე გაარღვიეს, ხალხი დასწიეს უკან და შემთხვევის ადგილი გაათავისუფლეს.

შოფრები წარდგნენ მილიციის ლეიტენანტის წინაშე. ინსპექტორი ისმენს მათ ახსნა-განმარტებას, შემდეგ ათვალიერებს იქაურობას და ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავს, ალბათ, მანქანების მდგომარეობას ავარიის მომენტში.

შოფრები გაცხარებით ამტკიცებენ თავიანთ სიმართლეს, ღელავენ, ხალხში მოწმეებსა და მომხრეებს ეძებენ. სამაგიეროდ ლეიტენანტია მშვიდად, ძნელი გამოსაცნობია ვის ემხრობა იგი. პასუხს ინსპექციაში მიიღებენ.

პირველად ავტობუსი გაუშვეს, რადგან მგზავრები უკვე პროტესტს აცხადებენ.

ხალხი თანდათან დაიშალა, ყველამ თავის გზას და საქმეს მიაშურა. ზოგიერთმა მათგანმა, ალბათ, ეს პატარა ამბავიც გაიყოლია, რომ შემდეგ ერთიორად გაბერილი და გატენილი ნაცნობებსა და მეზობლებს ჩამოურიგოს.

„მოსკვიჩთან" შოფერი და რამდენიმე მისი ახლობელი ტრიალებს, რადგან ფერდშეჭყლეტილი მანქანა ჯიუტად დუმს და არაფრის გულისთვის არ უნდა ამუშავდეს.

საჭესთან მიმჯდარი შოფერი ფეხს აჭერს სტარტერს. მანქანა მცირე ხნით ათუხთუხდება, ციებიანივით აძაგძაგდება, მაგრამ ძალაგამოლეულს უცებ ისევ უწყდება ხმა.

ბოლოს ბიჭები ხელით მიაწვნენ მანქანას და გააგორეს.

მალე ისინი თვალს მიეფარნენ და ქუჩამ კვლავ მიიღო ჩვეულებრივი იერი.

ასფალტზე დარჩა ავტობუსის დამუხრუჭებისაგან დარჩენილი საბურავების ორი შავი ზოლი და კიდევ ბენზინისა და ზეთის ლაქები იმ ადგილას, სადაც გვერდშელეწილი „მოსკვიჩი" იდგა.

პალმასთან წარმოსადეგ მამაკაცს ეხედავ. ავარია უკვე ყველას მიავიწყდა, იგი კი ისევ დგას და მრავალმნიშვნელოვნად შესცქერის გაჭუჭყიანებულ ასფალტს. შემდეგ თავი გააქნია და ფართო, გაშლილი ნაბიჯებით გაუდგა გზას. იგი მიაბიჯებს თავაღმართული და მის გარშემო თითქოს ქუჩაც პატარავდება. ლომის ფაფარივით დაყრილი ხშირი, გრუზა თმა კიდევ უფრო ამაღლებს მას. ამ კაცს ყველა ცნობს. გამვლელები მორიდებით უთმობენ გზას, შემდეგ თვალს აყოლებენ. ნაცნობიც ბევრი ჰყავს, მოწიწებით ესალმებიან. ახალწამოჩიტული გოგონები სახეალეწილნი, ფეხაჩქარებით ჩაუვლიან გვერდით და, რომ გასცდებიან, შემდეგ მოუხედავენ, დიდხანს უჭვრეტენ ფარულად.

ეს კაცი სახალხო არტისტია. მე მას კარგად ვიცნობ. ახლა იგი გადაჭრის ქუჩას, შევა „ინტურისტის" კაფეში, მოითხოვს ერთ ფინჯან შავ ყავას და შემდეგ ასევე დინჯად გაუდგება თეატრისაკენ.

აფიშაზე ვარჩევ, დღეს ანტიკურ ტრაგედიას წარმოადგენენ.

უცებ მსახიობი შეჩერდა, რაღაცამ ფიქრებიდან გამოიყვანა. მისი შთაგონებული სახე ამ დიდი მამაკაცისათვის შეუფერებელი ბავშვური ღიმილით გაიბადრა.

მის მზერას გავაყოლე თვალი.

ქუჩას საბავშვო ბაღის აღსაზრდელები გადადიოდნენ. გასაოცრად სერიოზული და სასაცილონი არიან ეს პატარა არსებანი. გარშემო არავის და არაფერს აქცევენ ყურადღებას, ერთმანეთისათვის კალთაში ჩაუკიდიათ ხელები და ასე წეროებივით გამწკრივებულან გადასახვლელზე.

ამ მოძრავ, ნორჩ კედელს ორივე მხრიდან ადგებიან უზარმაზარი მანქანები და ადგილზე ქვავდებიან.

პატარები აინუნშიაც არ აგდებენ, რომ მათმა მსვლელობამ მოძრაობა შეწყვიტა, მათ სრულებით არ აშინებთ ეს მოუთმენლად მოთუხთუხე, მხრჩოლავი მანქანები.

ალბათ, ცუგრუმელები იმიტომ არიან აგრე გულმშვიდად, რომ ყველას მაგივრად ის ტანწვრილი ქალიშვილი ნერვიულობს, მათი აღმზრდელი, რომლის მზერა წვდება ყველას და ყველაფერს, მთელ ქუჩას, თითოეულ ბავშვს. იგი სულ ახალგაზრდაა, ერთი ციცქნა, ნამდვილად ჯერ საკუთარი შვილიც არ გაუჩენია და, აჰა, უცბათ ამდენი ერთად ჩაებარეს!

სახალხო არტისტი ახლა ანტიკური ტრაგედიის გმირზე უფრო ოჯახის მამას ჰგავს. დგას იგი ნიშანსვეტივით გადასასვლელთან და თავდახრილი ღიმილს და სითბოს საჩუქარივით ურიგებს პატარებს. მისი დიდი ხელი ეალერსება მათ თავებს.

პატარები ჯერ კიდევ ვერ ცნობენ ამ დიდ ძიას, სამაგიეროდ მათი აღმზრდელი ყველას მაგივრად მადლობის ნიშნად მორცხვად უღიმის სახელოვან მსახიობს.

ბავშვები და მათი აღმზრდელი მიიმალნენ.

სახალხო არტისტიც თვალს მიეფარა.

კვლავ ამოძრავდნენ მანქანები.

...და ქუჩა ისევ და ისევ იცვლის სახეს.

მე ახლა მხოლოდ მოძრაობაში როდი ვხედავ სიახლეს, სახეცვლილებას, ყველაფერში, თვით ადამიანთა ჩაცმულობაში. ჩემს საწერ მაგიდასთან, კედელზე, ფოტოსურათი ჰკიდია. რამდენიმე წლის წინათ გადავიღეთ მეგობრებმა სამახსოვროდ. უნებლიეთ ვადარებ ჩვენს მაშინდელ ჩაცმულობას ქუჩაში მოსიარულეთა სამოსს და მეღიმება. მაგონდება, პირველად ერთმა ჩემმა ნაცნობმა ვიწრო შარვალი და მოკლე პალტო რომ ჩაიცვა, ქუჩაში ირონიული მზერით აცილებდნენ. გაივლის ცოტა ხანი და მაშინ ის მოგვეჩვენება სასაცილოდ. ახლა რომ ევოლუციის უმაღლეს ფორმად მიგვაჩნია. რას იზამ, მოდა მოდაა!

ეს გაკრიალებული ავტობუსებიც ხომ ახალია, ყოველ წუთში რომ დაჰქრიან ქუჩაში. თითქოს აგერ ახლა იყოო, მთელი საათი რომ უნდა გველოდინა დანჯღრეული ავტობუსისათვის.

ჰო, მართლა, ავტობუსებმა მომაგონეს, — ეს ქუჩა, ახლა ასფალტის რუხი ქერქი რომ აკრავს, ჩემს ბავშვობაში ქვაფენილით იყო მოგებული. ისე მიძნელდება იმდროინდელი იერის აღდგენა მეხსიერებაში, თითქოს მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ. მაგრამ ერთი რამ ძალიან კარგად მახსოვს: ზოგჯერ ოსტატები მოვიდოდნენ ხოლმე ამ ქუჩაზე, ძალაყინებითა და წერაქვებით მორყეულ ქვაფენილს აჰყრიდნენ, შემდეგ ჩაცუცქდებოდნენ და დიდხანს მოთმინებით უკაკუნებდნენ თავიანთ ჩაქუჩებს ზღვისპირიდან მოზიდულ რიყის ქვებს, აგებდნენ ახალ ქვაფენილს.

მაშინ ამ ქუჩაზე ავტომობილის გავლა ნამდვილი მოვლენა იყო, არა მარტო ჩვენთვის, ბავშვებისათვის, — დიდებისთვისაც.

მაშინ ამ ქუჩაზე დარახუნობდნენ მენავთის ბოჭკა და მენაგვის ორთვალა. მემწვანილის ურიკა და მთვრალებით სავსე ეტლი. ზოგჯერ ცხვრის ფარას და ცხენების რემასაც ჩამოატარებდნენ ბოხოხიანი მწყემსები. იდგა ხმაური, მტვრის ბუღი და ორომტრიალი.

ახლა ცხენებს კი არა, ყოველნაირ მანქანასაც არ გაატარებენ აქ. ჰაერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკიდებული საგზაო ნიშანი კატეგორიულად აფრთხილებს შოფრებს, რომ ამ ქუჩაზე სატვირთო მანქანის გავლა აკრძალულია.

მაგრამ ეს ვეება, ჩარდახიანი მანქანა რატომ არ ეპუება ამ ნიშანს? იქნებ, შოფერი არაა აქაური, ან კიდევ ახალბედაა.

მანქანა იმ ეზოსთან შეჩერდა, ჯუმბერი რომ ცხოვრობს.

მე ახლა ვხედავ, რა ტვირთი დააქვს ამ მანქანას და იმასაც ვხვდები, თუ რატომ გაბედა შოფერმა ამ ქუჩით გავლა.

მანქანის ძარაზე რამდენიმე ფენად დევს წითელ-წითელი ბალონები, აი სწორედ ისეთი, გაზიანი წყლის კიოსკებში რომ დგას. ეგეც გაზია, მხოლოდ — საწვავი. ესეც ხომ სიახლეა, მერე როგორი! გაზით მომარაგება და მომსახურება მართლაც ჩინებულადაა მოგვარებული ჩვენს ქალაქში. ნეტავ, ყველაფერი ასე იდეალურად იყოს აწყობილი!

ორმა მარჯვე ბიჭმა ისკუპა მანქანიდან. ისინი ორივე მხრიდან მიადგნენ უკანა ქიმს, სწრაფი, ნაცადი მოძრაობით ახსნეს ურდულები და გადმოსწიეს ქიმი. შემდეგ ერთ წითელ ბალონს ხელი ჩაავლეს და ეზოში შეარბენინეს. მალე იქედან მსგავსი ბალონით დაბრუნდნენ, მაგრამ ახლა უკვე ისე მსუბუქად მოაქვთ, იგრძნობა, იგი უკვე ცარიელია.

მანქანამ ცოტა გაინაცვლა და ისევ შეჩერდა. მე ახლა უფრო გარკვევით ვხედავ ძარაში აზვინულ წითელ ბალონებს და უნებლიეთ რატომღაც მაგონდება ფრონტული სურათი: სწორედ ასეთნაირად ეწყო მაშინ მანქანებზე ყუმბარები, ბომბები, ნაღმები. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ამ ორ ტვირთს შორის! ერთი მათგანი ადამიანის სიცოცხლეს ემუქრებოდა, ყველაფერს სპობდა და ანადგურებდა, აი ეს ტვირთი კი ხალხს ცხოვრებას უადვილებს, ემსახურება, სიამოვნებას ანიჭებს.

ამ შედარების შემდეგ ჩემი ფიქრები რატომღაც ისევ ასფალტით მოგებულ ქუჩას უბრუნდება და არ მინდა, ძალიან არ მინდა, რომ ამ ქუჩაზე, ახლახან ჩვენი ქალაქის მომავალი მოქალაქეები სასაცილო ბაჯბაჯით რომ გადადიოდნენ, დაეცეს ომისდროინდელი მომაკვდინებელი ტვირთი, დაამსხვრიოს ჯუმბერის სახლი, დაასახიჩროს ეს ასფალტი და გამოაჩინოს დავიწყებას მიცემული ქვაფენილი.

მე არ ვიცი, ასევე ფიქრობს თუ არა ის კაციც, მანქანასთან რომ შეჩერებულა და ჩემსავით შეჰყურებს გაზის წითელ ბალონებს, მაგრამ ერთი კი მჯერა, მას ნამდვილად სხვებზე უფრო არ უნდა, რომ კვლავ შემზარავად გაისმას საგანგაშო საყვირი, ქალაქის თავზე აწივლდეს ბომბი და მისმა დაცემამ დაანგრიოს ეს ლამაზი ქუჩა.

მე ვიცნობ ამ კაცს. იგი გადამდგარი პოლკოვნიკია. მისი საგმირო საქმეები მრავალგზის ყოფილა მოხსენიებული უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში. ბევრი წამიკითხავს მასზე, კიდევ უფრო მეტი გამიგონია, პირადად მისგანაც მომისმენია თითქოს დაუჯერებელი, მაგრამ მაინც მართალი ამბები; ამ კაცის თავგადასავალს აღტაცებაშიც მოვყავდი და მაძრწუნებდა კიდეც. აი ამიტომ მჯერა ასე დაბეჯითებით, რომ სწორედ მას, ბრძოლის ქარ-ცეცხლში გამოჯეკნილ კაცს, ყველაზე მეტად სძულს ომი, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ომმა მოუტანა სახელი, დიდება და პატივისცემა. მაგრამ ისიც კარგად ვიცი, მის ვაჟკაცურ მკერდში, სამოქალაქო ტანსაცმლის ქვეშ მებრძოლის გული სცემს და, თუ საჭირო იქნება, ყოფილი პოლკოვნიკი კიდევ დაანახებს მომხვდურს, რომ ბებერი ხარის რქანიცა ხნავენ.

...ჩარდახიანი მანქანა თვალს მოეფარა და ყოფილმა პოლკოვნიკმაც განაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძო გზა. მოსახვევში იგი ჩია ტანის, მთლად გათეთრებულ მოხუცს შეხვდა და მოკრძალებით მიესალმა. ისინი მცირე ხნით შეჩერდნენ და, ალბათ, ერთმანეთის ჯანმრთელობა მოიკითხეს.

ამ მოხუცს ყველა ასე მოწიწებით ხვდება — დიდი და პატარა. დადის იგი ჩვენი ქალაქის ქუჩებში როგორც სახელოვან ბრძოლათა ცოცხალი მოწმე, ცოცხალი ისტორია. მე მისი სურათი რევოლუციის მუზეუმში მინახავს. ჟანდარმთა სამმართველოს არქივიდან ამოჩხრეკილი გამოხუნებული ფოტოსურათიდან იცქირება ხელ-ფეხში ბორკილებშეყრილი, თვალებბრიალა, ულვაშგადაგრეხილი ახალგაზრდა. ახლა ძნელია მოხუცში იმ შნოიანი ვაჟკაცის ცნობა და იმის დაჯერება, რომ იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ წითელი დროშით ხელში დემონსტრანტთა პირველ რიგებში დააბიჯებდა სწორედ ამ ქუჩაზე, არ ეპუებოდა კაზაკთა ტყვიებსა და მათრახებს, ხოლო, როცა საჭირო იყო, თოფით ხელში თავზარს სცემდა ალიხანოვის დამსჯელ რაზმებს.

ახლა ის ორი ყოფილი მებრძოლი დგას გზაჯვარედინთან და ტკბილად საუბრობს. ალბათ, ისინი ძალზე უბრალო, ყოველდღიურ, საჭირბოროტო ამბებზე ლაპარაკობენ.

შემდეგ ერთად განაგრძეს გზა.

მე ვიცი, სად მიდიან ისინი. ამ ქუჩის ბოლოს, ქალაქის შუაგულში პატარა სკვერია. ამ სკვერში პენსიონერები იყრიან თავს. სხედან ეს ვალმოხდილი, მრავალჭირნახული დროული კაცები პალმების ჩრდილქვეშ და საუბრობენ დინჯად, აუჩქარებლად. ბუნებრივია, ისინი წარსულს იგონებენ, ზოგჯერ — ტკბილად, ზოგჯერ კიდევ — მწარე სინანულით. მაგრამ უფრო მეტად ეს ხანდაზმული ადამიანები მომავალზე ოცნებობენ, როგორც მათი ბადიშები, რადგან კარგად ხედავენ, დღევანდელზე უკეთესი დრო მოდის და მათაც საკუთარი თვალით სურთ იხილონ, კიდევ უფრო როგორ იხარებს, ათას ყლორტებად გაიშლება მათ მიერ სათუთად დარგული ნერგი.

მაგრამ მე ძალიან გამიტაცა მოგონებებმა. სჯობს, ისევ ქუჩის ცხოვრებას ვადევნო თვალი. მით უმეტეს, რომ ტროტუარებზე ხალხმა იმატა. ესე იგი, სამუშაო საათები დამთავრდა. ამ ბოლო დროს ხალხი ადრე ბრუნდება სამსახურიდან, ერთი საათით ადრე ამთავრებენ მუშაობას.

მე ისევ ვხედავ იმ მელოტ ბუღალტერს, რომელსაც იღლიაში პორტფელთან ერთად შოთი პური ამოუჩრია.

მე ვხედავ ქარხნიდან დაბრუნებულ ჯუმბერის დედას. იგი შემფოთებით შესცქერის, თუ როგორ ადგამს ოსტატი თეიმურაზ ამბაკოვიჩის ფანჯრის მინას და, ალბათ, გული წინასწარ უგრძნობს, თუ ვისი ნამოქმედარია ეს.

მე ვხედავ მეზობელი ეზოდან გამოსულ ჩვენი უბნის ექიმ ქალს. მას დიდი ხანია ვიცნობ, ვგონებ იმ დღიდან, სამედიცინო ინსტიტუტი რომ დაამთავრა... აუ, რა დრო გავიდა მას შემდეგ! ჩვენი ექიმი, რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა შემომაბერდა. ალბათ, ჩვენ მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ წელთა რბოლას, საკუთარ ასაკს, როცა ვხედავთ, თუ როგორ ბერდებიან ჩვენს თვალწინ სხვები. მაგრამ მაშინაც კი არ გინდა გამოუტყდე საკუთარ თავს, რომ დრო ელვის სისწრაფით გარბის, წლებს თავისი მიაქვს და საცხოვრებლად იმაზე ნაკლები დაგრჩა, ვიდრე განვლე. განვლილი გზა კი ისე მცირეა, ისე უმნიშვნელო, ვითომ სრულებით არ გიცხოვრია ამ ქვეყანაზე.

მე მხოლოდ ახლა შევამჩნიე აფიშების ბოძთან შეჩერებული სამი უცხოელი. ესენი ერთი ოჯახი უნდა იყოს — მამა, დედა და ქალიშვილი. მამა ჭარმაგი კაცია, მაღალსა და ხმელ ფეხებზე შემდგარა ყანჩასავით. მოკლე შარვალი

კიდევ უფრო ამაღლებს მას. მხარზე ორი ფოტოაპარატი და პორტატული კინო-აპარატი აუკიდია. თვალი წამდაუწუმ ობიექტივზე აქვს მიბჯენილი. ეს უცხოელი ნამდვილად საქართველოში ეგზოტიკის საძებრადაა ჩამოსული და შეიძლება უკვირს კიდეც, რომ ამ პატარა საზღვაო ქალაქში ხალხს ისევე აცვია, როგორც მის მშობლიურ მარსელში, შენობებიც ჩვეულებრივია და მანქანებიც არ დაიწუნება.

აი უცხოელი მამა ფეხსაცმლის მწმენდავ ასირიელ ბიჭუნას მიადგა და ფოტოაპარატი მიუშვირა.

ზეროს უკვე აღარ აკვირვებს უცხოელები, ცოტა არ იყოს, თავი მოაბეზრეს კიდეც, მაგრამ რას იზამ, სტუმრები არიან, თვითონ კი მასპინძელია და სტუმარ-მასპინძლობის წესს ვერ გადაუხვევს. ამიტომ ზერო ჯაგრისების ვირტუოზული ტრიალით და თეთრი კბილების კრიალით უღიმის მოკლეშარვლიან ახმახს.

ოჯახის დედაც ქმარივით ტანხმელი და თმადათოვლილია, მაგრამ გარეგნულად არ იმჩნევს, წლებს არ ეპუება, — მხიარული ფერის, ფართოფოთლებიანი აბრეშუმის კაბა აცვია, გამხდარი, მზედაუკრავი კანჭებიც მოსწავლე გოგონასავით გაუტიტვლებია.

ქალიშვილი აქედან ლამაზი ჩანს. რომ იტყვიან, შოლტივით გოგოაო, სწორედ ისეთია. ოქროსფერი თმები მხრებზე დაყრია, ყაყაჩოსფერი კოფთა და აბაჟურივით გამობერილი ჭრელი ქვედა კაბა აცვია. ნატიფი ფეხები პირდაპირ ლანჩებზე უდევს, რომლებიც ბალერინასავით კანჭებზე თასმებით აუკრავს. უცხოელ ქალიშვილს, როგორც ჩანს, ამ ქალაქში ყველაზე მეტად ტანადი, შავტუხა ქართველი ბიჭები მოსწონს, დიდრონი, მუქლურჯი თვალები მათკენ გაურბის. ბიჭებიც გრძნობენ ამ გამოხედვას, ფეხს ითრევენ და შორი-ახლოდან ფარულად უჭვრეტენ უცხო არსებას. ეს თამამი, ამაყი ბიჭები ახლა საოცრად მორცხვობენ, გამოლაპარაკებას ვერ ბედავენ — ენის უცოდინარობა თუ აფერხებთ. ერთმა მათგანმა, ბოლოს, მაინც გაბედა, საგანგებოდ ჩამორჩენილ ქალიშვილს გვერდით აესვეტა და რაღაც ჩაულაპარაკა, საშუალო სკოლაში ნასწავლი რამდენიმე უცხოური სიტყვა თუ მოიშველია. სახეზე ვატყობ, რომ ქალიშვილი ვერ მიუხვდა, მხრები აიჩეჩა, მაგრამ ბიჭს მაინც გაუღიმა. ბიჭსაც მეტი რა უნდოდა, აღარ მოსცილებია, ერთად განაგრძეს გზა, მალე თვალს მიეფარნენ და დარჩენილი ბიჭების შურიანი მზერა გაიყოლიეს.

ქუჩაში დაგრძელდნენ ჩრდილები. თანდათან დავიწროვდა და მალე სულ გაჰქრა მზის ოქროსფერი ზოლი.

ბინდი ჩამოწვა.

ზერომ თავისი ბარგი-ბარხანა აიკიდა და ღიღინით გასწია შინისკენ.

პირველად სახლებში ჩაირთო სინათლე. განათდა ფანჯრები.

მე ვხედავ მარმაშის ფარდებს იქით, თუ როგორ დაბოტებს ოთახებში თეიმურაზ ამბაკოვიჩის პატივცემული მეუღლე. კლავა ქათქათა სუფრას აფარებს მაგიდაზე. თვითონ თეიმურაზ ამბაკოვიჩი ნახევარი საათის უკან მოვიდა სახლში მანქანით. შოფერმა ორი მოზრდილი ღვინის კასრი შედგა სახლში, სამაგიეროდ იქიდან შამფურზე წამოგებული სუნელით გათითხნილი გოჭი გამოიტანა და მახლობელ ფურნეში შესაწვავად გააქანა.

ქუჩაშიც აინთო ფანრები.

კუთხეში განათდა საათის ციფერბლატი, — რვას ათი წუთი უკლია.

საათის ქვემოთ ახალგაზრდა ვაჟი შეჩერდა. საგულდაგულოდ გამოყვანილი ქოჩორი გიშერივით უპრიალებს ელექტრონის შუქზე. კიდევ უფრო შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრეპის კოსტიუმი ლაზათიანად ადგას ნავარჯიშევ ტანზე. თეთრად ქათქათებს, უჰალსტუხო პერანგის საყელო.

გარშემო უამრავი ხალხი ირევა, მაგრამ ბიჭს თვალში არავინ უჩანს, გაზონზე შემდგარი მოსეირნეთა თავებს ზემოთ ერთი მიმართულებით გასცქერის, ვიღაცას ელის თუ ეძებს.

მიგიხვდი, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, კარგად ვიცი, ვისაც ელი ასე მოუთმენლად! მეც ხშირად ვმდგარვარ ჩემს ყმაწვილკაცობაში ამ საათის ქვეშ. მეც ველოდი იმ „ვიღაცას". სხვათაშორის, მეც მელოდნენ. ამდენად ჩემთვის გასაგებია იმ ბიჭის მდგომარეობა და თითქოს მესმის კიდეც მისი მოხშირებული გულისცემა.

ვაჟი პაპიროსს პაპიროსზე ქაჩავს ნერვიულად. სხვა დროს ნამწვს იგი, ალბათ, პირდაპირ ტროტუარზე ჰყრის ხოლმე, დღეს კი საგანგებოდ მიდის ურნასთან; მალ-მალე ისწორებს თმას და პერანგის საყელოს, ზოგჯერ ვიტრინაში საკუთარ ორეულს შეავლებს თვალს, ეტყობა, ძალიან ღელავს.

მაინც რა ცნობისმოყვარეა ადამიანი! მე უკვე ძალზე მაინტერესებს, თუ როგორია ის „ვიღაც". ალბათ, პირველად ხვდებიან ერთმანეთს. ეს იმაზეც ემჩნევა, რომ ვაჟი ათი წუთით ადრე მოვიდა. პაემანი რვაზე თუ აქვთ დანიშნული. გოგო ნამდვილად დათქმულ დროს მოვა, დიდი-დიდი, ორი-სამი წუთი დააგვიანოს.

დიდი ისარი უკვე თორმეტს გაუსწორდა. ბიჭი მალ-მალე შეჰყურებს საათს და კიდევ უფრო ღელავს. ახლა იგი ყველა მიმართულებით გასცქერის. როგორც ჩანს, არ იცის საიდან გამოჩნდება „ის". მე ახლა მასზე ნაკლებად როდი ვღელავ. როგორც მამაკაცი, ვაჟის მხარეზე ვარ და გული მომდის იმ გოგოზე... თუმცა ჯერ ცხრის სამი წუთიც არ არის. შეიძლება „ისიც" დათქმულ დროზე ადრე მოვიდა და ახლა იქვე, სადმე შორი-ახლო დგას და თავს იფასებს. ნეტავ მოვიდოდეს კი!

მოვიდა!

მე ამას ვატყობ ბიჭის გაღიმებულ სახეზე. იგი მოწყდა ადგილს, მოსეირნეები გაარღვია და აფიშების ბოძთან შეეგება ვაჟურად თმაშეკრეჭილ, ტანმომცრო ქალიშვილს. კარგი გოგო ყოფილა.

უსიტყვოდ შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინვე დამეკარგნენ თვალთახედვიდან.

თავისუფლად ამოვისუნთქე, თითქოს მძიმე ტვირთი მომეხსნა ზურგიდან. იმათ ჩემი არ ესმით, მაგრამ მე მაინც ხმამაღლა გავძახი:

— ბედნიერებას გისურვებთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო!

შებინდდა თუ არა, თეიმურაზ ამბაკოვიჩის სტუმრებიც გამოჩნდნენ. კლავამ ფანჯრებს სქელი ფარდები ჩამოაფარა. იქ, ალბათ, მიუსხდნენ სუფრას და პირველი სასმისებიც აიღეს, რადგან ვიღაც ცდილობს სიმღერის წამოწყებას:

— ვისი სადღეგრძელოც იყოს...

როგორც ჩანს, სულწასულ მომღერალს არავინ აჰყვა და მანაც შუა გზაზე შეწყვიტა რაღაც „მრავალჟამიერის" მსგავსი.

მაღაზიის წინ მწვანედ შეღებილი „პობედა" შეჩერდა. იქიდან ჩია ტანის კაცი გადმოვიდა. ხელში ბრეზენტის ჩანთა უკავია: ეს კაცი ბანკის ინკასატორია. ყოველ საღამოს დადის აქ. იმ ჩანთით ნავაჭრი ფული მიაქვს ბანკში.

ინკასატორი რევოლვერის ბოხჩას ისწორებს და მაღაზიისაკენ მიემართება. ეს საშიში იარაღი რატომღაც სასაცილოდ მოჩანს მის ტანზე, ალბათ, იმიტომ, რომ სამოქალაქო ყაიდის შარვალ-ხალათი აცვია. დარწმუნებული ვარ,

ეს რევოლვერი, ზედმეტი ბარგივით რომ მიუკრავს ფერდზე, არასოდეს დას-ჭირდება, მაგრამ კანონი ავალებს და ისიც ატარებს. ვინ იცის, ეგებ ნაცნობ-მეგობრებში თავსაც იწონებს.

ხალხი ქუჩაში ხან მატულობს, ხან კიდევ კლებულობს.

ახალგაზრდები ჭარბობენ.

მაინც რამდენი ხალხია ამ პატარა ქალაქში! საით მიიჩქარიან ისინი ამ ღამით? — კინოში, თეატრში, ნათესავებთან, სამუშაოზე, პაემანზე...

რაც უფრო მეტი ხალხია გარეთ, მით უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ქუ-ჩის ცხოვრება.

თვითეული მათგანი, ალბათ, ღირსია, რომ მასზე დაიწეროს მთელი რომა-ნი. იქნებ, რომელიმე მათგანს ანა კარენინაზე ნაკლებად არ განუცდია სიყვარუ-ლის მწველი გრძნობა. გამვლელთა შორის უთუოდ არის ადამიანი, რომელიც დღეს ერთ-ერთ საწარმოში ეწეოდა თავის ჩვეულებრივ საქმეს, მომავალში კი მის სახელს მოწიწებით მოიხსენიებს მემატიანე. იქნებ, აი ის პატარა ბიჭი, წიგ-ნით ხელში რომ მიიკვლევს გზას ამ ზღვა ხალხში, ოცნებობს ერთი პირველ-თაგანი გაფრინდეს მთვარეზე და ამ გმირული საქციელით ასახელოს სამშობ-ლო.

უეცრად საშინლად მომინდა ქუჩაში გასვლა, ამ ხალხთან უფრო ახლო ყო-ფნა, მათი ხმის მოსმენა, ხელის ჩამორთმევა. მეც ხომ ამ ქუჩის შვილი ვარ!

სწრაფად ჩავრბივარ კიბეებზე და გავდივარ ქუჩაში.

ახლა მე ვხედავ არა ქუჩის მცირე მონაკვეთს, არამედ მთელ ქუჩას, დიდ ქუჩას, მთელი მისი სიგრძე-სიგანით, ხმაურით, მოძრაობით და დაუშრეტელი შინაარსით.

მე ახლა ვხედავ, სულ ახლოს, ჩემს გვერდით ვხედავ ადამიანებს, ვეხები მათ მხრებს, მკლავებს, უფრო კარგად მესმის ხმები, გარკვევით ვარჩევ სიტყ-ვებს.

თეიმურაზ ამბაკოვიჩის ბინიდანაც ახლა უფრო დაწყობილად გაისმის სი-მღერა. სიმღერას სცვლის თამადის ხრინწიანი შეძახილი:

— ბატონებო! ნება მომეცით, ამ პატარა სასმისით შევსვათ ჩვენი პატარა, ტურფა საქართველოს სადღეგრძელო...

ეს „პატარა სასმისი", ალბათ, ნახევარლიტრიანი ლუდის ჭიქა მაინც იქნე-ბა.

— გაუმარჯოს!

— იცოცხლე!

ხორხოცობს სუფრა.

თამადამ, ეტყობა, ბოკალი დასცალა და მთელი ხმით გასძახის:

— აბა, გავატაროთ ეს სადღეგრძელო!

ვიღაც, ალბათ, გაჭირვეულდა, სასმისი დიდი მოეჩვენა, და თამადა არცხ-ვენს:

— არ გყვარებია, ჩემო ძმაო, საქართველო და რა გელაპარაკო!

მე რატომღაც არ მჯერა იმ კაცის, ასე ხმამაღლა რომ გაჰყვირის საქართ-ველოს სიყვარულზე, სასმისის სიდიდით რომ ზომავს ამ ენით გამოუთქმელ გრძნობას.

სადღაც ეზოს სიღრმიდან თაფლად და ხავერდად იღვრება გამრეკელის მძლავრი ბარიტონი.

ამ ღვთაებრივ მელოდიაში უხეშად იჭრება სუფრის ღრიანცელი და ვიღაც თავგამოდებულის ყალბი ტენორი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოხოხოია მრავალჟამიეერ... ოხოხოიაია...

კიდევ კარგი, პატარა ზერო რომ არ ისმენს ამ როყიო ხმას.

მე სწრაფად ვშორდები ვარდისფერ ბელეტაჟს და კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს დავდივარ ქუჩებში.

...ქუჩის საათის ორივე ისარი თორმეტს გადასცდა. ჩემს ოთახში რომ დავ-ბრუნდი და ისევ მივუჯექი ფანჯარას.

კვლავ გავყურებ დაცარიელებულ ქუჩას.

დრო და დრო მანქანა გაიშრიალებს.

ღამის სიჩუმეში ყრუდ გაისმის ნაგვიანევი მგზავრის ფეხის ხმა.

ერთხელ კიდევ უსიამოვნოდ დაირღვა ეს მყუდროება, როცა თეიმურაზ ამბაკოვიჩის ბინიდან გამოეფინენ მთვრალი სტუმრები და ბანცალით დაიშალ-ნენ.

მეოთხე საათი დაიწყო. ქუჩა თითქოს ცარიელია, მაგრამ იგი კვლავ ცხოვ-რობს დიდი ცხოვრებით.

უეცრად სასწრაფო დახმარების მანქანამ ჩაიქროლა.

შუა ქუჩაში გაიარა ჩვენი უბნის მილიციის რწმუნებულმა. იგი იცავს წე-სრიგს, ჩემს მყუდროებას და უნებლიეთ მაგონდება მაიაკოვსკის სიტყვები: „ჩემი მილიცია მე მიფრთხილდება“.

ასფალტზე ხმელი ცოცხის ფხაკუნი მესმის. ეს ჩვენი მეეზოვე ტიგრანა შეუდგა საქმეს. ესე იგი, საცაა გათენდება.

ტიგრანა რომელიღაც აღმოსავლურ ბაიათს ღიღინებს და საგულდაგულოდ ასუფთავებს ტროტუარს, რათა ქუჩა გაკრიალებული და წმინდა შეხვდეს ახა-ლი დღის განთიადს.

ხვალ ამ ქუჩაზე კვლავ განახლდება დიდი ცხოვრება.

ჰოდა, რამდენი ასეთი ქუჩაა ამ დალოცვილ ქვეყანაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან გელაძე

ცხრა მთას იქით

როს ამცნობდნენ, დაფერფლაო მეხმა კაცი,
— ცხრა მთას იქით! —
შესძახებდა მყისვე დედა.
— ცხრა მთას იქით!
კვლავ ჩამესმის მე ხმა მკაცრი,
ცვარნამდაყრილ მის წამწამებს თითქოს ვხედავ.
ცხრა მთას იქით ისტუმრებდნენ ჭირს და ეშმაკს,
ცხრა მთას იქით ბოგინობდა მხოლოდ მტერი,
ჩამოაგდო შუღლი ზღვის და მთების ეშხმა.
ოქროდ უჩნდათ ჩვენი მიწა, ქვიშა, მტვერი.
დრომ წაიღო მოყივჩაღე და მოძალე,
ვის შერჩება სხვისი ცრემლი, სხვისი სისხლი!
დრო მოვიდა, ძმობის თასი გამოვცალეთ,
დრო მოვიდა, გადაშორდა ცხრა მთას ნისლი.
ცხრა მთას იქით გაჩნდა სატრფო და მოკეთე,
დღეს რა კაცი გამოისვრის ჩემსკენ ტყვიას,
ახლა მარჯვენს დამარცხებულს არ მოჰკვეთენ,
ახლა გული სხვა ლტოლვის და სწრაფვის ტყვეა.
ცხრა მთას იქით ჩვენ ვისტუმრებთ ძმებს და მოყვრებს,
სამტროდ ვინღა მობრუნდება ასეთ დარში,
— ცხრა მთას იქით, — გადასძახის მოყმეს მოყმე, —
ჩამოდი და ჩემთან დარჩი.

კახაბრის ველიდან

კახაბრის ველიდან მიმინო აფრინდა,
კახაბრის ველებზე მომწყურდა სირბილი,
ქარს მოაქვს სურნელი ფორთოხლის, დაფნის და
მახელებს ცვრიანი კორდების სირბილე.
სული მთხოვს, წამოდი კახაბრის ველადა,
ვიხილოთ ყანები, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანები სამწყერე,
წავიღოთ ცივ ღვინით ავსილი ხელადა,
რაც ნახო, რაც იგრძნო, დაწერე... დაწერე...
ნუ მკითხავთ, ნუ-მეთქი, საიდან სად ვართო,
ზღვა ცაზე, ცა ზღვაზე ან ლურჯი რად არი,
გახედე, გაშლილა ბაღები სავარდო,
შაშვების გალობას ყურს უგდებს ჭადარი.
კახაბრის ველიდან აფრინდა მიმინო,
ეჰეი, ვიღაცამ ნადირი დათოფა,
სული მთხოვს ჟვავიან ველებზე ვირბინოთ,
წამოდი, თუ გინდა სიცოცხლით დათრობა.

მ ც ხ ე თ ა

მე მბრძანებელი ახლა არა მყავს,
ჩემს ძლიერებას მზე აკლდა მაშინ,
თავს საუკუნე ადგას ამაყად,
ქარიშხალს სძინავს ცივ აკლდამაში.

მე ჩამოვყარე ღმერთები ციდან
და ავამაღლე მიწაზე კაცი.
ჩემს სადღეგრძელოს ქართველი
ცლიდა,
გარეთ მღიმარი და სახლში მკაცრი.

ვიყავ ქალაქი ჟამსა მეფეთა,
ოდეს გუმბათნი ავზიდე ცადა,
ფოლადის ხანა შემომეფეთა,
მკერდზე მახვილი დამკრა და მცადა.

მწარედ ვიგრძენი, რა მაკლდა მაშინ
და შევეფეთე მყისვე უკუნეთს.
სძინავს ქარიშხალს ცივ აკლდამაში,
დარაჯად უდგას თვით საუკუნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კვიცარიძე

საბეცელი

წუთისოფელი!

კარგად უთქვამთ სწორედ, მაგრამ გიორგის მაინც ეცინება ამ სიტყვაზე...

წუთისოფელი!

წუთს კი არა, ოთხმოც გრძელ წელიწადს ითვლის, ოთხმოცს...

დიდი დროა, ძალზე დიდი...

ბრძენია ხალხი, მართლაც წუთია ეს სოფელი...

საუკუნეც დიდია!

დიდია?!

აბა რატომ გაირბინა გიორგის თვალწინ მთელმა მისმა სიცოცხლემ ერთ წუთში?!.

აქ, ამ ეზოში გაიზარდა.

ჯერ გოგიას ეძახდნენ, მერე გოგის, გვიან გიორგის...

ახლა „ბატონო გიორგიც“ წამოცდება ზოგიერთს.

სად არ ყოფილა, სად არ უვლია, რა არ უნახავს და ბოლოს მაინც აგერ ზის, მამისეულ სართულნახევრიანი სახლის ფანჯარასთან. ზის, გასცქერის ეზოს, ქუჩას და იგონებს.

წინ დიდი ცხოვრებაა. თვალი ძველებურად აღარ უჭრის, მაგრამ ესმის ამ დიდი ცხოვრების ხმაური.

ესმის და უსმენს. ესაა და ეს.

ზის და იძირება საკუთარ ფიქრებში, იგონებს და აღადგენს...

უცნაურია, შარშანდელი არაფერი ახსოვს. შარშანდელი რაა, გუშინდელი ამბებიც მივიწყებია, მაგრამ შორეულ, ძალზე შორეულ სიმწარეს თუ სიხარულს თავისი ადგილი უპოვნია, კაცის გონების ერთ კუნჭულში ჩაბუდრებულა და ახლა ახსენებს თავის არსებობას.

ზაფხულის მშვენიერი დღეა.

მრავალჯერ გათენდება ასეთი დღე, ხვალ, გაისად...

გიორგი დაესწრება ხვალინდელ განთიადს, იქნება გაისადაც, მერე.. ისევ ამოვა მზე, ისევ შეაშრობს ცვარს ბალახზე, ისევ გადაშლის ვარდებს...

წუთია სოფელი...

ბრძენია ხალხი.

ნელა, სულ ნელა ირხევა მოხუცის გული.
ფეთქავს სუსტად, ძალზე სუსტად, მაგრამ მაინც ფეთქავს...
ოთხმოცი წელიწადი!
დაზარდა შვილები, გაჩნდნენ შვილიშვილები, შვილთაშვილები...
დაზარდა და დააფრინა.
ზოგი სად ცხოვრობს და ზოგი სად.
ხანდახან რომელიმე მათგანის ბარათს მოიტანს ფოსტალიონი. ხანდახან დეპეშას, ხან კიდევ თავადაც ჩამოვლენ და აივსება ეზო სიხარულით.
სახლში, ამ მამისეულ სახლში კი მხოლოდ გიორგი და ეკა დარჩნენ. დაფაჩუნობენ ოთახებში, ეზოში, უვლიან და ეფერებიან ერთმანეთს.
ეკა!
რა სახელია ეკა?!.
ახლა აღარავინ, აღარავინ არქმევს ბავშვს ასეთ სახელს.
არცერთ შვილიშვილს, არცერთ შვილთაშვილს არ ჰქვია ეკა.
გიორგი კი პირველსავე შვილიშვილს დაარქვეს.
ეკა!
რა საამოდ ჟღერდა ეს სახელი ორმოცდაათი წლის წინათ.
იდგა დარცხვენილი ჩიხტაკოპით, კოჭებამდე სწვდებოდა ნაწნავები და ჩუმად გადახედავდა გიორგის.
ეკა!
ხმამაღლა ფიქრობს გიორგი.
— რა იყო, კაცო? — ესმის ეკას ხმა.
მობაჩუნობს წელში მოხრილი, დაპატარავებული და...
— არ გაცივდე, კაცო, მოშორდი მაგ ფანჯარას!
ეკა!
ეს არის ეკა, გიორგის მეუღლე. ორმოცდაათი წლის მეგობარი. ერთმანეთს პატიოსნად შებერებულნი. ერთ სულად, ერთ ხორცად ქცეულნი.
არ უპასუხებს გიორგი. თავსაც არ აბრუნებს. არ უნდა შეხედოს, არ უნდა დაშორდეს ფიქრს.
ეზოს გასცქერის გიორგი და აგერ სულ ახლო, თუთის ძირას ხედავს ეკას. მუხლამდე აუკეცია კაბა. ნაწნავები მკლავებივით შემოხვევია ყელზე. შავი დიდრონი თვალებიდან ნაპერწკლები ცვივა.
— გოგი, გოგი! მოდი მომეშველე!
ეს არის ეკა...
— დაგეძინა, გიორგი? — ბურანში მოესმის ეკას ხმა.
არ მოიხედავს, არ გასცემს პასუხს. რა იქნება ადროოს ცოტა ხანს.
— გოგი, გოგი!
— მოვდივარ, მოვფრინავ, ჩემო ეკა!
ვიღაც მხრებზე ახურავს თბილ ხალათს.
— მეგონა ჩაგეძინა.
— ჰო, მეძინა...
ახლა მოუხედა მეუღლეს. დაუკვირდა. ეღიმება ეკას.
უცქერის გიორგის და ეღიმება, თითქოს ხვდება მის ფიქრს.
სათვალეს ისწორებს. რაღაც უნდა თქვას.
ნუ, ნუ იტყვის, ხმასაც ნუ ამოიღებს...
— წადი, ეკა, დაისვენე! — ამბობს გიორგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ოთახისაკენ მორჩილად მიდის ეკა. გიორგი თვალს გააყოლებს და ამოიოხრებს.

სუსტად, ძალიან სუსტად სცემს გული, მაგრამ მაინც სცემს.

არასდროს გაგყოფოდეთო სასთუმალი.

ასე ასწავლეს მშობლებმა გიორგის და ეკას.

ასე ასწავლეს შვილებს გიორგიმ და ეკამ.

არასდროს გაგყოფოდეთო სასთუმალი.

არასდროს?!

რამდენი ხანია ცალ-ცალკე ოთახში წვებიან, ცალ-ცალკე საწოლზე...

შუა კარი ღია აქვთ და ღამით გიორგის ესმის როგორ ახველებს და ხან-დახან კვნესის კიდეც ეკა.

ასეა ეკაც.

არასდროს გაგყოფოდეთო სარეცელი...

სამოცდაათს აღარაფერი უკლია ეკას.

ორმოცდაათი წლის წინათ შეუღლდნენ.

ორმოცდაათის?

— ეკა!

მეორე ოთახიდან მობაჩუნობს ეკა.

— მოდი აქ, დაჯექი, ეკა!

მორჩილად ჯდება მეუღლე გიორგის გვერდით.

— ერთი გახსენი გონება და მოიგონე, თუ ქალი ხარ!

— რა მოვიგონო, გიორგი?

— რა და აი, ის... — თითქოს დაირცხვინა გიორგიმ და ახლა აღარც უნდა გამხელა.

ზის ეკა და ელოდება.

— რომელ წელს დავიწერეთ ჯვარი?

პირდაპირ თვალებში ჩახედა ცოლს. არა, თვალებში კი არა, სათვალეში.

ეკა ფიქრობს და ანგარიშობს.

ვერა, ვერ მოიგონა ის წელი.

— არ ვიცი! ისე ორმოცდაათი წელი შეგვისრულდა, მგონი...

— ორმოცდაათი, ორმოცდაათი. — ჩიფჩიფებს მოხუცი და უხარია, რომ მანაც სწორად გამოიანგარიშა.

— ეკა!

— რა იყო, გოგი?

გოგიო!

ცემას უმატა გულმა.

— რა იქნება, რომ ერთი პატარა ვახშამი გავმართოთ. ორმოცდაათი წელი ხუმრობა ხომ არ არის! ა, რას იტყვი, ეკა!

ეკა დუმს, პასუხს აგვიანებს.

გიორგი ელოდება.

— კარგი, გავმართოთ. ქალიშვილს შევუთვლი, მოვიხმარ!

— არა, ასე არ მინდა. შენ თითონ, შენ თითონ უნდა შეძლო!

თანხმობის ნიშნად თავს უქნევს ცოლი.

— როდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხვალ!

— კარგი, გოგი, მოვახერხებ!

— მეც მოგეშველები, ეკა!

იცინის, არა, ღიმის ეკა. დგება და მეორე ოთახისაკენ მიბაჩუნობს.

...მეორე საღამოს გაიმართა ვახშამი.

სულ შვიდნი უსხდნენ მაგიდას.

კარის მეზობელი, ვარდენი თამადობს.

— ოქროს ქორწინებას გილოცავთ. იცოცხლეთ დიდხანს, ძალიან დიდხანს!

სადღეგრძელო ჯერ კიდევ არ ჩამოთავებულა და დაუკაკუნებლად შემოაღო კარები ფოსტალიონმა.

— კამპანიას გაუმარჯოს!

ეკა და გიორგი წამოდგნენ.

თორმეტი დეპეშა დაალაგა მაგიდაზე ფოსტალიონმა.

„საყვარელო დედა, ძვირფასო მამა, გილოცავთ ოქროს ქორწინებას".

„ჩვენო ტკბილო ბებია და ბაბუა, გილოცავთ და გკოცნით უთვალავს".

ცრემლები, ცრემლები...

ეზოში გამოვიდა გიორგი. ღვინის შემომატება მოიმიზეზა.

იარა და იფიქრა, მერე პატარა დოქით ხელში სტუმრებისაკენ გაემართა, მაგრამ სანამ მათთან შევიდოდა, ერთი ოთახის კარები შეაღო. იმ ოთახის, სადაც ათეული წლები ერთ საწოლზე გაატარეს ეკამ და გიორგიმ.

აქ იყო მათი სარეცელი.

კარებშივე გაქვავდა მოხუცი.

ეკას ისევ ძველებურად გაეწყო საწოლი.

ორი თეთრი ბალიში ერთმანეთზე მიედო. ორი ჭრელი საბანი გადაეფარებინა ლოგინზე.

ცემას უმატა გულმა.

ფრთხილად გამოიხურა კარები. თითქოს იმ სარეცელზე იწვნენ ეკა და გოგი და არ უნდოდა მათი გაღვიძება...

...ადრე წავიდნენ სტუმრები.

ისევ მარტო დარჩნენ მოხუცები.

სხედან სავსე მაგიდასთან და უცინიან, არა, უღიმიან ერთმანეთს.

დოქი მოიწია გიორგიმ. სასმისი აავსო. ერთხან ატრიალა ხელში ჭიქა. ეტყობა, რაღაც უნდა თქვას და უჭირს.

მორჩილად ზის ეკა.

— ეკა!

— თქვი, გოგი, გისმენ!

— ორმოცდაათი წელი ჩათავებულა. ორმოცდაათი წელი, ნახევარი საუკუნე დიდი დროა, ძალზე დიდი დრო და მაინც წუთია თურმე... — დაახველა, სახე შეუწითლდა, ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩი მოიწმინდა.

— ორმოცდაათი წელიწადი გიერთგულე მე შენ და შენ მე...

დიდი დროა, ძალზე დიდი.

ახლა, ამ ოქროს დღეს გეუბნები:

არასდროს არ მიღალატნია შენთვის, ეკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდახრილი ლაპარაკობდა გიორგი. უცქერდა მეუღლეს და თითქოს დარ-
ცხვენილიც ჩანდა...

— იქნებ გულში გამივლია, მაგრამ არასდროს არ მიღალატნია შენთვის,
ქალო!

ასე ნამუსიანად შეგაბერდი ხელში.

იცოცხლე, შენ გადღეგრძელებ, თანამეცხედრეს და მეგობარს ჩემსას.

შესვა.

ეკა დუმს.

გიორგი წამოდგა, ჩიბუხი მოიძია, თუთუნით გატენა, ცეცხლი მოუკიდა და
მოქაჩა.

დიდიხანია ხელში არ ჭერია ჩიბუხი.

ფანჯარასთან მისწია სკამი, ჩამოჯდა.

ვარსკვლავები კაშკაშებდნენ ცაზე. გრილი, ზაფხულის ღამის გრილი სიო
ქროდა.

ჯერ კიდევ არ ეძინა ქალაქს. ჯერ კიდევ ისმოდა დიდი ცხოვრების ხმაური.

ერთბაშად დაიძაბა გიორგი.

ეკას ქვითინი შემოესმა და მოიხედა.

ტიროდა ეკა. ტიროდა თავისთვის, ჩუმად...

— რა გატირებს, ეკა?

ცრემლით სავსე თვალებით უცქირა ერთხანს ქმარს.

— არაფერი! — ამოთქვა და ცრემლი შეიმშრალა.

ახლა გიორგი დააკვირდა ცოლს.

თავი ასწია ეკამ.

წუთით უცქირეს ერთმანეთს.

— თქვი, ეკა, რა გინდოდა...

— ორმოცდაათი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ, გიორგი...

ოდნავ კანკალებდა ქალის ხმა, თრთოდა ტუჩები და ცახცახებდნენ მუხ-
ლებზე დაწყობილი ხელები.

— მეც მინდოდა ვყოფილიყავი შენი ერთგული...

— რაო, რა თქვი?

— მეც მინდოდა ვყოფილიყავი ქმრის ერთგული, მაგრამ ვერ შევძელი...

— ?!

შუბლთან რაღაც მოაწვა გიორგის. უცებ ჩამობნელდა, იგი ვეღარ ხედავ-
და ორიოდე ნაბიჯში სკამზე მოკუნტულ ეკას.

მხოლოდ ხმა ესმოდა მისი. თითქოს შორეულ სამარიღან ესაუბრებოდა
ვიღაც.

— გახსოვს, ამ ორმოციოდე წლის წინათ ჯარიდან რომ დაბრუნდი, შენს
სოფელში დაგიხვდი მე... გახსოვს?..

წინა ღამეს, შენი დაბრუნების წინა ღამეს...

ტიროდა ეკა. ხელს იშველიებდა, ეშინოდა არ შეეჩერებინა იგი ქმარს.

— გულში არ მქონია ღალატი, იცოდეს ღმერთმა, მაგრამ მოსახდენი მაინც
მოხდა. იმ ერთხელ მოხდა და მთელი ჩემი სიცოცხლე ლოდად მაწევს ის ღამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულზე. შემინდე, გიორგი, მე არ ვიყავი დამნაშავე. შემინდე და მაშინ მოსვენებით წავალ ამ ქვეყნიდან...

ტიროდა ეკა.

დუმდა გიორგი.

იჯდა ფანჯარასთან და ვეღარ არჩევდა ვარსკვლავებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ ცაზე.

არ ესმოდა შრიალი ზაფხულის გრილი ნიავისა.

იჯდა და აღარ ფიქრობდა.

უხმოდ, უხმაუროდ ტიროდა ეკა.

ასე ისხდნენ ერთხანს.

ძლივს წამოდგა გიორგი.

შეკრთა ქალი.

არ შეუხედავს, ერთხელაც თვალი არ გადაუკრავს ცოლისაკენ.

მიდიოდა და ძლივს მიათრევდა ფეხებს.

წუთისოფელი!

იმ ოთახის კარები შეაღო, სადაც ცოლ-ქმრის საერთელი იყო გაწყობილი.

საწოლთან შედგა, დაიხარა, მარცხენა ხელით ბალიშის ყურს სწვდა, მარჯვენათი საბანი დაითრია და გავიდა...

თავისი პატარა ოთახის კარი შეაღო, ბალიში საწოლზე დააგდო და ზეღ დაემხო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჩხარჯიშვილი

ს ა ს წ ა ულ ი!

ტკბილი სიზმრებით ეძინა მთვარეს,
კდემამოსილი იყო მდუმარი.
თუმცა სიძუნწეს ვერ დავაბრალებ,
არა ჰყოლია დღემდე სტუმარი.
ცხოვრობდა ასე, მაგრამ ანაზდად
გამოაფხიზლეს ძილისგან იგი.
ჩვენი რაკეტა ავარდა მასთან,
არ უძებნია გზა და ბილიკი.
თუ ზეცა იყო სასწაულების
მიდამო, რაღაც ხელშეუხები,
დღეს საბჭოეთის ძალა იწამონ,
დე, მოიყარონ მის წინ მუხლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ ლეგუჩხანაშვილი

პატარა ქალიშვილი

საღამოვდებოდა. ჭადრების ხეივანით მივდიოდით. ჩვენს პირდაპირ ორი მანდილოსანი მოსეირნობდა.

ამხანაგი ჩემსკენ დაიხარა და ჩამჩურჩულა:

— მაღალი ჩემი ნაცნობია... დაბალი კი...

— მოვეშვათ ერთი...

— თუ ძმა ხარ... — მითხრა და ყელი დაიჩქმიტა.

ხათრი ვეღარ გავუტეხე.

მაღალი ქალური ალღოთი გრძნობდა ყოველივეს, აინუნშიც არ აგდებდა, არხეინად მოდიოდა, თითქოსდა მთელი ქუჩა თან მოჰქონდა... ჩამოქნილ ტანს განგებისად, სხვათა ყურადღების მისაპყრობად მიარხევდა.

პატარაზე გადავანაცვლე მზერა. შავი ჩამოშლილი თმა ვიწრო ბეჭებს ლამის უფარავდა. დანაოჭებული შავად მოლაპლაპე კაბა ეცვა. ნელი ნაბიჯით მიმავალ ამხანაგს მდუმარედ მიჰყვებოდა.

როცა მივუახლოვდით, მაღალმა ქალმა ჩვენსკენ მოიხედა. იცნო ჩემი ამხანაგი, გაუღიმა და გაჩერდა.

დავინახე მისი სიბერეშეპარული სახე, რომლის ნაკვთებს უკვე მოკლებოდა სინატიფე და სირბილე.. მშვენება მხოლოდ თვალებს შერჩენოდა, თაფლისფერ თვალებს.

— როგორა ხარ? — ჰკითხა ამხანაგმა, როცა მივუახლოვდით და ხელი გაუწოდა.

— კარგად, ძვირფასო, თქვენ როგორ?

— ძველებურად... იცნობდე, ეს ჩემი ამხანაგია.

გამომიწოდა თავისი დიდი ხელი. მაღლიდან დამხედა და თავაზიანად გაიღიმა, რაც სრულიადაც არ უხდებოდა. მერე ტანის უცნაური მიხვრა-მოხვრით მიუბრუნდა პატარა ქალიშვილს და გაგვაცნო.

ასე გავიცანი პატარა ქალიშვილი.

გვერდით ამოვუდექი და მდუმარედ გავუყევით გზას. ჩუმ-ჩუმად გადავხედავდი ხოლმე. თავი ჩაეღუნა და წარბები მოეჭმუხა. რაღაც უნდა მეთქვა, ასეთ დროს დუმილი უხერხულია. ის იყო დავაპირე კიდეც დუმილის დარღვევა... იგი განზე გადადგა და მაღალ ამხანაგს აეტუზა. არაფერი შევიმჩნიე, ორიოდე წუთის შემდეგ განგებისად ჩამოვრჩი, ისევ წამოვეწიე და ისევ გვერდით ამოვუდექი. კვლავ მხარი მაქცია.. მაღალმა უსაყვედურა:

— რა განზე გარბიხარ, გოგო! ამ კაცს დიდი ხანია ვიცნობ, ძაან კულტურული ია ზრდილობიანი ბიჭია, — გადმოძახედა და გახაგრძო: — ძგონი, არც ამხანაგი ეყოლება ისეთი...

პატარა ქალიშვილმა ხმა არ ამოიღო, თავი ჩაღუნა და ბოცოცა ტუჩები ისე ააცმაცუნა, თითქოს ლოცულობსო.

ოდნავ დავუინაურდით. აღარ გამირბოდა. თავჩაღუნული მოდიოდა.

— რა გქვიათ? — უცებ შევეკითხე და ღიმილით დავაცქერდი.

ცერად გამომხედა, დამცინავი ბალღური ღიმილით გამიღიმა და მითხრა: თეკლეო.

— ქართველი ხართ?

— დიახ!

— რაღაც არ გეტყობათ!

— ვითომ?

— ნამდვილად!

გაჩერდა, უკან მიიხედა.

— მარინე დეიდა, წავიდეთ რა...

— რა სულწასული ხარ, გოგო! — ყასიდად გაწყრა მარინე, — ისევე ჩაგაბარებ პატრონს, როგორც წამოგიყვანე აქ.

„თამაშობენ“, — გავიფიქრე და დავძინე: „ძლიერ გაცვეთილი ხერხია“.

გზა განვაგრძეთ. ისევ უმძრახებივით მივდიოდით. მესმოდა ჩემი ამხანაგი და მაღალი ქალი როგორ საუბრობდნენ.

მივდიოდი და ვფიქრობდი:

„ბოლოსდაბოლოს, ველარ გავიგე ვისთან მაქვს საქმე. ისეთი ქალიშვილი ხომ არ არსებობს, რომ კაცმა მისი გული ვერ იპოვოს. ოღონდ უნდა იცოდე, უნდა მონახო მისი სუსტი ქალური მხარე“...

ქუჩა გადავქერეთ. ყველავ დუმილით მივდიოდით. არ ვიცი რატომ, მივუბრუნდი და ისე საკიჭმაკიჭოდ ვუთხარი:

— თქვენ მსახიობი ხომ არა ხართ?

უცებ გამოცოცხლდა, თვალებში შემომხედა.

— თქვენ რა იცით? დიახ, ვარ! — მითხრა და დაჟინებით დამაცქერდა.

— თვალებზე გეტყობათ

პატარა ტუჩებში ცბიერად გაიღიმა და ქევქევად შემომხედა.

— იქნებ იცრუეთ, მაგრამ თქვენ ისეთი თვალები გაქვთ, სამწუხაროა, თუ არა ხართ მსახიობი.

ძალზე ახლობელივით გამიღიმა, ჩამაცქერდა თვალებში და მითხრა:

— მართლა მსახიობის თვალები მაქვს, მართლა?

— მართლა, განა მარტო თვალები, — სახეც!

მოუსვენრობა შევამჩნიე. უცნაური აღელვება, ყველაფერზე — თითებისა თუ თვალების მოძრაობაზე ველური და უზომო სიხარული ემჩნეოდა. ერთბაშად ენად გაიკრიფა.

— იცით რა, კინოში უნდა მეთამაშა. სურათი გადამიღეს და სტუდიაშიც კი მიმიყვანეს. მაგრამ... — ყელზე ღაღვა სიტყვა. უხერხულად შეიშმუშნა და ბოლოს მაინც ამოღერღა:

— ძალიან ცუდი ხალხი ყოფილა. რატომ არის იქ ცუდი ხალხი? ავდექი და წამოვედი.

ამაზე ვერაფერი ვუთხარი, სიტყვა ბანზე შევუგდე.

— აი რა, თეკლე...

ტუჩებზე ღიმილი გამოუკრთა, ღიმილი გამოუკრთა ფართო თვალებში. დიდხანს მიყურებდა ამ ღიმილით და მივხვდი, ასეთი ნაზი და კარგი ღიმილით ეს მე მაჯილდოებდა.

— მართლა თეკლე კი არა მქვია, გაგეხუმრე.

— მაინც თეკლის დაგიძახებ, — გავიღიმე და განვაგრძე: — იმას გეუბნებოდი, ჩემი მეგობარი რეჟისორია, ამ საქმეში მე დაგეხმარები.

— რომელი რეჟისორია თქვენი მეგობარი?

— თქვენთვის სულ ერთი არ არის?

— არ ხუმრობთ?

რამდენადაც შემეძლო, დავუმტკიცე, რომ არ ვხუმრობდი. მან ეს ძალზე ადვილად დაიჯერა.

— იცით რა, — ისევ აცმუკდა, ისევ აღფრთოვანდა, — თუ თქვენ მაგას გააკეთებთ, მერე, აი, ჩვენ კარგი მეგობრები ვიყოთ, აი, როგორც...

— კარგი მეგობრები?

ღიმილით შემომხედა, მატყლივით მძიმე შავი თმა გაეშალა და მხრებზე დაეფინა.

— ეჰე, — თავი დამიქნია.

მაშინ მე სულ უბრალოდ და მშვიდად ვუთხარი.

— კარგი შეყვარებულები რომ ვიყოთ?!

მიწას ჩააშტერდა და გაინაბა.

— რად გაჩუმდი?

კვლავ შემომხედა, დიდხანს მიცქერდა.

— ეგრე უცებ? როლის მიმიყვან იმ რეჟისორთან, ჩქარა?!

გაჩუმდა, ასე მდუმარედ მივდიოდით ერთხანს. შევამჩნიე: იღიმებოდა. ეს ღიმილი არ იყო ბოროტი ღიმილი, არც დამცინავი; ნამდვილად ვიღაც უჩინარს უღიმოდა, ან რაღაც ფიქრში იყო ჩაძირული. ერთი სიტყვით, ბედნიერი ღიმილით იღიმებოდა.

— რად იცინი?

უფრო გაიცინა და მითხრა:

— მე ერთი მეზობელი გოგო მყავს. ამას რომ გაიგებს, შურით გასკდება. ამიტყდება, მეც გამაცანი ის კაცი. იცი, რასა გავს? ქვაზე დახატული ეშმაკია. იმას გონია ქინოში ათამაშებენ. ყველას კი არ ათამაშებენ, არა?

— რა თქმა უნდა, არა.

ამასობაში ჩემი ამხანაგი და მაღალი ქალი წამოგვეწივნენ. ბაღში შევედით, თავისუფალ მაგიდას ოთხივენი შემოვუჯექით და ნაყინი შევუკვეთეთ. ამხანაგი დამაცქერდა, გაიღიმა და თვალი მიყო. ამით მანიშნა, ჩემი საქმე გაგჩარხეო.

ის ნაზად შეექცეოდა უკვე გამდნარ ნაყინს, დროდადრო გაჩერდებოდა, თითქოს სული მოითქვაო, კაბის სახელოდან პაწია მოქარგულ ცხვირსახოცს გამოაჩოჩებდა და მოიწმენდდა ხოლმე რძით დანამულ პაწია ტუჩებს, მერე ჩემსკენ გამოიხედავდა და ალერსიანად გამიღიმებდა.

— მართლა დამეხმარები? — მითხრა უბრალოდ, შინაურულად, თითქოს ჩვენს შორის ერთი წლის ნაცნობობა ყოფილიყოს. გამიკვირდა, მაგრამ არა შევამჩნიე რა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ ისევ დავწყვილდით და იქვე ახლად შეღებილ მერხზე ჩამოვჯექით.

ბაღში ნათურები აკაშკაშდა და უცებ ჩემს სულში გაიღვიძა მთვლემარე მოვალეობამ. სახლიდან გამოსვლისას ცოლს ამბავი დავუტოვე. ერთ საათში მოვბრუნდები-მეთქი. ერთი საათი უკვე გავიდა, იგი ახლა გზაზე იყურება და წრიალებს. ათასი სისულელე მოსდის თავში, წარმოიდგენს, რომ ტრამვაი ან მანქანა დამეჯახა... ერთი სიტყვით, ყველა საშინელებას წარმოიდგენს, რაც ამ ქვეყნად არსებობს და რაც ყველა მიწიშვილს შეიძლება მოულოდნელად დაატყდეს თავზე. გული აღარ ეტევა საგულეში, მაგრამ ახლა არ შემიძლია მივატოვო აქაურობა. მეტი რა გზაა, უნდა შემინდოს მეუღლემ.

ჩვენს წინ ოციოდე ნაბიჯზე ლამპიონების მკრთალი სხივების ქვეშ მიიგრაგნებოდა თონისფერი მტკვარი. მისი ხმაური ერწყმოდა ხეთა ფოთლების ნელ შრიალს და ერთ გრძელ დაუსრულებელ სიმფონიად იღვრებოდა გარშემო.

ახლოს მივიწიე, ის განზე გაჩოჩდა და წარბებქვემოდან ალერსიანი წყრომით შემომხედა. მე არ შევიმჩნიე, ვითომდა არაფერი მომხდარიყოს.

საუბარს მალე მოვაბით თავი. მან მითხრა: წელს საშუალო დავამთავრე და სამუშაოდ მექათმეობის ფერმაში გამაგზავნესო, თუმცა ვერას დიდებით ვერ მოიგონა რა ჰქვიოდა იმ სოფელს. დამეფიცა, მთელ დღეს გარეთ არ გამოვდივარო. მხოლოდ ერთხელ, როცა ჩემმა ღამ წყალზე გამგზავნა, ვიღაც ბიჭი ამედევნაო.

— ბრაზი მომივიდა, — მეუბნებოდა და მიცქეროდა თავისი დიდი, ალალი თვალებით. — იმ საზიზღარს ჩემი დისთვის უთქვამს, შენი ცოლი უნდა გავხდეო. რატომ ერთი არ მივუბრუნდი და არა ვცემე?! რას იცინი! — დაეჭმუჭნა წარბები და განაგრძო: — მართლა ვცემდი. შარშან ხომ ერთ ბიჭს გავარტყი სილა. ისიც ასე, სკოლიდან რომ გამოვდიოდი, დამიხვდებოდა ხოლმე გზაზე.

გავიცინე და ვუთხარი:

— მეშინია მეც არ მცემო.

გამიღიმა და თავი ჩაღუნა. მრავლისმეტყველი იყო ეს ღიმილი. იგი ვერ ფარავდა მისი სულის მოძრაობას, ისე როგორც ბავშვები ვერ ფარავენ თავიანთ ფიქრებსა და სურვილებს, სანამ ფეხს არ შედგამენ მიწიერ ცოდვებში, სანამ ცხოვრება არ აიძულებთ ასე მოიქცნენ.

ამასობაში შეუმჩნევლად ახლო მივუჩოჩდი. ვგრძნობდი მისი სახის სითბოს, ჩავყურებდი დიდ ჩაქუფრულ თვალებში, რომლებიც ჯადოსავით მიზიდავდნენ და მაცდუნებდნენ.

ხელი ფრთხილად დავადე მხარზე. რბილი და თბილი მხარი ჰქონდა. უცებ შეცბა, მხარი აიჩეჩა და განზე გასხლტა.

— რად მოხველ ახლოს?

— მერე რა?

— არა, რაც არ შეიძლება, არ შეიძლება.

თავი ჩაღუნა. ისევ გაეშალა სქელი თმა. სკამის საზურგეზე თითით რაღაცას ხაზავდა.

— იცი, რა უნდა გითხრა? — კვლავ მოუსვენრად დასრიალებდა მის სულში დიდი სურვილი. — რეჟისორმა რომ დამიწუნოს? აი, მე ხომ დაბალი ვარ?

— მაგისი ნუ გეშინია.

— მერე შენ არ გეწყინება, შეყვარებულის როლი რომ ვითამაშო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბავშვის როლს ითამაშებ.

— ჰო, მართლა. მე ხომ შემიძლია ბავშვი ვითამაშო, მაინც ხომ ვგევარ ბავშვს?

ამაზე საუბარი მის სულს სიტკბოებას ჰგვრიდა, ჩემს სულს კი ჯიჯგნიდა. მე ნაცნობი რეჟისორი არასოდეს მყოლია.

ისევ მის ახლოს აღმოვჩნდი, ჩავხედე თვალებში და სულ უბრალოდ ოდნავი ღიმილით ვუთხარი: თვალებში მაკოცნინე-მეთქი.

— აბა, რას ამბობ! იცოდე, გაგიწყრები. შენ ეგეთი სულაც არ მეგონეჯერ ხომ შენი არა ვარ. როცა შენი ვიქნები... იცი რა უნდა გითხრა, ერთმა მეზობელმა თქვა ჩემზე, ვულგარული სილამაზე აქვსო. რა არის ვულგარული?

— როცა თვალებში მაკოცნინებ, მაშინ გეტყვი.

— არა, არა, არა! — ჯიუტად გააქნია თავი.

კვლავ ქება შევასხი მის თვალებს და ვუთხარი, რომ ისინი ძილშიაც არ მომასვენებენ, რომ მკლავდა მათი კოცნის სურვილი და, თუ ამ სურვილს არ მოვიკლავდი, ისე გავბოროტდებოდი, რომ რეჟისორს ველარც კი ვნახავდი.

იოლად დაიჯერა და საგონებელში ჩავარდა.

ასე თუ ისე, მაინც ვაკოცე. მილულა თვალები და ტანში გააჟრჟოლა. ეიგრძენი ქუთუთოების სირბილე, გრძელი წამწამების ხამხამი.

გაწითლდა, თავი ჩაღუნა და ალერსიანად ჩამჩურჩულა:

— ახლა რა შეგემატა?

მერე შემომხედა, თმაზე დამაკვირდა, გადმოიხარა და ამაცალა პატარა ფოთოლი. აწეწილი თმა გამისწორა და ისევ დამაცქერდა. ვერ გეტყვით, იმ წუთიდან ნაღველი რად შემომენთო გულზე, ერთბაშად რად მოვდუნდი, რად დავკარგე ინტერესი.

— იცი, რა უნდა გკითხო? — ისევ მეტიკტიკებოდა: — აი, მარინეს ხომ ქმარი ჰყავს, რატომ დადის შენს ამხანაგთან?

— რა ვიცი, ჰკითხე და გეტყვის.

— ქუჩაში რომ მოვდიოდით, ყველა მარინეს უყურებდა. ხომ ლამაზი არ არის, მაშ რატომ უყურებდნენ? მაგასთან აღარ გავივლი, რა ვქნა, თუნდაც ეწყინოს.

ჩვენ შორის დუმილი ჩამოვარდა. უგუნებობა შემატყო.

— რად მოიწყინე.

— ისე, ვიცი ხოლმე.

გაჩუმდა. დიდხანს ორივენი ჩუმად ვიყავით. შევამჩნიე, ჩემი მოწყენილობა გადაედო. არაფერი ვუთხარი. ისევ თვითონ ალაპარაკდა.

— არ დაგავიწყდეს, შვიდში რვა საათზე ოპერის წინ რომ უნდა მოხვიდე.

— არა!...

— იქნებ, ვერ მიცნო! იცოდე, თეთრი კაბა მეცმება. შეიძლება მე აღარც კი წავიდე ფერმაში. იქ რომ ვიყო, ხშირად ვერ შევხვდებით ხოლმე, არა?!

— ჰო, — მე ზედ არ შევხედე, ისე ვუპასუხე.

— წავიდეთ ახლა, გამაცილე.

— რა გეჩქარება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვიანია უკვე. მამაჩემი ცოტა ავად არის. მარინემ მითხრა, შენ წადი, მე აქ უნდა დავრჩეო.

ყოველ მოძრაობასა და დუმილშიც კი ვამჩნევდი მას დიდ კმაყოფილებასა და აღტაცებას.

— იცი რა, შენ ორ გაჩერებაზე გამაცილე და მერე ჩამოდი.

მივხვდი, საგზაო ფული არ ჰქონდა. იმიტომაც უნდოდა ჩემი გაყოლა ორიოდე გაჩერებაზე. ამასობაში ბილეთს ავუღებდი. ტროლეიბუსში როგორც კი ავედით, მაშინვე ავიღე ბილეთები და მთხოვა, პირველ გაჩერებაზევე ჩავსულიყავ.

ჩამოვედი პირველ გაჩერებაზე; ვიდექი, სანამ ტროლეიბუსი წავიდოდა. როცა დაიძრა, იგი უცებ წამოხტა, ფანჯარას გადმოეყრდნო და დიდხანს მიქნევდა პაწია ხელს, დიდხანს იღიმებოდა.

ფეხით დავადექი გზას. რაღაც ხალვათობას ვგრძნობდი.

ახლა მე არავისი დარდი არ მქონდა, არაფერი მაწუხებდა და არაფერზე ვფიქრობდი.

შინისაკენ რომ მივდიოდი, ჩემთვის ვჩურჩულებდი:

— აოარ მოვალ პაემანზე, პატარა გულუბრყვილო ქალიშვილო, წადი შენს გზაზე.

შვიდი რიცხვისათვის საგანგებოდ ჩამოხვალ თბილისში. თუ არ გამოგიშვეს ფერმიდან — გამოიქცევი, თეთრ კაბაში გამოწყობილი დამელოდები ოპერის წინ, დიდხანს დამელოდები და მერე ცრემლიანი თვალებით გაეცლები ხმაურიან ქუჩებსა და გაცრუებული იმედების სამყაროს.

ვინ იცის, იქნებ აგრე სჯობდის შენთვის! ასე რომ არ იყოს, პაემანზე მოსვლით რა ფეხს მოვიტეხავდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ჩხაიძე

ჩემო აჭარავ!

დიდი სიცოცხლის გეღვრება ჩქერი
და ნარინჯები ზღვასავით ღელავს,
კვლავ უფრო მძლავრად გაშალე ფრთები
და შენი წინსვლა ახარე ყველას!
მათრობს ლურჯთვალა ჩაის სურნელი
და სიყვარული მთელი აჭარის.
ციდან იღვრება შუქი ულევი
და სისხლი მიდუღს, როგორც .მაჭარი.
გუგუნებს შრომა და სიმღერების
ხმები აჭრილა თითქოს ხომლამდი;
მოჩანს ბათუმი ზღვის ლურჯ ზვირთებში,
როგორც ამაყი მკერდი ხომალდის.
მეც ზღვის ზვირთივით გულში გეხვევი,
დავალ ნამიან შენს ვრცელ ველებზე,
მოვედი შენთან დღეს სიმღერებით
შენი გაზრდილი ერთი მელექსე
და აქაფებულ ჭორრხს გავყურებ,
ვეძებ ბავშვობას რძიან ჭალებთან...
ვკოცნი შენს მიწას, შენს სიჭაბუკეს
და ვდგავარ მე შენს ღია კარებთან.
სად ავახილე პირველად თვალი
და შევიცანი მთელი ქვეყანა...
აქ ყრია ჩემი აკვნის ნათალი,
თმაში ჭაღარაც აქ შემეპარა.
დიდი სიცოცხლის გეღვრება ჩქერი
და ნარინჯები ზღვასავით ღელავს,
კვლავ უფრო მძლავრად გაშალე მხრები
და შენი წინსვლა ახარე ყველას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელა კაკიბაძე

დედის გული

სამსახურიდან დაღლილი დაბრუნდი. მაშინვე ბიჭი იკითხე. ეზოში თამაშობს-მეთქი გითხარი და მოსაყვანად გავეშურე. გულმა აღარ მოგითმინა. კიბეებზე დამეწია. ძნელი იყო გამოცნობა, რა ფერის შარვალი ეცვა ჩვენს ბიჭუნას. ხელ-ფეხი სილასა და ტალახში ამოესვარა. სახეზეც აჩნდა ხელის ანაბეჭდი. შინ დაბრუნება არ ისურვა. გაჭირვეულდა. ტირილით შემოვიყვანე სახლში. ხომ ხედავ, რა დღეში გვყავს ბავშვი, მითხარი საყვედურით, წაიყვანე სოფელში ბებიასთან, თვითონაც უკეთ იქნება და მეც მოვისვენებო. აგისრულე თხოვნა. როცა დავბრუნდი, ფერმკრთალი მეჩვენე. ქუთუთოები შეგშუპებოდა ღამენათევს. უთქმელადაც მივხვდი მიზეზს. ორი დღის წასულს, ასეთ კითხვებს მაძლევდი:

— კარგად ეძინა?..

— ხომ არ იტირა?..

— ხშირად მახსენებდა?..

— როგორ შეატყვე, გაძლებს უჩვენოდ?..

მე დაგიმალე, თუ როგორ ხლუქუნებდა ის ძილის წინ. ისიც დაგიმალე, როგორ გამოვეპარე დილით. შენ მაინც წუხდი. ძილი გაგიტყდა. მოუსვენრობას გრძნობდი. გახდი კიდეც.

მერე დაჟინებით მთხოვე ბიჭი ჩამომეყვანა. მე შენი ნათქვამი მოგაგონე, წაიყვანე, თვითონაც უკეთ იქნება და მეც მოვისვენებო.

არაფერი გითქვამს. თვალი მომარიდე და მეორე ოთახში გადი. ვიგრძენი ტიროდი... არც გამკვირვებია...

დარდს, აგა, რა დაულევს

ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. საამოდ იზმორებოდნენ გაზაფხულისაგან დამსკდარი ატმისა და ტყემლის კვირტები. ძეწნის ფოთლებიც არ ირხეოდნენ. ბაღის განუყრელი მეგობრები ია და ველის გვირილა ძველი ნაცნობივით მიღიმოდნენ.

გალურსული ვზივარ ამ სამოთხის უბეში და მიხარია, რომ არავინ მირღვევს მყუდროებას. უეცრად ზღვის მძლავრმა გუგუნმა ყურთა სმენა დამიხ-

შო. ქარი არ ქროდა, ზღვა კი თავდავიწყებით ბობოქრობდა. მებადურივით ზღვის პირას გავჩნდი.

— რა გაღელვებს, რა გადარდებს, მითხარ, იქნებ გიშველო?

თეთრქოჩორა ტალღის ზვირთებმა უფრო მაღლა აიწიეს და ზათქითა და ხმაურით დაენარცხნენ ნაპირებს. მერე ზღვა ისევ ატორტმანდა და თითქოს ზეცას შეანარცხა მოქნეული ტალღები. თავაწყვეტით შეებრძოლა მოფარფატე თოლიებს. გული მაინც ვერ დააცხრო. დაგეშილი მდევარივით დაედევნა მოსრიალე ხომალდებს. ხომალდები ნაფოტივით ათამაშდნენ. გემბანები მეზღვაურებით აივსო.

ზღვის მოულოდნელი მღელვარებით ოდნავ შეშფოთებულმა კაპიტანმა ნაძალადევი ღიმილით გადახედა ეკიპაჟს...

— ზღვის გულისკენ! — მოისმა მისი მშვიდი ხმა.

— ზღვის გულისკენ! — გავიმეორე ჩურჩულით.

უენო ხომალდებმა ზღვის გულისკენ მოჰკურცხლეს.

აღარ მიკვირს ზღვის შფოთვა თუ მწუხარება ამდენი. თურმე გული ჰქონია და დარდს, აბა, რა დაულევს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინეზა ბერიძე

შენ მეუბნები...

შენ მეუბნები, ლექსები ვწერო,
მე კი ამისთვის არა მცალია:
მოვნახავ სადმე პალმების ჩეროს,
შემოვუჯდები ბალახს ცვარიანს.

და ასე დიდხანს... სამყაროს დაშლის
და სიდიადის დამღლის ფიქრები,
მერე ნიავი დაივლის ბაღში
და ვარდის მტვერით დავიფიფქები.

შენ მეუბნები, შევუნთო რითმას,
თუ რამ გამაჩნდეს მადლი ციური,
ამ სილამაზეს, ამ ბარს და იმ მთას
ვუმღერო ჰიმნი მარადიული.

შენ მეუბნები... მაგრამ დაიცა,
მო, ქვეყნის სუნთქვას დავუდარაჯოთ,
ჩუმად ვუცქიროთ ამ ზღვას, ა, იმ ცის,
განა არა ჯობს?..

იცი? არ იცი...

გინდა იცოდე გულში რა მიდევს,
რა ნაღველი მკლავს, რა მიხარია,
ასე რად ვეძებ მზიან ამინდებს,
თაყვანს ვცემ რუსთველს, ომარ ხაიამს?
მოყვარე თუ ხარ, მითხარი ბარემ,
თუ გამქირდავის სენით იწვები?
ვერხვის ფოთლებში დაეშვა მთვარე,
განა მიწვდები?
მაშ ხელებს სულში რად მიფათურებ,
სულს ხომ ვერ დაშლი ცალკე
მძივებად?
იქ სიკეთეს და სიძულვილს თურმე
ერთი გზის გავლა არ ემძიმებათ.
შენ კი არ გჯერა გულწრფელი ფიცი,
შენა გგონია ნიღაბს ვატარებ.
იცი?
არ იცი,
რა გაადარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი უჩუშაძე

სისხლიანი სურათი

(მეოცეს დღიურიდან)

ეს იყო დიდი სამამულო ომის დროს...

საბჭოთა არმიის რიგებში ერთად გაგვიწვიეს ძმები.

ანაპის ცნობილ წითელდროშოვან დივიზიაში ვირიცხებოდით.

პირველი საბრძოლო ნათლობაც ერთად მივიღეთ ქერჩის მისადგომებთან სივაშის გადალახვისას...

ჩვენს ოცეულს ნაბრძანები ჰქონდა მხარი დაეჭირა იმ შენაერთისათვის, რომელიც მტრის ერთ-ერთ გამაგრებულ წერტს უტევდა...

მესამე გასროლაზე ჩემმა ძმამ ყუმბარა მიზანში მოახვედრა.

— დაცხე! გენაცვალე მარჯვენში! — შეაქო იგი ოცეულის მეთაურმა და ჩქარი ჯერით ცეცხლის გახსნა უბრძანა.

— არის, ამხანაგო ლეიტენანტო! — დაიყვირა მან.

მე ვხედავდი საბრძოლო ჟინით ანთებული მებრძოლები როგორ გაფაციცებით აწვდიდნენ ჩემს ძმას ყუმბარებს, რომლებსაც ერთიმეორეზე ბიყოლებით უშვებდა იგი ნაღმსატყორცნის ლულაში...

მე კი... ხელთ ავიღე ყუმბარები და, თუმცა ნაბრძანები არ მქონდა, მაინც რიგრიგობით ჩავყარე მტრისკენ მიშვერილი ნაღმსატყორცნის ლულაში, და საბრძოლოდ მივმართე.

ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა ასე, რომ მტრის ყუმბარას ჩემი ძმა ნაღმსატყორცნიდან შორს არ გადაესროლა.

ყუმბარის ზათქმა ყურთასმენა წაიღო, გავშეშდი... თავზე ხელი მოვიჭირე, შინელის სახელო გამურულ სახეზე მოვისვი და ძმას მივვარდი. ძძიმედ კვნესოდა... ხალათს ღილები ავაგლიჯე და მკერდის არეში ჭრილობა მოვუძებნე. იღლიის ახლოს თითებზე თბილი სისხლი წამეცხო... გავმხეცდი, გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა... ჭრილობა მკლავზე აღმოაჩნდა. ოდნავ დავმშვიდდი.

დაყოვნების დრო არ იყო. ძმა წინახაზიდან გავიყვანე.

შედიცინის დამ მოირბინა და პირველი დახმარება აღმოუჩინა...

როცა ძმის ხალათის ჯიბე გავხსენი და საბუთები ამოვიღე, კომკავშირის მანდატსა და სამხედრო ბილეთს შორის ქაღალდში შეხვეული ჩემთვის უცნობი ქალის სურათი აღმოვაჩინე. დავაკვირდი, მიმზიდველი სახე და

წყლიანი თვალები ჰქონდა. მეშინაურა. რაღაც ახლობელი და მშობლიური დავინახე მე ამ სურათში. გულში სიხარული მომიზღვავდა...

სურათის კიდეები სისხლით იყო შეღებილი... მეორე გვერდზე წარწერა აღვადგინე: „ჩვენი სიყვარულის საჩუქარი იყოს, მომიგონე და დახედე“.

„ოჰო, ჩემს ძმას გულისვარდი ჰყოლია“, — გავიფიქრე და დაიმედებული — ძმას მზრუნველობას არ მოაკლებდნენ, ნაღმსატყორცნისაკენ გავემართე.

მალე მტრის გამაგრებული წერტი დავიკავეთ.

ირგვლივ თოფის წამლის სუნი იდგა...

ყუმბარებით მოხნული მიწა კვნესოდა...

* * *

იმ დღეს ჩვენ ერთმანეთს სიცოცხლეში პირველად (ისიც ოთხი წლით) დავშორდით. ამ ხნის განმავლობაში ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლების მონაწილე გავხდი, მაგრამ პირველმა საბრძოლო ნათლობამ ისეთი მძაფრი და დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ, ასე მეჩვენებოდა, ჩემი ძმა თითქოს ბრძოლების დამთავრებამდე ერთი წუთითაც არ მომშორებია, გვერდით მედგა იმედად, მამხნევებდა, ვამხნევებდი და ერთად ვებრძოდით მტერს.

* * *

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე, ცოლი შევირთე და ორივემ მასწავლებლად დავიწყეთ მუშაობა.

ჩემი ძმა ჩემს შემდეგ დაქორწინდა.

მის საცოლეს არ ვიცნობდი: ქორწილზე პირველად ვნახე. ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა, მაგრამ ვერ მოვიგონე სად და როდის მენახა იგი.

ქორწილის მეორე დღეს სამსახურში მეჩქარებოდა და ადრე ავდექით, მაგრამ თეოს (ასე ერქვა ჩემს რძალს) მაინც ვერ ავასწარით.

მან ჩვენს ოთახში შემოსვლის ნება ითხოვა. შემოვიდა. სათითოოდ გადაგვეხვია, გადავკოცნა და საჩუქრები დაგვირიგა.

სიხარულის ჟრუანტელმა ფეხის ფრჩხილებამდე დამიარა... გულში სითბო ვიგრძენი... მოხვეული ხელები არ მომიშორებია, მის მიმზიდველ წყლიან თვალებს ისე ჩავაცქერდი....

თეო მაშინ ვიცანი: მახსოვრობაში აღდგა სისხლიანი სურათი, დაჭრილი ძმის ხალათის ჯიბეში რომ ვნახე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ მუჯირი

განთიადისას

განთიადისას ზღვა მიყუჩდება
და თეთრი ქედები ჩანან ლანდებად,
მერე ჰორიზონტიც გაფერმკრთალდება,
მერე თანდათან ზეცაც ლურჯდება.
ხომალდის აფრა თეთრად პრიალებს,
მზე ამოდის და კიდეც ეძნელება,
ზღვაზე თოლიები ჩანან ენძელებად,
ზღვა მინდორია თითქოს ტრიალი...

* * *

მატარებლები წავლენ და მოვლენ,
ბოლი ღიმილად შერჩება ბორცვებს,
გთხოვე, „დარჩი“ და ვერ დაგიყოლე,
წახველ და, რა ვქნა, მაინც დაგლოცე.
ჰოდა, დღეები მიჰქრიან სწრაფად,
ჰოდა, სისინებს მავთულზე ქარი,
შენ გიპოვნია სადგური, ალბათ,
სადგურზე დაგხვდა პატარა ქალი...

მატარებლები წავლენ და მოვლენ,
ბაქანზე რჩება მაისის თქეში,
შენ უკვე სხვაგან დაეძებ ტოლებს,
ამ ვარდობის და ღიმილის თვეში.
... ახლა ვაგონებს შეაცვდათ ფარჩა,
... ახლა სარკმლიდან სხვა გამიღიმებს.
მხოლოდ მეისრე იგივე დარჩა,
მხოლოდ ბაქანი დარჩა იგივე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერნესტ ჰემინგუეი

კანარის ჩიტი ქალიშვილისათვის

მატარებელმა ჩაუქროლა წაგრძელებულ აგურის სახლს, რომელსაც ბაღი ეკრა, და ოთხი პალმის ჩეროში მაგიდები იდგა. აქეთა მხარეს ზღვა გადაშლილიყო. მერე გამოჩნდა ქვისა და თიხის ფერდობები და ზღვის ზედაპირი იშვიათად თუ გამოკრთებოდა შორს, კლდეების მიღმა.

„ის მე პალერმოში ვიყიდე. — თქვა ამერიკელმა ქალმა, — ჩვენ მხოლოდ ერთ საათს დავყავით იქ. კვირადღე იყო. მის პატრონს სურდა დოლარებით გავსწორებოდი; მეც ავიღე და მივეცი დოლარნახევარი. რომ იცოდეთ, რა მშვენივრად გალობს!"

მატარებელში ძლიერ ცხელოდა. კუპეშიც აუტანელი სიცხე იდგა. ღია ფანჯარა ვერაფერს გვშველოდა. ამერიკელმა ქალმა ფარდა ჩამოუშვა. ახლა უკვე სრულებით აღარ ჩანდა ზღვა, გაკვრითაც აღარ ჩანდა. ჭვირვალი მინის კარს იქით მოჩანდა დერეფანი და ღია ფანჯარა, ფანჯრის იქით — მტვრიანი ხეები, გზატკეცილი და გადაშლილი ზვრები, რომელთა უკან რუხი ბორცვები აღმართულიყო.

მარსელს მივუახლოვდით. მაღალი საკვამლე მილებიდან ბოლქვა-ბოლქვად ამოდიოდა კვამლი. მატარებელმა სვლას უკლო, ლიანდაგების ლაბირინთში რომელიღაც ხაზს დაადგა და ვაგზალში შევიდა. მარსელში მატარებელი ოცდახუთ წუთს გაჩერდა. ამერიკელმა ქალმა იყიდა „დეილი მეილი" და ნახევარი ბოთლი მინერალური წყალი. მერე ბაქანზე გაიარ-გამოიარა, მაგრამ ერთთავად ვაგონთან ტრიალებდა. თურმე კანში, სადაც თორმეტ წუთს მდგარიყვნენ, მატარებელი ნიშნის მიუცემლად გასულიყო და მას ბეწვზე მოესწრო ვაგონზე შეხტომა. ამ ქალს ცოტათი ყურს აკლდა და ეშინოდა, ვაითუ გასვლის ნიშანი მისცენ და ვერ გავიგონოო.

მატარებელი გამოვიდა მარსელის ვაგზლიდან. ახლა უკვე სამანევრო ხაზებისა და ფაბრიკის კვამლის გარდა გარკვევით მოჩანდა მთელი ქალაქი, მთებით შემოჯარული ნავსადგური და ჩამავალი მზის სუსტი სხივებით მოჩითული ზღვა. დაბინდებისას მატარებელმა ჩაუქროლა ახანძრებულ ფერმას მინდორში. გზაზე მსუბუქი ავტომანქანები ჩაემწკრივებინათ. ქვეშაგები და საოჯახო ნივთები გარეთ გამოეტანათ. უამრავ ხალხს მოეყარა თავი სეირის საყურებლად. ღამებნელში მატარებელმა ავინიონს მიატანა. მგზავრები გადიოდნენ და შემოდიოდნენ ვაგონში. პარიზს მიმავალმა ფრანგმა კიოსკში ფრანგული გაზეთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი ნომერი იყიდა. ბაქანზე ზანგი ჯარისკაცები იდგნენ. ხაკისფერი მუნდირები ეცვათ და მაღლები იყვნენ. ელექტრონის შუქზე სახეები უბრწყინავდათ. ძალიან შავები იყვნენ და ისე ძალიან მაღლები, რომ ფანჯარაში ადვილად იხედებოდნენ. მატარებელმა დატოვა ავინიონის ვაგზალი და ზანგი ჯარისკაცები. მათთან იყო ჩია ტანის თეთრი სერჟანტი.

ჩვენს კუპეში გამცილებელმა სამი საწოლი გამართა და ლოგინი დააგო. ამერიკელ ქალს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, რადგან მატარებელი ჩქარი იყო და საშინელი სისწრაფით მიჰქროდა. მას კი ეშინოდა ღამით ჩქარი სვლისა. იგი ფანჯარასთან იწვა. პალერმოელი კანარის ჩიტი შეფუთვნილი გალიით დერეფანში გამოიტანეს, გამჭოლ ქარს რომ მოერიდებინათ. დერეფანში ლურჯი სინათლე ენთო. მატარებელი მთელი ღამე გიჟივით მიჰქროდა და ამერიკელ ქალს ძილი არ ეკარებოდა, რადგან დარწმუნებული იყო უბედურება მოხდებაო.

დილით მატარებელი პარიზს მიუახლოვდა. ამერიკელი ქალი საპირფარეშოდან გამოვიდა. თეთრად გატეხილი ღამის მიუხედავად, ძალზე მხნედ გამოიყურებოდა. ეს იყო შუახნის ჩვეულებრივი ამერიკელი ქალი. გალიას სახვევი მოხსნა, მზეზე დაჰკიდა და სასაუზმოდ ვაგონ-რესტორანში გავიდა. როცა კუპეში დაბრუნდა, საწოლები უკვე აელაგებინათ, კანარის ჩიტი ფანჯრიდან ჩამოღვრილ მზის შუქზე ფრთხიალებდა და მატარებელი საცაა პარიზში შევიდოდა.

„მას უყვარს მზე, — თქვა ამერიკელმა ქალმა, — ცოტა კიდევ და ამღერდება“. კანარის ჩიტმა შეიფრთხიალა და ფრთების წმენდას მოჰყვა.

„მე ყოველთვის მიყვარდა ფრინველები, — თქვა ამერიკელმა ქალმა, — იგი შინ მიმყავს, ჩემს ქალიშვილს უნდა მივუყვანო. აი, ამღერდა კიდევაც!“

კანარის ჩიტმა ჟღურტული მორთო, ყელზე ბუმბული ეშალა, მერე თავი დახარა და ფრთებში ჩაინისკარტა. მატარებელმა მდინარე გადასერა და ახლად ატეხილ ტყიანზე მიდიოდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პარიზის გარეუბნები. აქაურობა სავსე იყო ტრამვაის ვაგონებითა და კედელზე აკრული უშველებელი რეკლამებით: ბელ ჯარტინე, დიუბონი და პერნო. რამდენიმე ხანს მე არ ვუსმენდი ამერიკელ ქალს, რომელიც ჩემს ცოლს ელაპარაკებოდა.

„თქვენი მეუღლეც ამერიკელია?“ — ჰკითხა მან.

„დიახ, — უთხრა ჩემმა ცოლმა, — ორივე ამერიკელი ვართ“.

„მე მეგონა ინგლისელები იყავით“.

„ო, არა!“

„იმიტომ ხომ არ გეგონათ, რომ საბეჭურებს ვატარებ?“ — ვუთხარი მე.

მას არ გაუგონია. ყურს თითქმის სულ არ ესმოდა და სხვის აზრს ტუჩების მოძრაობით კითხულობდა. მე კი მისთვის არ შემიხედავს. ფანჯარაში ვიყურებოდი. იგი კვლავ ესაუბრებოდა ჩემს ცოლს.

„მიხარია, რომ ამერიკელები ყოფილხართ. ამერიკელი მამაკაცი ყველაზე კარგი ქმარია მთელ ქვეყანაზე, — ამბობდა ამერიკელი ქალი, — სწორედ ამიტომ მივატოვეთ ევროპა. ვენეში ჩემს ქალიშვილს ერთი კაცი შეუყვარდა, — იგი შეჩერდა. — პირდაპირ გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი. — იგი ისევ შეჩერდა. — მე, რასაკვირველია, ჩემი ქალიშვილი წავიყვანე იქიდან“.

„და მან ყველაფერი დაივიწყა?“ — ჰკითხა ჩემმა ცოლმა.

„არა მგონია, — უთხრა ამერიკელმა ქალმა, — იგი სრულებით არაფერს ჭამს, არ ძინავს. რამდენი არ ვეცადე, მაგრამ აღარაფერი აინტერესებს. ყველაფერს გულგრილად უყურებს. მაგრამ, აბა, იმის ნებას ხომ ვერ მივცემდი, რომ უცხოელს ცოლად გაჰყოლოდა! — იგი შეჩერდა. — ერთი ჩემი ახლო მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობარი მეუბნებოდა ოდესღაც, ამერიკელ ქალს უცხოელი კარგ ქმრობას ვერ გაუწევსო“.

„ჰო, — უთხრა ჩემმა ცოლმა, — მეც აგრე ვფიქრობ“.

ამერიკელ ქალს მოეწონა ჩემი ცოლის სამგზავრო პალტო. თურმე ისიც კარგა ოცი წელია თავის ტანსაცმელს იმავე „მეზონ დე კუტურიეს“ უკვეთავდა ხოლმე სენტ-ონორეს ქუჩაზე. იმათ აქვთ მისი ტანის ზომა. იქვეა ნაცნობი ქალიც, რომელმაც იცის მისი გემოვნება, ტანსაცმელს ურჩევს და ამერიკაში უგზავნის. ამანათები ნიუ-იორკის საფოსტო განყოფილებაში მიდის, მისი სახლის გვერდით. იქ ამანათებს ხსნიან, რომ შეაფასონ. ბაჟი დიდი არაა, რადგან კაბები ძალზე უბრალოდ გამოიყურება, ყოველგვარი ოქრომკედისა და მორთულობის გარეშე და ძვირფასი არ გეგონება. ახლანდელი გამყიდველის ტერეზას წინ იქ იყო სხვა გამყიდველი — ამელი. ამ ოცი წლის მანძილზე ისინი მხოლოდ ორნი იყვნენ. გამომჭრელი ყოველთვის ერთი და იგივე რჩებოდა. მაგრამ ესაა, ფასები აიწია. თუმცა ფულის ახლანდელ კურსზე ეს დიდი უბედურება არაა. იმათ მისი ქალიშვილის ზომაც აქვთ. ახლა იგი დიდია და ზომის შეცვლა, ალბათ, არც იქნება საჭირო.

მატარებელი პარიზში შედიოდა. ლიანდაგებზე ბევრი ვაგონი იდგა — ყავისფერი ხის ვაგონ-რესტორანები და საწოლი ვაგონები, რომლებიც ხუთ საათზე იტალიისაკენ დაიძრებიან, თუ მატარებელი ძველებურად ხუთზე გადის. ვაგონებზე ეწერა პარიზი—რომი. აქვე იდგა ვაგონები, რომელთაც საჯდომები სახურავზე ჰქონდათ და რომლებიც ყოველთვის სავსე იყო ხალხით. ეს მატარებელი გარეუბნებს აერთებდა. გზაზე მოჩანდა სახლების თეთრი კედლები და ფანჯრები.

„ამერიკელი ყველაზე კარგი ქმარია მთელ ქვეყანაზე“, — ეუბნებოდა ამერიკელი ქალი ჩემს ცოლს. მე ბარგს ვაწყობდი დაბლა.

„მთელ ქვეყანაზე მარტო ამერიკელი მამაკაცია ცოლად გაყოლის ღირსი“.

„დიდიხანია ვევედან წახვედით?“ — ჰკითხა ჩემმა ცოლმა.

„ამ შემოდგომაზე ორი წელი იქნება. ეს კანარის ჩიტი ახლა მისთვის მიმყავს საჩუქრად“.

„თქვენი ქალიშვილის რჩეული შვეიცარიელი იყო?“

„ჰო, — უპასუხა ამერიკელმა ქალმა, — ვეველი იყო, კარგი ოჯახის შვილი. ინჟინრობა უნდოდა. ისინი ვევეში შეხვდნენ ერთმანეთს. ხშირად სეირნობდნენ ერთად“.

„მე ვიცი ვევე, — თქვა ჩემმა ცოლმა, — ჩვენ იქ გავატარეთ თაფლობის თვე.“

„მართლა? ალბათ, ყველაფერი ეს საუცხოო იყო. მე, ცხადია, აზრადაც არ მომსვლია, თუ მას ის კაცი შეუყვარდებოდა“.

„რა მშვენიერი ადგილია!“ — თქვა ჩემმა ცოლმა.

„ჰო, — თქვა ამერიკელმა ქალმა, — მშვენიერი ადგილია. თქვენ იქ სად ცხოვრობდით?“

„ჩვენ „სამ გვირგვინში“ ვცხოვრობდით“, — უთხრა ჩემმა ცოლმა.

„ჩინებული ძველი სასტუმროა“, — თქვა ამერიკელმა ქალმა.

„ჰო, — თქვა ჩემმა ცოლმა, — ჩვენ ძალიან კარგი ოთახი გვეჭირა, და შემოდგომაზე იქაურობას ხომ არაფერი სჯობს.“

„თქვენ იქ შემოდგომაზე იყავით?“

„დიახ“, — უთხრა ჩემმა ცოლმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჯრიდან გამოჩნდა სამი დამსხვრეული ვაგონი. სახურავები და კედლები შეჭეჭყილი ჰქონდათ.

„შეხედეთ, — ვთქვი მე, — კატასტროფა მომხდარა“.

ამერიკელმა ქალმა გაიხედა და დაინახა ბოლო ვაგონი.

„სწორედ ამის მეშინოდა მთელი ღამე, — თქვა მან. — ხანდახან საშინელი წინათგრძნობა შემიპყრობს ხოლმე. ჩქარ მატარებელში ღამით ჩემს სიცოცხლეში აღარ ჩავჯდები. განა ცოტაა სხვა მატარებელი, რომელიც უფრო მოსახერხებელიცაა და ასე გიჟივით არ დადის“.

ამასობაში მატარებელი ლიონის ვაგზალში შევიდა და გაჩერდა. მებარგულეები ფანჯრებს მოაწყდნენ. ბარგი ფანჯრიდან გადავაწოდე და გრძელ ჩაბნელებულ ბაქანზე გადმოვედით. ამერიკელმა ქალმა თავისი თავი კუკის სამი აგენტიდან ერთ-ერთს ჩააბარა, რომელმაც უთხრა:

„ამ წუთში, ქალბატონო, თქვენს გვარს მოვნახავ სიაში“.

მებარგულემ ურიკა მოაყენა და ბარგი ზედ დააწყო. მე და ჩემი ცოლი გამოვემშვიდობეთ ამერიკელ ქალს, რომლის გვარი უკვე იპოვა კუკის აგენტმა, და სია ჯიბეში ჩაიდო.

ჩვენ მებარგულეს გავყევით უკან მატარებლის გასწვრივ ბაქანზე. ბაქნის ბოლოს კარები იყო, სადაც ბილეთები ჩავაბარეთ.

ჩვენ ვბრუნდებოდით პარიზს, რათა ერთმანეთს გავშორებოდით და ამერიდან ცალ-ცალკე დაგვეწყო ცხოვრება.

ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი მაჭუტაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაბილო აბთილაყვა

ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ

უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ საქართველოს მშრომელები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავს. თავიანთი დიდი სამშობლოს — სსრ კავშირის ყველა მშრომელთან ერთად, ისინი უდიდესი ენთუზიაზმით აშენებენ ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას და სამართლიანად ამაყობენ სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული გრანდიოზული წარმატებებით, რომლებიც განუყრელად არიან დაკავშირებული მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსა და ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის გენიალური შემქმნელის, მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახელთან.

ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას უთმობდა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას და სწორი, მარქსისტული გზით წარმართავდა მას. ქართველი რევოლუციონერები ყოველთვის განუხრელად ახორციელებდნენ დიდი ლენინის მითითებებს, რჩევა-დარიგებებს და ხელმძღვანელობდნენ მისი მეცნიერული შრომებით, როცა საქართველოს მშრომელებს რაზმავდნენ მარქსისტულ-ლენინური დროშის ქვეშ. თავის ცნობილ წიგნში „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები“ ვ. ესაიაშვილი ამის თაობაზე სამართლიანად წერს: „1897-1898 წლებში სოციალ-დემოკრატი მუშები და ინტელიგენციის გატაცებით სწავლობდნენ ვ. ი. ლენინის ნაშრომებს და ეწეოდნენ მათ პროპაგანდას პრესის საშუალებით...“ ვ. ი. ლენინის ნაშრომების გავრცელებით „საქართველოში დაიწყო ახალი ეტაპი მარქსიზმის პროპაგანდაში და საერთოდ საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მთელ იდეურ მოღვაწეობაში“ (გვ. 51-52).

ითვალისწინებდა რა საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელთა ეროვნული შემადგენლობის ნაირფერობას, ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით ზრუნავდა მათი აღზრდისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ერთი მხრივ, იგი მკაცრად აკრიტიკებდა ქართველი მენშევიკების ნაციონალისტურ მისწრაფებებს,[1] ხოლო მეორე მხრივ, ყოველნაირად ხელს უწყობდა და უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ფრიად ნაყოფიერ მუშაობას, რასაც ისინი ეწეოდნენ სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელებს შორის ძმური სოლიდარობისა და ინტერნაციონალური ერთიანობის შესაქმნელად და განსამტკიცებლად. ასე, მაგალითად, 1913 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ვ. ი. ლენინი მაქსიმ გორკის წერდა: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები + სომხები + თათრები + რუსები ა თ წ ე ლ ი-

---

1 ასე, მაგალითად, სტატიაში „კიდევ სასკოლო საქმის დაყოფის შესახებ ეროვნებათა მიხედვით“ ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა ქართველ მენშევიკთა მამამთავარი ნ. ჟორდანია, რომელიც ამღვრევდა წყალს და სწამლავდა ამიერკავკასიის მშრომელებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის შხამით: „ბ-ნ ანის (ე. ი. ნოე ჟორდანიას—**ზ. ა.**) ასეთი ხერხი შეიძლება მხოლოდ სასაცილოდ ავიგდოთ, რადგან ყველამ იცის, რომ პრავდისტები იცავენ ენათა უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას... ბ-ნ ანს უილაჯო მრისხანების გამო თავგზა ებნევა“... და იქვე დასძენს, თუ „ბ-ნ ანს როგორ აშორებს ლიკვიდატორობა სოციალიზმს და აახლოებს ნაციონალიზმს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 659-660).

წადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად **ერთიან** ს.-დ ორგანიზაციაში. ეს ფრაზა არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტაა" (თხზ., ტ. 35, გვ. 76).

ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და თავის საბოლოო სიტყვაში პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ახლა საქართველო საბჭოთა ქვეყანა გახდაო. მანვე პირველმა დასახა ახლად შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანები, მათი განხორციელების გზები და საშუალებანი. კერძოდ, საქართველოს ეკონომიური აღორძინების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ამიერკავკასიის სამივე საბჭოთა რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ერთიანი სამეურნეო ორგანოს შექმნა. „დაბეჯითებით მოვითხოვ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის", წერდა იგი (თხზ., ტ. 35, გვ. 510).

1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინი კავკასიის კომუნისტებისათვის გამოგზავნილ წერილში მიუთითებს კავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის პოლიტიკურ მნიშვნელობაზეც, იმაზე, რომ ეს კავშირი შექმნის ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს: „ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს" (თხზ., ტ. 32, გვ. 397). „მშრომელი მასა ჩვენს მხარეზეა. — წერდა ის. — ამაშია ჩვენი ძალა. ამაშია წყარო მსოფლიო კომუნიზმის უძლეველობისა" (თხზ., ტ. 30, გვ. 60).

ვ. ი. ლენინს აუცილებლად მიაჩნდა და ქართველ კომუნისტებს დაბეჯითებით ურჩევდა ფართოდ გამოეყენებინათ რუსი კომუნისტების დიდი და ძვირფასი გამოცდილება, მაგრამ გამოეყენებინათ შემოქმედებითად, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. „ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, — წერდა ის, — არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები, ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917–1921 წლების გამოცდილების არა ანბანსიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები" (თხზ., ტ. 32, გვ. 399). საქართველოს კომუნისტური პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც 1920 წლის მაისში შეიქმნა, განუხრელად ახორციელებდა ვ. ი. ლენინის ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან მითითებას. ჩვენთვის გაზუთხვა საჭირო არ არის, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა ფაქტების ცოდნა, მეხსიერების განვითარება... „შეცდომის აშკარა აღიარება, მისი მიზეზების გამორკვევა, მისი გამომწვევი ვითარების ანალიზი, შეცდომის გასწორების საშუალებათა ყურადღებით განხილვა — აი ეს არის სერიოზული პარტიის ნიშანი, აი ეს არის მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულება, აი ეს არის კლასის, ხოლო შემდეგ აგრეთვე მასის ზრდა და სწავლება" (თხზ., ტ. 31, გვ. 52). ამიტომ ვ. ი. ლენინი დარწმუნებით წერდა, რომ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა არ შეიძლება განხორციელდეს, თუ მშრომელი მასები მთლიანად არ იქნებიან ჩაბმულნი ახალი ცხოვრების ნაყოფიერ მშენებლობაშიო. „რაც უფრო დიდია გაქანება, რაც უფრო დიდია ისტორიულ მოქმედებათა მოცულობა, მით უფრო მეტია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ამ მოქმედებაში მონაწილეობენ, და, პირიქით, რაც უფრო ღრმაა გარდაქმნა, რომლის მოხდენაც ჩვენ გვსურს, მით უფრო უნდა გავაძლიეროთ მისდამი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები. საბოლოო ანგარიშით ჩვენმა რევოლუციამ იმიტომ მოიტოვა შორს ყველა დანარჩენი რევოლუცია, რომ მან საბჭოთა ხელისუფლების მეშვეობით სახელმწიფო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის აამოძრავა იმ ადამიანთა ათეული მილიონები, რომლებიც წინათ დაინტერესებული არ იყვნენ ამ მშენებლობით" (თხზ., ტ. 31, გვ. 612).

სტატიაში „ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის" ვ. ი. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა ითვალისწინებდეს პირადი დაინტერესების პრინციპს. ლენინი გვასწავლიდა, რომ კომუნიზმზე გადასვლის მრავალი წლის პერიოდში უნდა ვაშენოთ „არა უშუალოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ენთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესზე, პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშიანობაზე დაყრდნობით... სხვანაირად თქვენ ვერ მიხვალთ კომუნიზმთან, სხვანაირად თქვენ ვერ მიიყვანთ კომუნიზმთან მრავალ ათეულ მილიონ ადამიანს" (თხზ., ტ. 33, გვ. 46-47).

სახალხო-სამეურნეო ამოცანების განხორციელებასთან ერთად ვ. ი. ლენინი ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვდა სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრის მტკიცე და საიმედო დამცველის შექმნას. „2–3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია" (თხზ., ტ. 33, გვ. 226). დიდი ბელადის ამ ბრძნული მითითებით საქართველოში ჯერ დაარსდა სამხედრო-პოლიტიკური სკოლა, ხოლო შემდეგ შეიქმნა ქართველ კურსანტთა შეერთებული სკო-

ლა და ჩამოყალიბდა ქართული დივიზია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველი მუშებისა და გლეხების რევოლუციური მონაპოვრის დაცვის საქმეში.

ვ. ი. ლენინს საქართველოს კომუნისტების უპირველეს საბრძოლო ამოცანად მიაჩნდა კარგად შეესწავლათ და შეეთვისებინათ ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსი, ფართოდ განემარტათ იგი მასებისათვის, პირველ რიგში თვით კომუნისტებისათვის. მართალია, საქართველოს არ გაუვლია სამხედრო კომუნიზმის ხანა და, მაშასადამე, მისთვის უცხო იყო სასურსათო გაწერის პოლიტიკაც, მაგრამ ვ. ი. ლენინი სერგო ორჯონიკიძეს მაინც აფრთხილებდა: „თქვენ და ქართველმა ამხანაგებმა შეითვისეთ თუ არა მნიშვნელობა ჩვენი ახალი პოლიტიკისა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით? წაუკითხეთ ეს მათ და უფრო ხშირად მიგზავნეთ ცნობები“ (თხზ., ტ. 35, გვ. 510).

ვ. ი. ლენინი დაუცხრომლად ზრუნავდა საქართველოს მდინარეების გამოყენებისა და ზაჰესის მშენებლობისა და დაფინანსებისათვის, ჭაობების ამოშრობისა და სარწყავი არხების მშენებლობისათვის და ა. შ. „მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“ (თხზ., ტ. 32, გვ. 399–400).

ამიერკავკასიის გაფართოებულ პარტიულ თათბირზე ს. ორჯონიკიძემ 1926 წელს განაცხადა: „საირიგაციო სამუშაოთა დარგში, მივყვებოდით რა ამხ. ლენინისაგან მიღებულ დირექტივას..., ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ ძველი, მიტოვებული სარწყავი სისტემის ქსელი, არამედ ავაშენეთ და შენდება მთელი რიგი ახალი არხები, რომლებიც ადიდებენ გამოსადეგ მიწების ფართობს“ (ვ. ესაიაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 355).

ვ. ი. ლენინი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს უცხოელ კაპიტალისტებთან საქართველოს მთავრობის მოლაპარაკებას, სახელშეკრულებო პირობების დადებას და აფრთხილებდა საქართველოს ხელმძღვანელ კომუნისტებს, რათა არ დაედოთ ხელშეკრულება რაიმე არახელსაყრელ პირობებში. იცოდა რა ამ მხრივ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, იგი ნამდვილ მამობრივ მზრუნველობას იჩენდა საქართველოს მშრომელებისათვის. პარტიის X ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ვ. ი. ლენინი ყრილობის დელეგატებს მიმართავდა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ. საქმე ის არის, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, გავაძლიეროთ ჩვენი რესპუბლიკის ტექნიკური მოწყობილობა, გავადიდოთ პროდუქტების რაოდენობა, სურსათისა და მოხმარების საგნების რაოდენობა ჩვენი მუშებისათვის“ (თხზ., ტ. 32, გვ. 329). ეხებოდა რა ბაქოს ნავთის წარმოების გაუმჯობესების ღონისძიებებს, განიხილავდა რა ბაქოდან ნავთის გამოზიდვის საკითხს, ვ. ი. ლენინს საჭიროდ მიაჩნდა აზერბაიჯანისა და საქართველოს სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანება.

და მართლაც, ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით ფართო პროპაგანდისტულ-საგიტაციო და ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღეს და უკვე 1921 წლის აპრილში გადაიდგა პირველი ნაბიჯი სამეურნეო გაერთიანებათა გზაზე. საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაიდო ხელშეკრულება რკინიგზების გაერთიანების შესახებ. ამიტომ იყო, რომ ს. ორჯონიკიძემ კმაყოფილებით აღნიშნა: „კედელი გარღვეულია. ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება მომხდარი ფაქტია. ეს არის პირველი ნაბიჯი კავკასიის ეკონომიური გაერთიანების გზაზე“ (თხზ., ტ. 1, გვ. 232).

გაითვალისწინეს რა ეს გარემოება, საქართველოს კომუნისტებმა გააჩაღეს ბრძოლა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში გაერთიანებისათვის, რამაც უზრუნველყო არა მარტო ამ რესპუბლიკების ეკონომიური აღორძინება, არამედ ამასთან ერთად ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ელემენტების აღმოფხვრაც და კავკასიის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სრული განმტკიცება.

1922 წლის გაზაფხულზე (1 მარტს) შეიკრიბა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენცია. დადებულ იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება და გამოცხადდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობამ თავის განვითარებაში შესანიშნავი გზა განვლო. ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე სსრ კავშირი შეიქმნებოდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა დაამყარეს კავშირი რუსეთის სფს რესპუბლიკასთან.

როგორც ცნობილია, ამ პერიოდში, ი. ბ. სტალინმა შეიმუშავა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროექტი, რომელსაც ეწოდებოდა „თეზისები ავტონომიზაციის შესახებ“. მაგრამ ვ. ი. ლენინმა მიუღებლად ჩასთვალა ეს თეზისები და წამოაყენა თავისი წინადადება, რომლის მიხედვით საბჭოთა რესპუბლიკები უნდა შესულიყვნენ არა უკვე არსებულ რუსეთის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შეექმნათ სრულიად ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ი. ბ. სტალინმა უსიტყვოდ მიიღო ვ. ი. ლენინის

ეს წინადადება. ვ. ი. ლენინი კონ-კრეტულად აყენებდა საკითხს ყველა პარტიული ორგანიზაციის წინაშე, რათა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ორგანოები ისეთნაირად აგებულიყო, რომ სავსებით დაეცვათ მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი და გასაქანი არ მისცემოდა ველიკორუსულ შოვინიზმს.

ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ 1922 წლის 13 დეკემბერს თავის რეზოლუციაში ჩაწერა, რომ სოციალისტური რესპუბ-ლიკების კავშირი უნდა შექმნან შემდეგმა რეს-პუბლიკებმა: რსფსრ, უკრაინამ, ბელორუსიამ და ამიერკავკასიის ფედერაციამ (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). ეს იყო სრული საბჭო-თა ფედერაციის ნიმუში, რომელიც განსხვავდე-ბოდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოცი-ალისტური რესპუბლიკისაგან, რადგანაც აქ ფე-დერაცია აგებული იყო არა ავტონომიის სა-ფუძველზე, არამედ ყველა თანასწორუფლებია-ნი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის კავშირის საფუძველზე, მასში შემავალი თითოეული რეს-პუბლიკის სუვერენიტეტის დაცვით.

ჩვენი ქვეყნის შემდგომი პოლიტიკური და სამეურნეო განვითარებისა და განმტკიცების მიზნით, პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამ ბოლო დროს მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი განახორციელეს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისათვის, რის შედეგა-დაც კიდევ უფრო ამაღლდა მასების პოლიტი-კური და შრომითი ინიციატივა და თვითმოქმე-დება, გაუმჯობესდა სამეურნეო-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა, კიდევ უფრო გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებები და განმტკიცდა მათი ძმობა და მეგობრობა.

ახლა სსრ კავშირში არ არის ისეთი რესპუბ-ლიკა, რომელსაც არ ჰქონდეს არა მარტო ფარ-თოდ განვითარებული სახალხო მეურნეობა, არ-ამედ ფრიად მაღალი კულტურაც. ყველა რეს-პუბლიკაში შექმნილია საკუთარი საკვლეო-სა-მეცნიერო ინსტიტუტები, საშუალო, ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი, მეცნიერებათა აკადემიები და სპეციალისტთა ისეთი კადრები ჰყავს, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების ოდენა ქვეყანა თვითონ დააკომპლექტოს საკუ-თარი კადრებით. ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად ასრულებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა თავისუფალია და ნამ-დვილად დამოუკიდებელი.

ამჟამად მთელი ქართველი ხალხი, სსრ კავ-შირის ყველა მშრომელთან ერთად, ენერგიუ-ლად იბრძვის პარტიის XXI ყრილობის მიერ მეცნიერულად დასაბუთებული საბრძოლო პრო-გრამის განხორციელებისათვის, თავდადებით იბრძვის შეიდწლიანი გეგმის შესრულებისათ-ვის, რათა ახალი წარმატებებით შეხვდეს თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველო-ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორ-მოცი წლისთავს და სკკპ მორიგ XXII ყრილო-ბას.

ჩვენი სოციალისტური ქვეყანა თავისი ძალე-ბის გაფურჩქვნის ხანაში იმყოფება. ლენინიზ-მის დროშით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები ძლევენ ყველა დაბრკოლებას და მტკიცე რწმენით მი-დიან წინ, კომუნიზმის ნათელი მწვერვალები-საკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ღუმბაძე

„არსენა მარაბდელის“ ზოგიერთი მხატვრული ხერხი

მხატვრული ნაწარმოების სპეციფიკა, როგორც ცნობილია, სახეებით აზროვნებაა. ნაწარმოები მხატვრულია მაშინ, როცა მწერალი იდეას გადმოგვცემს არა სილოგიზმებით, არამედ მხატვრული სახეების მეშვეობით. რამდენადაც მწერალი უკეთ შეძლებს იდეა წარმოგვიდგინოს ცოცხალი ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობაში, ისე რომ არ ახდენდეს გარედან შეტანილის შთაბეჭდილებას, იმდენად უფრო მხატვრულია ნაწარმოები. პერსონაჟის ხასიათი უპირველეს ყოვლისა უნდა ჩანდეს მოქმედებაში და არა მარტო მის მიერ წარმოთქმულ „არგუმენტურ სიტყვაში“.

მაშასადამე, კარგი მხატვრული ნაწარმოები რომ შეიქმნას, ამისათვის არ კმარა მარტო ცხოვრების ცოდნა. ამასთან ერთად მწერალს უნდა შეეძლოს იდეის მხატვრული განსხეულება, მისი მხატვრულად გადმოცემა. მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი რომანის „არსენა მარაბდელის“ უდიდესი ღირსებაც სწორედ ის არის, რომ მწერალი თავის იდეებს მშრალად, პუბლიცისტური გზით კი არ გადმოგვცემს, არამედ გვაჩვენებს პერსონაჟთა მოქმედებაში, მათს ყოველდღიურ საქმიანობაში და ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, მთელ ეპოქას რეალისტურად და დიდი დამაჯერებლობით წარმოგვისახავს.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში უკვე დიდი ხანია მიხეილ ჯავახიშვილი მიჩნეულია ფაბულის, სიუჟეტის გაშლა-განვითარების და საერთოდ კომპოზიციის დიდოსტატად, რომელიც ადვილად ახერხებს დაიპყროს და გაიტაცოს მკითხველი.

სამართლიანად წერს ამის შესახებ კრიტიკოსი ტარიელ კვანჭილაშვილი: „მიხეილ ჯავახიშვილი თხრობის ოსტატია. მისი წაკითხვა ყოველთვის მიმზიდველია...

ეს შედეგი მიღწეულია მწერლის თავისებური ხერხებით, რომელსაც იგი ხატვისა და ჩვენების დროს იყენებს.

აი, ეს ხერხები:

1. მწერლის თხრობა,
2. პერსონაჟის მოქმედება,
3. პერსონაჟის თვალით დანახულის გადმოცემა,
4. პერსონაჟის მიერ ნაფიქრალის გადმოცემა,
5. დიალოგები პერსონაჟთა შორის“.[1]

ხუთივე ამ ხერხს მწერალი ერთმანეთის მონაცვლებით იყენებს და ნაწარმოების აგებულებაც ნაირფეროვანი და საინტერესოა.

განსაკუთრებით ოსტატურად არჩევს და იყენებს მწერალი მხატვრულ დეტალს, რომელსაც ყოველთვის აკისრებს ერთ ამოცანას — მისი მეშვეობით გახსნას პერსონაჟის ხასიათი, გვიჩვენოს ხასიათის ესა თუ ის ნიშან-თვისება. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს პაპა მახარას მიერ არსენას ნებისყოფის გამოცდის ეპიზოდი. მწერალი აქ შემდეგ მხატვრულ დეტალს იყენებს:

გაჯოხილი მარაბდელები საჯინიბოში შეყარეს. დაპატიმრებულია არსენაც. გაჯოხილები ბოღმას ანთხევენ, ბატონყმობის დანგრევით იმუქრებიან. მახარამ სცადა დაემშვიდებინა ისინი, უქადაგა მოთმინება, ურჩია, სისხლს ნუ დაღვრითო, მაგრამ მაინც თავისას გაიძახოდნენ: „— დავღვრით!.. გადავუხდით! არ შევარჩენთ!“

და, აი, პაპა მახარას სურს თვითონ დარწმუნდეს მებრძოლთა ნებისყოფასა და ჭირთამტანობაში:

1 ტარიელ კვანჭილაშვილი, „ლიტერატურული წერილები“., გვ. 58, 1939 წ.

„მახარა ისევ ტახტზე ჩამოჯდა, ქისა და ჩიბუხი ამოიღო და არსენას აჰხედა. მარაბდელი მიუხვდა და მაშას დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვა. მისი პაპა კი უცნაურად იღიმებოდა. სდუმდა და თითქოს სხვა რაღაცას ელოდებოდა. არსენამ ხელით აიტაცა ნაკვერცხალი, მახარა კი კვლავ იღიმებოდა და ქისის ძირში ნელი-ნელ აფათურებდა თითებს. მარაბდელი ნაკვერცხალს ჯერ ხელის გულზე ატრიალებდა, მერე ორ თითში გააჩერა, კრიჭა შეიკრა და გახევდა. პაპა არა ჩქარობდა, თითქოს არსენას არ ამჩნევდა, ნამდვილად კი ყველაფერს ხედავდა და იღიმებოდა. ყველანი გაჩუმებული იყვნენ და არსენას მისჩერებოდნენ. ისინიც მიხვდნენ, რომ პაპა მახარა თავის შვილიშვილს სასტიკი და ულმობელი ფანდით სცდიდა. მათ ეგონათ, უკვე ერთი საათი გავიდა და ცეცხლი არსენას ძვალზე დავიდაო. მწუხარებამ სული შეუგუბა მათ, მაგრამ ჯერ მაინც ითმენდნენ და გამოცდის დასასრულს ელოდებოდნენ. მახარაც ვადის მოწევას ელოდებოდა. არსენას კი თითებზე შინინი ასდიოდა. როცა ჰაერში დამწვარი ხორცის სუნი დატრიალდა, პაპამ ამაყი ღიმილით აჰხედა თავის ჩამომავალს და ჩიბუხი გაუწოდა.

მარაბდელმა ნაკვერცხალი დაუდო, დინჯად შეუსწორა და ისევ ბუხარს მიეყუდა“.

ამ მრავალმხრივ საინტერესო დეტალში უშუალობით, პირდაპირობით და გამბედაობით გვხიბლავს როგორც პაპა მახარას საგამოცდო გაკვეთილი, ისე არსენას მტკიცე ნებისყოფა და გმირული სული. ამავე დროს მისი მეშვეობით მწერალმა ხაზი გაუსვა მშრომელი გლეხობის გადაწყვეტილების ურყევობას და ჯანსაღ სულიერ სამყაროს.

ბრწყინვალედ იყენებს მიხეილ ჯავახიშვილი დეტალს ექსპლოატატორთა სილაჩრისა და სულიერი სიღატაკის ნათელსაყოფადაც. გავიხსენოთ თუნდაც ის ეპიზოდი, როცა მაიორ არლოვს ნაღრძობ მხარს მკურნალობდა დასტაქარი ზაქრო ბაჯიაშვილი. არლოვმა ტკივილი ვერ მოითმინა და მკურნალს დამბაჩით მოკვლა დაუპირა. ამის შესახებ რომანში ვკითხულობთ:

„მუხათიდან მოყვანილმა დოსტაქარმა ზაქრო ბაჯიაშვილმა მაიორს მკლავი გაუსინჯა და ოღნავ მოსწია. ბასილა ისე აბღავლდა, რომ მისი ხმა ალგეთის ნაპირზედაც კი გაიგეს. შემდეგ დამბაჩა იძრო და ფერწასულ ექიმს დაუმიზნა:

— მოგკლავ! გესვრი, შენი... — და ხუთსართულიანი რუსული საცხონებელი მიაყოლა“.

ორივე ამ დეტალის შეპირისპირება ნათლად გვარწმუნებს, რომ მწერალი შესანიშნავად იცნობს ცხოვრებას, ადამიანთა ფსიქოლოგიას და უნარი შესწევს დეტალის მეშვეობით გახსნას ხასიათი, ხაზი გაუსვას მის ამა თუ იმ ძირითად ნიშან-თვისებას.

„არსენა მარაბდელში“ ბევრი პერსონაჟია. რა თქმა უნდა, პერსონაჟთა სიმრავლე თავისთავად არაფერს მატებს მხატვრულ ნაწარმოებს, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ოცდაათზე მეტი პერსონაჟი, რომლებიც რომანში მოქმედებენ, მწერალმა გვიჩვენა ზრდასა და განვითარებაში. ისინიც კი, რომლებიც მეორეხარისხოვანია და სულ რამდენჯერმე გამოჩნდებიან, დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებენ მკითხველზე. ყველა მათგანს რომანში საკუთარი ადგილი აქვს და გარკვეულ როლს ასრულებს როგორც სიუჟეტის განვითარებაში, ისე რომანის იდეურ გადაწყვეტაში.

მხატვრული ლიტერატურის ვრცელი ისტორია მოწმობს, რომ ნაწარმოებში პერსონაჟის შემოყვანის რამდენიმე ხერხი არსებობს. ზოგი მწერალი პერსონაჟის პორტრეტის აღწერით იწყებს მის შემოყვანას ნაწარმოებში, ზოგი თავგადასავლის თხრობით, ზოგიც კიდევ პერსონაჟს მოქმედებაში გვიჩვენებს.

მ. ჯავახიშვილი უმთავრესად მიმართავს პერსონაჟის მოქმედებაში ჩვენებით შემოყვანის ხერხს. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ რომანის დასაწყისი. „— ფუჰ, შეგარცხვინოს ღმერთმა! — ბრაზით წამოიძახა ზაალ ბარათაშვილმა...“ თხრობის დაწყება და პერსონაჟის შემოყვანა ერთდროულად ხდება. შემდეგ ფაბულა იშლება, თანდათანობით შემოდიან სხვა მოქმედი პირები — არსენა, კუჭატნელი, ერეკლე, დავითი, ორბელიანები, ბარათაშვილი და სხვები.

რომანში არის ჩართული ეპიზოდები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი ხელს უწყობს სიუჟეტის განვითარებას და რომანის ძირითადი იდეის გახსნას. განსაკუთრებით საგულისხმოა ამ თვალსაზრისით გლეხური სუფრის ეპიზოდი და დალი ჰასანის მიერ არსენას შეპყრობა.

გლეხური სუფრის ეპიზოდი საინტერესოა უპირველეს ყოვლისა იმით, თუ როგორ იყენებს ხალხურ პოეტურ ზეპირსიტყვიერებას მ. ჯავახიშვილი. მწერლის მიზანი ერთია — გაგვაცნოს ბატონყმობის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხების ფიქრები და მისწრაფებანი — მოისპოს ძალმომრეობა და უსამართლობა. ამ მიზნით მწერალი არჩევს ისეთ ლექსებსა და სიმღერებს, რომლებშიც მსილებულია ექსპლოატატორთა წყობილება. დალი ჰასანის ტყეობიდან თავდახსნის ეპიზოდში კი ხაზგასმულია არსენას გმირული ბუნება და პატიების გრძნობა. ამგვარად, ჩართული ეპიზოდები ხელს უწყობს რომანის იდეურ სისრულეს.

„არსენა მარაბდელი“ გვხიბლავს შესანიშნავი პორტრეტებითაც. მათი დახატვისას მწერალი მთავარ ყურადღებას უთმობს ფერების, ხაზებისა და ნიშანდობლივი კომპონენტების შერჩევას, რომლებშიც მკაფიოდ მჟღავნდება პერსონაჟის სულიერი სამყარო, ამასთან არ მალავს თაეის დამოკიდებულებას პერსონაჟისადმი.

მაგალითისათვის მოვიგონოთ მაიორ არლო-

ვის პორტრეტი. ხის სალფათივით გაჩაჩხული, საახალწლო ბასილასავით დაჟეტილი, პაწაწინა წყლისფერი თვალები, გაბერილი თავპირი, რომელიც გოგრას მიუგავს, წითელი თმა, გაცვეთილი ჭილობივით დაყრილი წვერულვაში, თხილის ოდენა აბზეკილი წითელლურჯი ცხვირი და სხვა ამგვარი „სამკაულით“ არის დამშვენებული მეფის მოხელის პორტრეტი. ყველა ჩამოთვლილი კომპონენტი ადასტურებს არა მარტო არლოვის სულიერ სიღატაკეს, არამედ რომანისტის ანტიპათიასაც მისდამი.

ასევე „ამკობს“ მ. ჯავახიშვილი გიორგი კუჭატნელს, გიგოლას, ივანიჩას, ზაალ ბარათაშვილსა და ხალხის ყველა მტერს.

ზაალის ჩაცმულობა, მისი აჭრელებული ტანსაცმელი და მისაკუთრებული ჩინ-მედლები მშვენივრად მეტყველი დეტალებია, რომლებიც მწერალმა რუსეთის მეფის ტახტის წინაშე მხოხავი, გადაგვარებული მებატონის მხატვრული სახის შესაქმნელად მოიმარჯვა და ამით პერსონაჟის სულიერი სამყაროც დღესავით ნათლად გადაუშალა მკითხველს.

„მარაბდის ბატონს ინგლისური მაუდის შავი კაბა და ლურჯი აბრეშუმის გულისპირი ეცვა, თავზე მაღალი და ჩატეხილი ყალმუხის ბოხოხი ეხურა, ფეხებზე — ჭვინტიანი თალათინის ჩექმები ჩაეცვა, ხოლო წელზე ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ხმალ-ხანჯალი ჩამოეკიდნა, რომელიც ათასი წლის ტვირთით და ხავსით იყო დაჭორფლილი.

მეფეთა და მთავარმართებელთა ჯილდოებიც ზედ ჰქონდა ასხმული. მაუდი თავადმა ვასილჩიკოვმა მოუტანა პეტერბურგიდან, ლალის დიდი ბეჭედი ერეკლე მეფის ნაჩუქარი იყო, ხოლო ოქროთი და ძვლით შეჭედილი კვერთხი, რომელიც ახლა არქიელსავით დაჰქონდა, უდღეურმა იმპერატორმა დესპანის კოვალენსკის ხელით გამოუგზავნა“.

როგორც ვხედავთ, ათასგვარი ზიზილ-პიპილოებით აჭრელებულა ზაალი, რა არ ჩაუცვამს, რა არ შეუბამს, რა არ მიუტმასნია, რათა საკუთარი სულიერი სიღატაკე დაფაროს! მებატონის ასეთ ჩაცმულობაში აშკარად ჩანს მისი დიდი სურვილი — შეივსოს ის, რაც დრომ წაართვა, რაც შემოუბრუნებლად უკან, წარსულში დარჩა. ეს იყო უპირველეს ყოვლისა ძალაუფლება, რომელიც ზაალს ყმის დასამორჩილებლად ისევე ესაჭიროებოდა, როგორც ქვიშაზე გამორიყულ თევზს წყალი.

ამრიგად, ზაალ ბარათაშვილის სახით მ. ჯავახიშვილმა დახატა მებატონე თავადთა ტიპიური წარმომადგენელი. იგი იმ თაობის ღვიძლი შვილია, რომელმაც ჩინ-მედლებზე გაცვალა სამშობლო, რუსეთის მეფის ტახტის ერთგულებაში ჰპოვა ბატონობის შენარჩუნების ერთადერთი გზა და აი ზაალიც მეფის მოხელეების წინაშე ხოხავს, ყმებთან კი მრისხანე და დაუნდობელი მტარვალია. ზაალის ტანსაცმელი ამ შემთხვევაში მშვენივრად ესიტყვება მისსავე გარყვნილ და გაძარცულ სულიერ სამყაროს.

მ. ჯავახიშვილის მხატვრული სტილის თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ მწერალი ერიდება პორტრეტის ერთბაშად ხატვას. „არსენა მარაბდელის“ ბევრი პორტრეტი მოქმედებაშია მოხაზული და მათ თანდათანობით აქანდაკებს რომანისტი.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის არსენა ოძელაშვილი-მარაბდელის პორტრეტი.

არსენას პორტრეტს მ. ჯავახიშვილი რომანის მთელ მანძილზე ხატავს. სხვადასხვა ეპიზოდსა და სიტუაციებში მის სხვადასხვა მხარეს გვიჩვენებს. ასე, მაგალითად, ჭიდაობის ეპიზოდში, რომლითაც რომანი იწყება, არსენას პორტრეტის მხოლოდ შტრიხებია მოცემული. მაგრამ ეს შტრიხები ძლიერ მკვეთრი, სახასიათოა და გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არსენაზე.

აი ზაალ ბარათაშვილს ორბელიანების ფალავანმა გიორგი კუჭატნელმა სამი ფალავანი წაუქცია. ბატონი განრისხებულია, ღელავენ მარაბდელებიც და იმედად დარჩენიათ არსენა, რომელიც ცხვარშია და იგვიანებს. ბოლოს, არსენაც გამოჩნდა.

„არსენამ ბოძივით დაარჭო ცხენი და გადმოხტა, ისე გადმოხტა, რომ ვერავინ ვერ შეამჩნია, ცხენი უფრო ადრე შეჩერდა თუ მისი მხედარი გაჩნდა მიწაზე“. აქ მწერალი პორტრეტს არ ხატავს, მაგრამ მკითხველი უკვე ხედავს გმირს. ის მარდია, მკლავძლიერი, რომელმაც „ბოძივით“ დაარჭო ცხენი. ამის შემდეგ ჩნდება პორტრეტის სილუეტი.

„ასვეტილი არსენა უკვე ფეხდაფეხ მიდიოდა ზაალისაკენ — ტანგაშლილი, ლაღად და თამამად მიაბიჯებდა. სავსე კისერი უდნავ მოედრიკა და საერთო სალამში ისევ ძველებური თავადური კილო ჩააქსოვა“. „ასვეტილი არსენაო“, ამბობს მწერალი და წარმოგვიდგება მაღალი, მხარბეჭიანი, ჩასკვნილი ვაჟკაცი, რომელსაც შესატყვისი გაბედული და თამამი მოძრაობაც ახასიათებს. „ცხენი მხოლოდ ათ ნაბიჯზე შეაჩერა და ისე მიადგა ბატონს, როგორც თავის თანასწორს. ზაალს ახლაც ტოლსავით შესცქერის, წამწამსაც არ ახამხამებს და კიდევაც იღიმება“. პორტრეტი თანდათან ივსება, მაგრამ ჯერ დამთავრებული არ არის.

რომანის მეორე ეპიზოდი მარაბდელისა და კუჭატნელის შერკინებით იწყება. მწერალი გვიჩვენებს არსენას პორტრეტს ჭიდაობის მომენტში და თანდათან ავსებს მას. „უცებ ფონზე არსენას მკერდ-განიერი თეთრი და ამოზნექილი ბალიში გამოვარდა. გამოვარდა და ძელივით დაერჭო“. ამ ფიგურალურ გამოთქმაში ხაზგასმულია არსენას ფიზიკური სიძლიერე. შემდეგ არსენა იწყებს ცეკვას: „მუხლებამდე აკრული შავი ტულაღები ისედაც სქელ წვივებს უფრო მეტად უსქელებდა“. ასე თანდათანობით ძერ-

წავს რომანისტი არსენას პორტრეტს, და არა მარტო არსენას, არამედ თითქმის ყველა პერსონაჟის პორტრეტს.

პორტრეტთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონაჟის ინდივიდუალური ნიშნის გამოკვეთას, დასამახსოვრებელი დეტალის ხაზგასმას. მწერალი ამასაც დიდი ოსტატობით ახერხებს. აი რამდენიმე მაგალითი.

ღვთისავარი ცალთვალაა და ზედმეტსახელადაც ცალთვალა დევს ეძახიან. კარპიჩა კოჭლია და ცალი ფეხით მიწას ჰბარავს. ლაცაბიძეს ეშვები მუდამ ჩამოშვებული აქვს. არსენას მარჯვენა წარბი უტოკავს. მაგდანა შავი ანგელოსია, დათუნას „სულერთია" შეარქვეს და ა. შ. მკვლევარ ტ. კვანჭილაშვილის აზრით, ეს გარეგნული ნიშნები „პერსონაჟის ინდივიდუალური სახის გამოკვეთას, გამოძერწვას ემსახურება („ლიტერატურული წერილები", გვ. 60–61).

ჩვენ ამ მოსაზრებას მხოლოდ დავაზუსტებთ. ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც რომანისტმა თავის პერსონაჟებს დაუძებნა, სახასიათოა, მარტოოდენ გარეგნული არ არის, ე. ი. მათი მეშვეობით მწერალი ხასიათის თვისებასაც გვიჩვენებს. სევასტის რომ ეშვი მუდამ ჩამოშვებული აქვს, ცხადყოფს ამ პერსონაჟის შურისმაძიებლურ ბუნებას. იგი დაგეშილია, მზადაა დაგლიჯოს ბატონები, ამოწყვიტოს �ინი, სისხლის გუბე დააყენოს, სამაგიერო უზღოს მათ, რომლებმაც სიცოცხლე გაუმწარეს.

კოჭლი კარპიჩა რომ ცალი ფეხით მიწას ჰბარავს და პუგაჩოვს უხმობს, იმის მაჩვენებელია, რაც ამ პერსონაჟს ამოძრავებს, რაც მისი ხასიათის განმსაზღვრელია, მისი მიზანია. კარპიჩა განასახიერებს რუს გლეხს, რომელიც დაუძმობილდა მარაბდელ გლეხებს და მათში თესავს პუგაჩოვის ჯანყის თესლს, მიწასაც იმიტომ ჰბარავს, რომ ეს თესლი გაღივოს.

ცალთვალაა ღვთისავარი. განა ეს მარტო გარეგნული ნიშანია და მხოლოდ პერსონაჟის ფიზიკურ ნაკლს აღნიშნავს? ჩვენ გვგონია, რომ ამის საჭიროებას სრულიად არ გრძნობდა რომანისტი. ცალთვალობის გარეშეც შესანიშნავად დავიხსომებდით ამ საპატიო გლეხკაცს. ღვთისავარი რომანში წარმოგვიდგება ხალხური სიბრძნით, ჭირთამძლე და ჭირთამთმენი მშრომელის სახით. მან მთელი მისი სიცოცხლე მოახმარა სამშობლოს გარეშე მტრებთან ბრძოლას და „ცალი თვალი ივრის ბრძოლაში დათესა". ღვთისავარმა კარგად იცის, რომ სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს. ამიტომაც არ დაეთანხმა იგი ახალგაზრდა არსენას, თორემ არც გაუბედავია და არც მხდალი... ღვთისავარის ცალ თვალში იმდენი ძალა, გამოცდილება და სიბრძნე გამოსჭვივის, რომ მას ბევრი ორთვალა ინატრებდა. იგი მართალი და პატიოსანი მშრომელია, ბრძენი და დინჯი ვაჟკაცი, სამაგალითო მებრძოლი, სამშობლოს დამცველი და მოამაგე. მან არ იცის, როდის მოსთხოვს სამშობლო მეორე თვალსაც, მაგრამ ის კი იცის, რომ თუ მოსთხოვს, „დამპალ პატასავით მიუგდებს მეორესაც". შეუდარებლად ძლიერი და სახასიათოა, ჩვენი აზრით, ეს მხატვრული შტრიხი.

მთელი რომანის მანძილზე მიხეილ ჯავახიშვილი ამყღავნებს სიტუაციების ზედმიწევნით ზუსტად და მოხდენილად შერჩევის უნარს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, პერსონაჟთა ხასიათის სწორად გახსნისათვის. უნარიანად შერჩეულ სიტუაციაში ჩანს არა მარტო მოქმედება, არამედ მოქმედის ხასიათიც. აი როგორ მოხდენილად გვაცნობს გიორგი კუჭატნელის „ლანდს", ლეკ გამზათს მწერალი ერთ პატარა სიტუაციაში:

„უცებ მიწურიდან კუჭატნელის მხლებელი გამზათი ამოძვრა, ბოროტი ღმეჭით მივარდა არსენას და მის პირსახესთან ხელის ქნევას და ენის ჭარტალს მოჰყვა:

— შენ ჩემი გივარგის მტერი და მეც შენი მტერი... მე შენ ამ ხანჯალზე გაგაკეთო.

— ეგ ხელი იქით წაიღე, წუპაკო! — და არსენამ ოდნავ გაჰკრა მკლავში და მერე კუჭატნელს მიუბრუნდა:

— გიორგი, ეს ძაღლი დააბი, თორემ ზოგჯერ ძაღლის ნაცვლად პასუხი პატრონს მოეთხოვების.

ასე გააფრთხილა ლეკის ბატონი და თავის გზით წამოვიდა. ხუთიოდე ნაბიჯი გამოდგა და უკან მოიხედა. ლეკს ხელში დამბაჩა ეჭირა და მას უმიზნებდა. არსენა შედგა და დააშტერდა. არც გაინძრა და არც იარაღზე გაივლო ხელი. შუბლი შეკრული ჰქონდა, თვალებში კი მტკიცე რწმენა და ბრძანება ეწერა: „ვერ გაჰბედავ, ხელი დაუშვი!"

კუჭატნელი ზურგშექცეული იდგა და ლეკს ვერ ჰხედავდა. ლეკმა დამბაჩა დაუშვა.

— ზურგში? — გაიღიმა არსენამ. — აგრე ხარ შეჩვეული?

— ზურგში, ზურგში მოგყლავ, — მიაძახა გამზათმა. — ვალაჰ, აგრე იქნების!"

ეს ეპიზოდი გამზათის ხასიათის სარკეა. გამზათი მიმავალ არსენას ზურგში უმიზნებს რევოლვერს. აქ აშკარად ჩანს ნერვიული, ლაჩარი და ბოროტი ადამიანი, რომელიც მუხანათურად უპირებს სიკვდილს არსენას. უდავოა, რომ სიტუაცია, რომელშიც ლეკი გამზათი გვიჩვენა მწერალმა, მოხდენილად არის დაძებნილი და შესანიშნავად გადმოგვცემს პერსონაჟის ხასიათს.

ძლიერ საინტერესოა „არსენა მარაბდელის" მხატვრული ენა, მწერლის ენობრივი სტილის სპეციფიკა. მ. ჯავახიშვილმა თავის მღელვარე აზრებსა და იდეებს უაღრესად დინამიკური სიტყვიერი მასალა მოუძებნა. მან მშვენივრად გამოიყენა ქართული ენის ბუნება აზრისა და განწყობილების რაც შეიძლება ექსპრესიულ

ფორმებში გამოსახატავად. ამ მიზნით მწერალი ხშირად მიმართავს ზმნების განმეორებას, რაც დიდად აძლიერებს და ღრმად შთამბეჭდავს ხდის აზრს.

მოგვყავს ზოგიერთი მაგალითი:

„...ხელი ადლიან ხანჯალზე **დაიდო. დაიდო** და საღი თვალი ბასილას ჩაურჭო თვალებში...“

„თვალები მუხის ჭერს **მიაპყრო. მიაპყრო** და გახევდა“.

„არსენამ ცხრამეტი ცხენოსანი ჩამოაგდო და მეოცეს **მიეწია. მიეწია** და ჭაბუკი თავადი ამილახორი იცნო“.

„და მაშინვე ყველა გლეხი **მიხვდა** სად იყო ოძელაშვილი. **მიხვდა** და იმ ზარივით შინაგანი გუგუნით გაიტენა და აფორიაქდა“.

მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ ლექსიკა საინტერესოა არა მარტო თავისთავად, ცალკე აღებული. იგი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მწერლის პოეტურ სტილში შეაქვს გარკვეული ელფერი და სურათოვნება. თავიდან ბოლომდე იგრძნობა ქართული სიტყვის მომჯადოებელი ძალა. ეს იმიტომ, რომ მისი ენა მდიდარია ხალხური თქმებით, ხატოვანი ფრაზებით. ყოველთვის, როცა ხატოვან თქმებს მიმართავს, მწერალი მათ გულმოდგინედ არჩევს და უფარდებს შინაარსს:

„ცისფერი თვალები ორი ანთებული სანთელივით გამოანათა“, „არსენამ ბოძივით დაარჭო ცხენი“, „ელიზბარი ქარბუქივით დაქრის. მარაბდელი გრიგალივით დასდევს“, „ნაქანდაკევი თავი აუქნია და რკინის ნაჭერივით მიუგდო — ვაგლახ შენს ვაჟკაცობას, კუჭატნელო!“, „ფიქრიას უმალვე ჩამოერეცხა ალის-ფერი, წეღანდელზე მეტად გაფითრდა და ტანში ჟრუანტელმა ჩაურბინა“, „მედროშე ღვთისავარმა დროშა დაუშვა და თვითონაც იმავე დროშასავით დაერჭო“.

მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ დიდი მხატვრული ღირსებაა ხალხური ანდაზებისა და აფორიზმების შემოქმედებითად მოხმარება. რომანის ძირითადი წყაროები ხალხური შემოქმედებიდან მოედინება, მწერალი მათ ორგანულად აქსოვს ნაწარმოებში. რომანის ყველა თავს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი. ეპიგრაფებად ძირითადად გამოყენებულია ანდაზები, გვხვდება ხალხური ლექსიც. ისტორიული წყაროც, აფორიზმიც და ყველა მათგანი ისეა შერჩეული, რომ გადმოცემული ამბის იდეურ გასაღებს წარმოადგენს.

„არსენა მარაბდელში“ მრავალი შესანიშნავი დიალოგია. როგორც ცნობილია, დიალოგი პერსონაჟთა ურთიერთშორის საუბარს ნიშნავს. „არსენა მარაბდელში“ მწერალი ხშირად ერევა პერსონაჟთა დიალოგში, ე. ი. დიალოგში ორი კი არა, სამი მონაწილეობს. აქ საქმე გვაქვს ისეთ მხატვრულ ხერხთან, რომელიც ფორმით გაბაასებას უახლოვდება. მოგვყავს სათანადო მაგალითი:

„— შენ რა ჰქენი ერეკლე. — ჰკითხა უმცროს ძმას უფროსმა.

— სამი წავაქციე. — ისე მორცხვად უპასუხა ერეკლემ, თითქოს ბოდიშს იხდიდა, რომ სამზე მეტი ვერ წააქცია.

— შეგერგოს. ჩემი გაფუჭებისა ხომ არ გეშინიან. ბიჭო? — არა, არ ეშინიან. მაგრამ არსენა მაინც ფრთხილად უნდა იყოს. ის ოხერი კუჭატნელი ტყვიასავით მოდის და ღელო ღონით გააქვს ხოლმე.

— ვიცი ვინც არის, მინახავს“.

აქ, როგორც ეხედავთ, დიალოგი პირდაპირ არ მიიმართება, მწერალი ერევა ერეკლესა და არსენას საუბარში.

„არა, არ ეშინიანო...“ ჩართულია რეპლიკა, მაგრამ რეპლიკაში მწერალი თავს არ ამჟღავნებს. ამით მიღწეულია სათანადო მხატვრული ეფექტი.

ასეთია ჩვენი შენიშვნები მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ ზოგიერთი მხატვრული ხერხის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კომახიძე

მწვანე მშენებლობის გადაუდებელი პრობლემები

საბჭოთა ქალაქმშენებლობის პრაქტიკაში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მწვანე ნარგავებს, როგორც ქალაქის მიდამოების კლიმატის გაჯანსაღების მნიშვნელოვან ფაქტორსა და მძლავრ არქიტექტურულ ელემენტს. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა ბათუმშიც, სადაც მწვანე მშენებლობის მეტად ხელსაყრელი პირობებია. საკმარისია ითქვას, რომ აქ შეიძლება გაშენდეს დედამიწის თითქმის ყველა კუთხის მცენარე.

ბათუმის სტუმრებს განსაკუთრებით აოცებთ და ხიბლავთ ყვავილნარების ნაირფეროვნება, უზარმაზარი მარაოსებური პალმები და ფართოფოთლიანი კანები, რომლებიც ღია ცის ქვეშ, პირდაპირ გრუნტში იზრდებიან; მარადმწვანე ოლეანდრები, მრავალფეროვანი ვარდის ბუჩქები და ბევრი სხვა იშვიათი მცენარე, რომლებიც განსაკუთრებით ლამაზია ყვავილობის ჟამს. ქალაქის ბევრ ქუჩაზე წლის სხვადასხვა დროს შეიძლება დაინახოთ მაგნოლიები სპილოსძვლისფერი ყვავილებით, აგავები, პალმები და სხვა მარადმწვანე მცენარეები. აქ დეკემბერშიც კი ჰყვავის ია და ვარდი. მწვანე საფარველის ასეთ მძლავრ განვითარებას და მდიდრულ ყვავილობას ხელს უწყობს ჭარბი ტენიანობა და შზის სიუხვე, აგრეთვე ნიადაგების სპეციფიკური ხასიათი.

მწვანე მშენებლობის არსებულ შესაძლებლობათა გამოყენება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო, მაგრამ რევოლუციამდე იგი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ამასთან მცენარეთა ასორტიმენტი ყოველთვის როდი შეესაბამებოდა ადგილობრივი კლიმატის თავისებურებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი ბათუმის გამწვანების სამუშაოების უფრო მოკლე ვადებში და ორგანიზებულად განხორციელება. მაგრამ ამ საქმეში, ჩვენი აზრით, მაინც შეინიშნება ზოგიერთი სერიოზული ნაკლი.

ცნობილია, რომ მწვანე ნარგავები უნდა ემსახურებოდეს არა მარტო ქალაქის გალამაზებას, კარგი დასასვენებელი ადგილების შექმნას, არამედ მიკროკლიმატის გაუმჯობესებასაც. ამიტომ ქალაქის მთლიანი, ინტენსიური გამწვანება მარადმწვანე მცენარეებით (ცრუქაფურის ხეებით, ლიგუსტრუმებითა და სხვ.), როგორც ეს არის, მაგალითად, ლენინისა და რუსთაველის ქუჩებზე, ჩვენს პირობებში დადებით შედეგს არ იძლევა. ყველამ იცის, რომ ბათუმს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია სსრ კავშირში ატმოსფერული ნალექების სიუხვით და შენობათა მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის სინესტის ძლიერ ზემოქმედებას. ამის გამო დიდი ფოთლოვანი ხეები არა თუ ხელს არ უწყობს მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას (განსაკუთრებით ზაფხულის ბოლო ხანებში), არამედ, პირიქით, აუარესებს მათ.

ბათუმის გამწვანების ერთ-ერთი მთავარი ნაკლია აგრეთვე ის, რომ ქალაქის ქუჩები გამწვანებულია ერთფეროვანი მცენარეებით, ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული სუბტროპიკული ფლორის მდიდარი შესაძლებლობანი. იშვიათად თუ შეხვდება კაცი ბათუმის ქუჩებში ისეთ ლამაზ ფოთლოვან ხეებს, როგორიცაა ჭადარი, მუხა, ხეტიტა, ცაცხვი და სხვ. ღარიბია ყვავილების ასორტიმენტიც; უფრო ხშირია ყველგან კულტივირებული ყვავილოვანი მცენარეები — კვირისტავა, ქაღისინა და პეტუნია, მაშინ როცა მადლიანი სუბტროპიკული კლიმატის წყალობით ქალაქის ქუჩებში შეიძლება დიდი რაოდენობით გაშენდეს ტუბეროზები, გლადიოლუსები, ბეგონიები, მიხაკი და სხვ.

ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ქალაქის პარკებსა და ბაღებში განუწყვეტლივ ყვავოდეს წლის სხვადასხვა დროის შესაფერი ყვავილები. ამასთან ბევრი სკვერი გადატვირთულია შემთხვევითი მცენარეებით. იქ თითქმის ვერ ნახავთ ხეს, რომლის ჩრდილშიაც შეიძლებოდეს დასვენება; ძალიან ცოტაა ან თითქმის სულ არ არის ყვავილები. სკვერებში ისევ და ისევ ლიგუსტრუმებს, სპირეებსა და ტუიებს ვხედავთ. გაზონები იშვიათად ითიბება და ხშირად გათელილია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქს ჯერ კიდევ არ ყოფნის სკვერები. სულ ქალაქში თექვსმეტი სკვერია, რომელთა საერთო ფართობი 19,5 ჰექტარს შეადგენს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში იყო სკვერების გაუქმებისა და ნასკვერალზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შემთხვევები.

მწვანე მშენებლობის ყველა ეს ნაკლი არასაკმაო გეგმიანობის შედეგია და იმისათვის, რომ ქალაქი სანიმუშოდ გავამწვანოთ, აუცილებელია გამწვანების მთელი სამუშაოები გეგმიანად და რაციონალურად წარვმართოთ, მოვახდინოთ მთელი რიგი ქუჩებისა და სკვერების ღრმად მოფიქრებული რეკონსტრუქცია ნარგავთა სისტემის შენარჩუნებითა და განვითარებით.

ბათუმის მოედნებისა და ქუჩების გამწვანებისას უმჯობესია დავრგოთ არა ერთი ტიპის მარადმწვანე, არამედ შერეული დეკორატიული მცენარეები (პალმა, დაფნა, კვიპაროსი, ფოთოლმცვენი სურნელოვანი და ლამაზყვავილებიანი ხე-მცენარეები). მსხვილ ნარგავებს შორის საჭიროა გავრცელდეს ციტრუსოვნები და მორჩილი ზომის ხეხილი, რომლებიც შენობებს არ დაჩრდილავენ.

გაზონებში მიზანშეწონილია ხეთა შორის დავრგოთ ყვავილები და მარადმწვანე დაბალი ბუჩქები, რის მეოხებითაც ქალაქის მოედნებსა და ქუჩებს მთელი წლის მანძილზე მწვანე სამოსი ექნებათ. გარდა იმისა, რომ სხვადასხვა სახის მცენარეების — ხეების, ყვავილებისა და ბუჩქების ასეთი შეხამება მეტად მშვენიერ შთაბეჭდილებას შექმნის, შენობებსაც საკმაო რაოდენობით მიწვდება მზის სხივები და მკვეთრად შემცირდება მათი დანესტიანებაც. რაც შეეხება მარადმწვანე ფოთლოვან ხეებს, რომლებიც დიდ სიმაღლეს აღწევენ და ფართო გვირგვინი აქვთ (ქაფურის ხეები, ლიგუსტრუმები და სხვ.), უფრო მიზანშეწონილია ისინი დავრგოთ პარკებში, ბაღებსა და სკვერებში, აგრეთვე გზატკეცილების გასწვრივ.

ქალაქის ნამდვილი მშვენებაა ზღვისპირა პარკი. რეკონსტრუქციისა და გაფართოების შემდეგ, რაც დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე გაჩაღდა, მან განსაკუთრებით იცვალა სახე. მისი ზღვისპირა ხეივანი ახლა შედგება ორი მოასფალტებული ზოლისაგან, რომელიც ემსახურება ორმხრივ მოძრაობას და გაზონებით არის გაყოფილი. ძირეულად გადაკეთდა ცენტრალური ხეივანიც. პროექტით დასახულია პარკის ტერიტორიის შემდგომი გაფართოება ზღვისპირა ზოლის გასწვრივ (ლერმონტოვის ქუჩიდან ტალღისმკვეთ კონცხამდე) და რამდენიმე ახალი ნაგებობის შექმნა.

მიუხედავად იმ დიდი სამუშაოებისა, რომლებიც სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკის გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის შესრულდა, აქ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ასე, მაგალითად, პარკში დღემდე არა გვაქვს ბანანის ჭალები, პალმების ხეივნები, თითქმის არ არის ლორიოდენდრონის, ჭადრის, ცაცხვის, წიფლის, ზეთისხილის, თუთისა და ტირიფის ნარგავები, აგრეთვე ისეთი ლამაზი ხვიარა მცენარეები, როგორიცაა ლიანები, ბეგონიები, კლემატისი, პუერარია და სხვ. არ არის არც მწვანე ფანჩატურები. გარდა ამისა, ზღვისპირა პარკის ახალ ნაწილში ძლიერ ცოტაა ჩრდილოვანი ხეები, ძველი ნაწილი კი ,ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობას.

არანაკლებ მნიშვნელოვან მწვანე მასივს წარმოადგენს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკი. თუ წინათ მისი ფართობი ექვს ჰექტარს არ აღემატებოდა, ამჟამად იგი სამჯერ უფრო მეტია. მდიდარ და ხშირ მცენარეულობასთან ერთად აქ არის აგრეთვე მშვენიერი ტბა. პარკის უხვი მცენარეულობა ხშირფოთლებაა და ჩრდილით ავსებს ფართო ხეივნებს.

სულ ამჟამად ბათუმში მწვანე ნარგავთა საერთო ფართობი ოთხმოცდარვა ჰექტარს შეადგენს, ე. ი. თითო მცხოვრებზე დაახლოებით ათ კვადრატულ მეტრამდე მწვანე ნარგავი მოდის. მწვანე ნარგავთა ეს ფართობი, ერთი შეხედვით, თითქოს არ არის საკმარისი, რადგან შუა ზონის ქალაქებისათვის მათი ნორმა ერთ მცხოვრებზე დაახლოებით თხუთმეტი კვადრატული მეტრია, მაგრამ მწვანე ნარგავთა ფართობის დადგენისას არ შეიძლება ორიენტირება ჩვეულებრივი ნორმებით, რადგან აქ ზედმეტ მცენარეებს სპეციფიკური ბუნებრივი პირობების გამო შეუძლია ზიანიც კი მოგვიტანოს. ამასთან ქალაქის ტერიტორიის გამწვანების ნორმებზე გავლენას ხომ ახდენს მწვანე ნარგავთა ქალაქგარეთ არსებული ზოლიც, რომლის განვითარების პერსპექტივა დიდადაა დამოკიდებული ადგილობრივ პირობებზე?

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ ქალაქის შემდგომ გამწვანებაზე, მაგრამ მწვანე მშენებლობის დროს აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ მისი სპეციფიკური კლიმატური, გეოგრაფიული, სანიტარული და სხვა თავისებურებანი. კერძოდ, ჩვენი აზრით, საჭიროა ავითვისოთ ისეთი ტერიტორიები, რომლებიც პრაქტიკულად ნაკლებ გამოსადეგია ახალ შენობათა ასაგებად (ქალაქის ჩრდილოდასავლეთი მხარის ზღვის სანაპირო, რომე-

ლიც ზღვის მოქმედებით თითქმის ყოველწლიურად იცვლის მოხაზულობას), ქალაქის ყველა მწვანე ნარგავიანი ნაკვეთი გავაერთიანოთ ერთ მთლიან სისტემად და ორგანულად ჩავრთოთ იგი ქალაქის საერთო სტრუქტურაში. ამიტომ ახლავე, ქალაქის რეკონსტრუქციის პროცესში მწვანე ნარგავთა ყველა სახეობა მიზანშეწონილია თანდათან შევუერთოთ ერთიმეორეს ისე, რომ დროთა განმავლობაში მათ შეადგინონ უწყვეტი მწვანე მასივი და ეს უკანასკნელი დაუკავშირდეს მწვანე კონცხის საპარკო ზონას.

მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე შენობათა ვერტიკალურ გაფორმებას, რაც ჩვენს პირობებში, ვფიქრობთ, ძლიერ ეფექტური იქნება, და ქალაქის მომიჯნავე მთების ქალთებზე პარკების გაშენებას. სოხუმის გამოცდილება ამ მხრივ შეიძლება ჩვენთვის ძალიან სასარგებლო დარჩეს. ბათუმის გარეუბანში მდებარე ისეთი შესანიშნავი მწვანე მასივიც კი, როგორიც ბოტანიკური ბაღია, ხომ ვერ ცვლის ქალაქის ფარგლებში გაშენებულ კეთილმოწყობილ ზღვისპირა პარკს? ამიტომ ქალაქის ქუჩების, მოედნების, ბულვარებისა და სკვერების სწორად გამწვანებასთან ერთად მხედველობაში უნდა გვქონდეს ისეთი კაპიტალური ღონისძიების განხორციელებაც, როგორიცაა ქალაქის მთიან ნაწილში ვრცელი პარკის გაშენება.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია ადგილობრივი პირობების სრული გათვალისწინებით დავადგინოთ მწვანე ნარგავთა სულადობრივი ნორმა, რაც დაგვეხმარება გეგმაზომიერად წარვმართოთ პარკების, სკვერებისა და კვარტალშიდა ბაღებისა და ბულვარების რეკონსტრუქცია და გაშენება, ბოლომდე აღმოვფხვრათ მწვანე მშენებლობის ნაკლოვანებები და ჩვენი მშობლიური ბათუმი გადავაქციოთ ნამდვილ ქალაქ-ბაღად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღ. ჩავლეიშვილი

შალვა დადიანის ერთი კერძო წერილი

როგორც ცნობილია, ყოველი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გაშუქებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას. ზოგიერთ მწერალს იმდენი კერძო წერილი მოეპოვება, რომ ცალკე წიგნებადაც კი გამოდის. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენმა სახელოვანმა ბელეტრისტმა და დრამატურგმა შალვა დადიანმაც საკმაოდ მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რადგან არცთუ იშვიათი მიწერ-მოწერა ჰქონდა თავის მკითხველებთან. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ უახლოეს მომავალში თანდათანობით გამოქვეყნდება მწერლის კერძო წერილები, რომლებიც გულდასმით უნდა შეეისწავლოთ და გამოვიყენოთ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლის დროს.

პირადად მე მაქვს შალვა დადიანის ორი ბარათი. ამჟამად ვაქვეყნებ მხოლოდ ერთ მათგანს, რომელიც მწერალმა გამომიგზავნა 1956 წლის 23 ოქტომბერს და შეიცავს ჩემი რამდენიმე კითხვის პასუხს. ვფიქრობ, მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს და ხელს შეუწყობს ჩვენი საყვარელი მწერლის ესთეტიკურ შეხედულებათა შესწავლას.

აი ეს წერილი:

„პატივცემულო ამხანაგო ალექსანდრე!

მივიღე თქვენი კითხვებით დატვირთული წერილი. შეეცდები, რომ შეძლებისამებრ გიპასუხოთ, მხოლოდ ნუ დაივიწყებთ, რომ მე არავითარი სისტემატიური და სპეციალი განათლება არ მიმიღია. და ვაი თუ ჩემმა განმარტებებმა ვერ დაგაკმაყოფილოთ, ან მეტად პრიმიტიულად მიიჩნიოთ.

მაინცდამაინც დავიწყოთ. თქვენ კითხვებს აქ აღარ ჩამოვწერ, რადგან მე მგონი ამ კითხვების პირი თქვენც გექნებათ. მე მივყვები თქვენს ნომერაციას (მკითხველისათვის რომ გასაგები გაუდეს, მე ჯერ მოვიყვან ჩემს კითხვას, შემდეგ კი მწერლის პასუხს — ა. ჩ.).

რაში ხედავთ ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკას? მხოლოდ თქვენი გაგებით და არა არსებული თეორიების მიხედვით?

მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკას ჩემი ფიქრითაც შეადგენს სახეებით აზროვნება. მთავარი ეს არის.

არსებობს თუ არა განსაკუთრებული პოეტური ნიჭი, მადლი, უნარი და, თუ არსებობს, რაში მდგომარეობს იგი?

ყველა ადამიანს არ შეუძლიან გახდეს მხატვრულ ნაწარმოებთა მწერლად, თუნდაც სათანადო პირობებიც ჰქონდეს ამისათვის. ამ შემთხვევაში ის შეიძლება გახდეს მოაზროვნე, მაგრამ უფრო პუბლიცისტური განხრისა. მხატვარ მწერალს უთუოდ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული პოეტური ნიჭი, მადლი, უნარი.

თქვენ ჯერ ცნებებით, ლოგიკური კატეგორიებით იმეცნებთ სინამდვილეს და შემდეგ აფორმებთ სახეობრივად შემეცნების შედეგს, თუ სინამდვილის გაგების პროცესი თქვენთვის იმთავითვე სახეობრივია?

ამ კითხვაზე ცოტა მიჭირს პასუხის გაცემა. რასაკვირველია, პირველად მებადება იდეა და მიზანდასახულობა. ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნისა და სინამდვილის გაგების პროცესიც იმ თავითვე ჩემთვის სახეობრივია.

თუ დაგსიზმრებიათ ფაბულა, სახე და საერთოდ როგორია ქვეცნობიერების როლი თქვენს შემოქმედებაში?

ამაზე ის უნდა ვთქვა, რომ ქვეცნობიერების როლს ჩემს შემოქმედებაში ადგილი არა აქვს, არც თუ ოდესმე დამსიზმრებია ფაბულა, ამბავი. მეტად მშრალი მწერალი ვარ.

თუ დაგიწერიათ რაიმე დაკვეთით?

დაკვეთით მეც დამიწერია ნაწარმოები და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ვაღიარო, რომ ძალიან შეზღუდული ვიყავი ჩემს შემოქმედებაში და გავწვალებულვარ.

წერის დროს გეგმას თუ ადგენთ?

წერის დროს გეგმას ვადგენ. არა ყოველთვის.

თუ გაქვთ და იყენებთ უბის წიგნაკს?

უბის წიგნაკსაც ვხმარობ. ესეც არა ყოველთვის. ნახსოვრობა კარგი მაქვს და მხატვრულად გრძლად ფიქრს მიჩვეული ვარ.

თქვენი შემოქმედებითი პრაქტიკის მიხედვით პროტოტიპი აუცილებელია, თუ შემთხვევითი შემოქმედებითს პროცესში?

პროტოტიპი აუცილებელია, მაგრამ ქვეით ჩაიკითხეთ.

შეგიქმნიათ თუ არა ისეთი ტიპი, რომელსაც არ ჰყოლია პროტოტიპი?

ისეთი ტიპი არ შემიქმნია, რომელსაც არ ჰყავდა პროტოტიპი.

თუ გყავთ ისეთი ტიპი, რომელსაც ჰყავს რამდენიმე პროტოტიპი?

უფრო ხშირად ერთ რომელიმე პროტოტიპს არ დავტრიალებ თავს, არამედ რამდენიმე მყავს სახეში. მათი ტიპიურობა გადამაქვს ქაღალდზე. მე უფრო შემკრებელობითი სახე მიტაცებს და არა პირდაპირი ფოტოგრაფია ივანესი ან პეტრესი.

ისტორიული პიროვნებების გამოხატვის დროს პროტოტიპი და ტიპი ხომ არ ემთხვევა ერთმანეთს?

ისტორიული პიროვნებების გამოხატვის დროს აგრეთვე ტიპიურობა მიპყრობს სახისა და არა პროტოტიპი.

„გვირგვილიანების ოჯახში“ ვინ გყავთ გამოყენებული პროტოტიპებად?

„გვირგვილიანების ოჯახში“ ნექტარინა, მაგალითად, ერთ რომელიმე კნეინიდან არ არის აღებული, არამედ ესეც შემკრებელობითი სახეა. ამისთანები იყვნენ ერთ დროს. აგრეთვე ბარამი, ბეგი, გლეხებიც. ეს სულყველა ჩემი ნაცნობებია, მხოლოდ მათგან მაქვს ნასესხები სხვადასხვა მხარე მათი მეობისა. ფოტოგრაფია კი არც ერთისა არ არის.

ვამეხი? ამისთანა ინტელიგენტები იყვნენ მე-70-თე წლების თაობაში და მათ მოაღწიეს (ზოგიერთმა) რევოლუციამდე. ისე კი ვამეხის ბიოგრაფიამ შეიძლება მოგვაგონოს თავის დროზე კარგად ცნობილი პუბლიცისტი დავით ჩქოტუა, მაგრამ პირდაპირ დავითი მაინც არ არის.

პროტოტიპის ტიპად ქცევის პროცესში რას აქცევთ მთავარ ყურადღებას?

ტიპის კანონად მე მიმაჩნია ის გარემოება, რასაც ზემოთაც ვეხები გაკვრით. ცოტ-ცოტა ყველასაგან ამადაამ ეპოქაში ისე გამოვლინებული, როგორც მე ეს მეხატება.

თქვენი ურთიერთობა მკითხველებთან?

მკითხველებთან ჩემი დამოკიდებულება მიწერ-მოწერაში გამოიხატება, რაც არც თუ ისე მდიდარი მაქვს. გულსა მწყვეტს ის, რომ უფრო პანეგირისტები მყავს.

გაქვთ თუ არა ნაწარმოებთა ვარიანტები?

ვარიანტები საერთოდ ნაკლებად მაქვს. ჩემი ჩვეულებაა — დიდხანს ვფიქრობ განზრახულ ნაწარმოებზე, ზოგჯერ წლობითაც. წერით კი, როცა შევატყობ, რომ თავში მომწიფდა ნაწარმოების კიდე-განი, მაშინ ჩქარა ვწერ. ჩემი დედანიც თითქო გადაწერილს ჰგავს. იშვიათად თუ ჩავასწორო რაიმე დედანში. ნაწარმოების შემდეგ გადახედვის და შესწორების უნარი ძალზე მაკლია.

აი სულ, რაც თქვენდა საპასუხოდ უნდა მოგმეწოდებინა.

ბოდიშს ვიხდი თუ თქვენი იმედები ვერ გავამართლე და ღირსეული პასუხი ვერ გაგეცით.

ასეთი ღარიბი კაცი ვარ.

გისურვებთ ყოველთვის კარგს.

შალვა დადიანი.

23. X. 56 წ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხელოვანის ფრაგედია

მიმდინარე წლის თორმეტ იანვარს აღინიშნა დიდი ამერიკელი მწერლის ჯეკ ლონდონის დაბადების ოთხმოცდახუთი წლისთავი.

ჯეკ ლონდონმა უაღრესად რთული შემოქმედებითი გზა განვლო. ჯონ გრიფიტი, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში ჯეკ ლონდონის სახელით შევიდა, დაიბადა სან-ფრანცისკოში, გაღატაკებული ფერმერის ოჯახში. ბავშვობიდანვე უსიხარულოდ წარიმართა მომავალი დიდი მწერლის ბედი. თავიდანვე მძიმე ბრძოლა მოუხდა კაპიტალისტურ ჯუნგლებში გზის გაკაფვისათვის, ადრევე დასჭირდა ლუკმა-პურისათვის ბრძოლა და ბავშვობიდანვე დაადგა მძიმე შრომითს გზას. ჯერ კიდევ სავსებით ბავშვი სან-ფრანცისკოს ქუჩებში გაზეთებს ჰყიდდა, შემდეგ მუშაობდა საკონსერვო ქარხანაში, სადაც ბავშვები არაადამიანურ ექსპლოატაციას განიცდიდნენ. თოთხმეტი წლისამ ხელი მოჰკიდა აკრძალულ საქმეს — თევზების ჭერას. რამაც ის არაერთხელ მიიყვანა პოლიციის კარამდე. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯეკ ლონდონი უბრალო მეზღვაურად გაჰყვა იაპონიაში მიმავალ გემს. სამშობლოში დაბრუნებული ჯერ ჯუთის ქარხანაში, ხოლო შემდეგ ელექტროსადგურში მუშაობდა, სადაც ძლიერ მცირე გასამრჯელოს აძლევდნენ. მომქანცველი სამუშაოთი გადაღლილი და აუტანელი ექსპლოატაციისაგან აღშფოთებული დემონსტრაციულად ტოვებს სამუშაოს და ეწაფება თვითგანათლებას, წერს მოთხრობებს, მაგრამ გამოუცდელ დამწყებ მწერალს აქაც ხელი მოეცარა. ბოლოს, მას ბედმა გაუღიმა. დედის რჩევით, წარსდგა სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე და დაბეჭდა ნარკვევი „ტაიფუნი იაპონიის ნაპირებთან", რისთვისაც პრემიაც კი დაიმსახურა.

მძიმე ეკონომიური კრიზისის დროს იგი აღმოჩნდა მაწანწალის მდგომარეობაში და მთელი ამერიკა მოიარა.

ამ ხეტიალმა დიდად შეუწყო ხელი ჯეკ ლონდონის შემდგომ სამწერლო მოღვაწეობას. იგი ახლო გაეცნო ამერიკის მშრომელ ხალხს, მის ჭირ-ვარამს, ფიქრებსა და აზრებს და ღაავროვა დიდი ცხოვრებითი გამოცდილება.

ჯეკ ლონდონმა მტკიცედ გადაწყვიტა მოეპოვებინა თავისი ადგილი ცხოვრებაში. მას სანუკვარ ოცნებად გადაექცა უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ მისი განხორციელება არ დასცალდა. მამის მძიმე ავადმყოფობამ ოჯახის მზრუნველობა დააკისრა, რის გამოც მიატოვა უნივერსიტეტი პირველი სემესტრის შემდეგ და სამრეცხაოში დაიწყო მუშაობა, სადაც იგი დილიდან გვიან ღამემდე რეცხავდა და აუთოებდა თეთრეულს ორიოდე გროშისათვის. თავისუფალ დროს კი ჯეკ ლონდონი კვლავ მოთხრობებს წერდა, მაგრამ ჟურნალები უკანვე უბრუნებდნენ მათ.

მას შემდეგ, რაც ალიასკაზე, კლონდაიკზე აღმოაჩინეს ოქრო, „ოქროს ციებ-ცხელებამ" ჯეკ ლონდონიც გაიტაცა. კლონდაიკზე ერთი წლის ყოფნის შემდეგ იგი ცინგით დაავადებული ისევ ღატაკად დაბრუნდა, მაგრამ ახლოს გაეცნო ოქროს მომპოვებელთა რომანტიკას, თან ჩამოიტანა მდიდარი მასალა, რაც ასე ოსტატურად გამოიყენა შემდგომ თავის ცნობილ „ჩრდილოეთის მოთხრობებში".

სან-ფრანცისკოში დაბრუნებული ლონდონი დაჟინებით მიილტვის თავისი მიზნისაკენ, მაგრამ აქაც კვალდაკვალ დასდევს გაჭირვება. „შეუპოვრობა — აი მწერლის ოსტატობის საიდუმლო, როგორც ყოველივე დანარჩენისა", — ამბობდა იგი, შემდეგ უკვე გამოჩენილი მწერალი.

ჯეკ ლონდონი არაჩვეულებრივ ენერგიას იჩენდა. მან შემოიღო მტკიცე, თითქმის აუტანელი რეჟიმი. დღე-ღამეში ზოგჯერ 19 საათს მუშაობდა, წერდა მოთხრობებს, ავზავნიდა სხვადასხვა ჟურნალში, მაგრამ დიდი რეალისტური ძალითა და სიღრმით დაწერილი ნაწარმოებები არ მოსწონდათ ბურჟუაზიულ გამომცემლებს. რაოდენ მართალი იყო ლენინი, როცა იგი ბურჟუაზიულ ხელოვანთა შესახებ ლაპარაკობდა: „ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის

მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისეველურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან". რა თქმა უნდა, ჯეკ ლონდონი თავისი რეალისტური მოთხრობებით ადგილს ვერ დაიკავებდა გადაგვარებულ ბურჟუაზიულ მწერალთა შორის. მიუხედავად ამისა, მისი ზოგიერთი მოთხრობა მაინც დაიბეჭდა, რომლებმაც თავისი სიახლით საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს, ხოლო 1900 წლიდან, როცა გამოიცა მოთხრობების პირველი კრებული „მგლის შვილი", იგი ცნობილი მწერალი გახდა. ასე, ნებისყოფის უდიდესი დაძაბვისა და უჩვეულო შრომის წყალობით ლონდონმა მოახერხა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და დიდი მწერლის სახელის მოხვეჭა.

მძიმე ცხოვრებამ, უუფლებო სოციალურმა მდგომარეობამ ჯეკ ლონდონი თავიდანვე სოციალისტურ იდეებამდე მიიყვანა, თუმცა არასოდეს არ ყოფილა თანმიმდევრული სოციალისტი. იგი ადრე გაეცნო მარქსის შრომებს, კერძოდ „კომუნისტური პარტიის მანიფესტს", დაუახლოვდა ამერიკის სოციალისტურ მუშათა პარტიას და მალე მისი წევრიც გახდა. ამავე დროს პუბლიცისტურ წერილებსა (კრებულები „რევოლუცია" და „კლასთა ბრძოლა") და საჯარო გამოსვლებში ჯეკ ლონდონი თავგამოდებით ეწეოდა სოციალიზმის პროპაგანდას, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მან ბოლომდე ვერ გაიგო მეცნიერული სოციალიზმის არსი, მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე. იგი ვერ აფასებდა მასების როლს ისტორიაში, რევოლუციური პროლეტარული პარტიის მნიშვნელობას და აზვიადებდა ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებათა როლს. მწერალს კარგად ესმოდა, რომ კაპიტალისტური წყობილების მოსპობა ისტორიულად კანონზომიერი, აუცილებელი და გარდუვალი იყო, მაგრამ რევოლუციური ბრძოლის ძირითად საშუალებად ინდივიდუალური ტერორი მიაჩნდა. ყველა ეს შეცდომა აიხსნებოდა სოციალისტური მოძრაობის განვითარების სისუსტით ამერიკაში. ამ შეცდომებმა მწერალი თანდათანობით ჩამოაცილა მუშათა მოძრაობას.

1902 წელს ლონდონი სამხედრო კორესპონდენტად სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრა, სადაც მიმდინარეობდა ინგლის-ბურების ომი, მაგრამ მალე მოუსწრო ომის დამთავრების ცნობამ. მაშინ იმ მიზნით, რომ არავის ეცნო, მაწანწალად გადაცმულმა მწერალმა დაიარა ინგლისის დედაქალაქის ღარიბთა უბნები და უშუალოდ გაეცნო მათ აუტანელ ცხოვრებას, სიღატაკის საზარელ სურათებს. ამას მოჰყვა მრისხანებით სავსე ნარკვევთა კრებული „უფსკრულის ადამიანები", რომელშიც ჯეკ ლონდონმა, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, რეალისტური დამაჯერებლობით ასახა ბრიტანეთის დედაქალაქის მუშათა აუტანელი ცხოვრების პირობები, უმუშეკრობა, შიმშილი, სიცივე და თვითმკვლელობის ბევრი შემთხვევა. „საზოგადოება რეორგანიზებულ უნდა იქნეს და გადაეცეს იგი საიმედო მბართველობის ხელში", — ასეთ რევოლუციურ დასკვნამდე მივიდა იგი.

ამერიკის სოციალისტური მოძრაობის, 1905 წლის რუსეთის რევოლუციისა და მაქსიმ გორკის შემოქმედების გავლენით ჯეკ ლონდონი განიცდის დიდ შემოქმედებით აღმავლობას, რომლის უმაღლეს წერტილს მისი ცნობილი რომანი „რკინის ქუსლი" წარმოადგენს. ამ ნაწარმოებმა დიდი რევოლუციური როლი შეასრულა ამერიკაში და ჯეკ ლონდონის სახელი ძლიერ პოპულარული გახადა მუშებს შორის. ამერიკულ ლიტერატურაში ჯეკ ლონდონამდე არ ყოფილა არც ერთი მხატვრული ნაწარმოები, სადაც ასე მკვეთრად და აშკარად მოეწოდებინოთ რევოლუციისაკენ, პროლეტარიატის გაერთიანებისაკენ. მწერალმა მწვავედ ამხილა მშრომელ ხალხთა ცრემლითა და სისხლით აგებული ბურჟუაზიული ცივილიზაცია, მეცნიერება, რელიგია, ხელოვნება, ლიტერატურა, პრესა, რომლებიც ექვემდებარებიან გაბატონებული კლასების ინტერესებს. მან დაუნდობლად გააკრიტიკა ეგრეთწოდებული „ამერიკული დემოკრატია", ფარდა ახადა მას და გვიჩვენა მთელი მისი სიყალბე. რკინის ქუსლი — ეს ფაშისტური ტიპის ბურჟუაზიული მთავრობაა, მონოპოლისტური კაპიტალის იარაღი, რომელიც თავისი რკინის ქუსლით თელავს და არარად აქცევს თავისუფლების, დემოკრატიის ყოველგვარ ნასახსაც კი. უილიამ ფოსტერი ამ ნაწარმოების შესახებ ამბობდა: „თავის „რკინის ქუსლში" მან ზოგადად გვიწინასწარმეტყველა ფაშიზმის წარმოშობა და ის მწვავე ბრძოლა, რომელიც საჭირო იქნება მის დასაძლევად". ამავე დროს ჯეკ ლონდონმა ამ რომანში იწინასწარმეტყველა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იქცეოდნენ მსოფლიო რეაქციის ცენტრად და მსოფლიო ხალხების თავისუფლების საფრთხედ. „რკინის ქუსლი" ამერიკის ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული ბასრი იარაღი იყო და ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ბურჟუაზიული კრიტიკა გულისწყრომით შეხვდა ამ ნაწარმოებს, იგი „სოციალისტურ პროპაგანდად" მოინათლა და „მწერლის ტალანტის დაკნინებაზე" მიუთითა.

ჯეკ ლონდონმა თანდათანობით ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის სახელი მოიხვეჭა და ბოლოსდაბოლოს ეზიარა წოდებრივ და ქონებრივ კეთილდღეობას.

1907 წელს საკუთარი გემით „სნარკით" ჯეკ ლონდონმა იმოგზაურა დედამიწის გარშემო. სწორედ „სნარკზე" დაიწყო მან თავისი ყველაზე ცნობილი რომანის „მარტინ იდენის" წერა. ამ რომანის შექმნის წლები მეტად მძიმე იყო მწერლის ცხოვრებაში. რუსეთის 1905 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქცია გაძლიერდა ამერიკაშიც. ამავე დროს ხალხს მოწყვეტილ მწერალზე სულ უფრო და უფრო ძლირდება ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენა. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა შეიძინა მამული და ჩაიკეტა თავისთავში. ყოველივე ამან უარყოფითი დაღი დაასვა „მარტინ იდენის“ იდეურ დასასრულს.

„მარტინ იდენი“ ძირითადად ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებია, რომელიც ასახავს ხელოვანის ტრაგიკულ ბედს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. რომანის გმირი ყოფილი მეზღვაური, დაბალი წრიდან გამოსული მარტინ იდენი არაჩვეულებრივი ენერგიის, არაადამიანური შრომისა და რკინისებური ნებისყოფის წყალობით გზას იკაფავს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც ყოველგვარი ადამიანური გრძნობა ფულზე ხურდავდება, და აღწევს თავის მიზანს — ხდება ცნობილი მწერალი და მდიდარი ადამიანი. მაგრამ ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან ხანგრძლივ და სასტიკ ბრძოლაში იგი იღლება და მარცხდება. მარტინ იდენი ჰკარგავს ცხოვრების ყოველგვარ ინტერესს, თავს ვერ აღწევს მის წინაშე წამოჭრილ წინააღმდეგობებს და ერთადერთ გამოსავალს თვითმკვლელობაში ხედავს.

მარტინ იდენის ტრაგედია თვით მწერლის ტრაგედიაც იყო. იგი ან უნდა დაღუპულიყო როგორც მხატვარი, ან დადგომოდა ბურჟუაზიულ სინამდვილესთან შერიგების გზას. მართლაც, უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებები მიგვითითებენ იმაზე, რომ ჯეკ ლონდონი დაადგა ბურჟუაზიულ სინამდვილესთან შერიგების გზას და ეს თვითმკვლელობას გაუთანაბრდა. ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის გამხრწნელმა ზეგავლენამ ჯეკ ლონდონის დიდი შემოქმედების დაკნინებაც გამოიწვია. ბოლო წლებში იგი ქმნიდა სულ უფრო და უფრო მდარე მხატვრული ხასიათის გასართობ ნაწარმოებებს. მწერალი სავსებით მოწყდა ცხოვრებას, დაკარგა ცხოვრების სიმართლის ალღო და შექმნა ისეთი ანტიმხატვრული და კაცთმოძულე ნაწარმოებები, როგორიცაა „თავგადასავალი“ და „წითელი ჭირი“. 1912 წლიდან იგი მჭიდროდ დაუკავშირდა ჰერსტის გამომცემლობას. სულ უფრო და უფრო იზრდება მასზე რეაქციული იდეოლოგიის ზეგავლენა. იგი იქამდეც კი მივიდა, რომ ამართლებდა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას მექსიკაში. ამავე დროს თანდათან ძლიერდება მწერლის პესიმისტური განწყობილება („მთვარის ველი“, „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“, „სამთა გული“), ხოლო 1915 წელს დაწერილ მეტად რეაქციულ მოთხრობაში „წითელი ჭირი“ მან კაცობრიობის მომავლის საშინელი სურათი დაგვიხატა. იგი სრულიად მოწყდა მუშათა მოძრაობას, ხალხს და სიკვდილამდე არც ისე დიდი ხნის წინ გამოვიდა სოციალისტური პარტიის რიგებიდან, რომელიც თუმცა მაშინ ოპორტუნიზმის გზას დაადგა. ამ წლებში ჯეკ ლონდონს არც ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები არ შეუქმნია. ასე ჩაკლა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ დიდი მწერლის ტალანტი. ლონდონის სულიერი ტრაგედია ის იყო, რომ მას მთელი არსებით სძულდა ბურჟუაზიული საზოგადოება, მაგრამ უსუსური აღმოჩნდა კავშირი გაეწყვიტა მასთან და მის მონობაში აღმოჩნდა. მწერალი მხოლოდ გვიან მიხვდა, რომ სიმდიდრისა და სახელის გამოდევნება დამღუპველია. თავის დიდ ტრაგედიას ჯეკ ლონდონი კარგად გრძნობდა და მეტად მტკივნეულად განიცდიდა. ბოლო წლებში იგი დაეწაფა ღვინოს და თავისი ცხოვრება მარტინ იდენის მსგავსად ტრაგიკულად დაამთავრა. როგორც ფიქრობენ, ორმოცი წლის ჯეკ ლონდონმა თავი მოიწამლა.

ამერიკის ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეობა ყოველმხრივ ცდილობს გააყალბოს ჯეკ ლონდონის შემოქმედების პროგრესული მხარე, მიჩქმალოს მისი, როგორც დიდი მწერლის, სახელი.

ჯეკ ლონდონის შემოქმედება მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში დაფასდა. მისი ნაწარმოებები რამდენჯერმე გამოიცა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. ქართულად თარგმნილია „მარტინ იდენი“, „რკინის ქუსლი“ და მთელი რიგი მოთხრობები. საბჭოთა კავშირში ეკრანიზებულია მისი ცნობილი ნაწარმოებები „თეთრი ეშვი“ და „მექსიკელი“. მალე გამოვა მისი მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმი „მოიკლას ადამიანი“.

ჩვენთვის ძვირფასია ჯეკ ლონდონი, როგორც ჰუმანისტი და დიდი მხატვარი, ამერიკელი ხალხისა და მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი.

ვ. ჯოჯრბენაძე.

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის აჭარაში

1920 წლის დამლევსა და 1921 წლის დამდეგს მენშევიკური დიქტატურის კრახის გარდუვალობა აშკარა გახდა. მენშევიკურმა პარტიამ საბოლოოდ დაკარგა ყოველგვარი ნდობა. მშრომელი მასების დიდი უმრავლესობა მტკიცედ უჭერდა მხარს კომუნისტურ პარტიას... 1921 წლის 11 თებერვალს სომხეთის მოსაზღვრე ქართულ სოფლებში დაიწყო მშრომელთა შეიარაღებული აჯანყება, რომელიც სწრაფად გავრცელდა და თითქმის მთელ საქართველოს მოედო. 16 თებერვალს შექმნილმა რევკომმა საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა და დახმარებისათვის მიმართა რსფსრ მთავრობას, პირადად ვ. ი. ლენინს. საქართველოს რევკომის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და ვ. ი. ლენინის მითითებით მე-11 წითელი არმია, რომელსაც სათავეში ედგნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი, სასწრაფოდ მიეშველა აჯანყებულ ქართველ ხალხს. 25 თებერვალს წითელი არმიის მეომრები აჯანყებულთა რაზმებთან ერთად თბილისში შევიდნენ.

16 თებერვალს, ღამის 12 საათზე, ნ. ჟორდანიას კაბინეტში გაიმართა დამფუძნებელი კრების წევრთა საგანგებო თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ჟორდანიას მოხსენება მთავრობის სრულ სასოწარკვეთილებას მოასწავებდა. დეპუტატთა მცირე ნაწილი, მათ შორის ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწე გერონტი ქიქოძე, ბოლშევიკებთან შეთანხმებას და სისხლის ღვრის თავიდან აცილებას მოითხოვდა. მაგრამ ჟორდანია-რამიშვილის მთავრობამ კვლავ თავისი ავანტიურისტული პოლიტიკა განაგრძო.

აღსასრულის ჟამს მენშევიკურმა მთავრობამ მასობრივად დააპატიმრა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი მუშაკები, აქტივისტები და რიგითი წევრებიც. დააპატიმრეს აგრეთვე რსფს რესპუბლიკის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიპლომატიური წარმომადგენლები.

გაკოტრებული მენშევიკური მთავრობა მთელ იმედებს ბათუმის ოლქზე ამყარებდა და ამიტომ სცადა ზურგის გაწმენდა „მავნე" ელემენტებისაგან. შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის განკარგულებით, 18 თებერვალს მენშევიკების საგანგებო რწმუნებულმა გრ. გიორგაძემ დააპატიმრა რსფსრ, აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ საკონსულოთა მთელი შემადგენლობა ბათუმში.

ამავე დროს მენშევიკური მთავრობა შეეცადა მობილიზაციის ჩატარებას და ახალი სამხედრო ნაწილების შექმნას. 1921 წლის 17 თებერვალს ნ. ჟორდანიამ დეპეშით მიმართა ბათუმში გრ. გიორგაძეს — გააძლიერეთ სამხედრო მუშაობა, გამოუგზავნეთ მთავრობას ახალ-ახალი ძალები და მტერს საბოლოოდ დავამარცხებთო. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ მოწოდებით მიმართა აჭარის მოსახლეობას: ქართველო მუსულმანებო, თქვენც უნდა შეიტანოთ წვლილი სამშობლოს დაცვაში, ხელი მოკიდეთ იარაღსო.

მთავრობის დავალებით აჭარაში მოხალისეთა რაზმის შედგენას შეუდგა ასლან აბაშიძე. სოფლებში იწვევდნენ კრებებს და მოსახლეობას მოუწოდებდნენ შესულიყვნენ მოხალისეთა რაზმებში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზოგან კრება ჩატარდა ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, მენშევიკების ამ ავანტიურას აჭარის მოსახლეობა კატეგორიულად გაემიჯნა, გადაჭრით უარი განაცხადა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებაზე.

წითელი არმია სწრაფად მოიწევდა წინ ოთხი მიმართულებით: მამისონისა და სურამის უღელტეხილებიდან ქუთაისის მიმართულებით, ბორჯომ-ახალციხიდან — აჭარისაკენ და შავი ზღვის სანაპიროებიდან — სოხუმისაკენ.

მარტის დამდეგს მენშევიკური ჯარის ნა-

წილებმა თავი მოიყარეს ქუთაისში. მათი მდგომარეობა სრულიად უნუგეშო იყო: აღარ არსებობდა გუნდები და ათასეულები. ჯარი სოფლებში გაიფანტა. ქუთაისის მაზრის სოფლებს კალიებივით მოედვნენ აგრეთვე კედიას განსაკუთრებული რაზმის წევრები. ისინი აპატიმრებდნენ და ციხეში ყრიდნენ კომუნისტებსა და მათ მომხრეებს, ამასთან ძარცვავდნენ მოსახლეობას და ნაძარცვ ქონებას ბათუმში გზავნიდნენ. ქუთაისში მათ ელექტრონის მავთულებიც კი დახსნეს და წაიღეს (გაზ. „კომუნისტი", № 18, 1921 წ.).

5 მარტს ქუთაისში შეიქმნა თავდაცვის საბჭო, რომელიც სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლას. მენშევიკებმა პირი ბათუმისაკენ იბრუნეს და აქ ახალი ვერაგობა ჩაიდინეს: ბათუმი და ბათუმის მთელი ოლქი თურქეთს გადაეცა. 11 მარტს თურქეთის ჯარის მეწინავე ნაწილი ბათუმში შემოვიდა. 16 მარტისათვის თურქ ჯარისკაცთა რიცხვი აქ 3.500-მდე აღწევდა (გაზ. „კომუნისტი", № 238, 1921 წ.).

როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, თურქებს გადაწყვეტილი ჰქონდათ 17 მარტს ხელში ჩაეგდოთ ბათუმის მთელი გამაგრებული რაიონი, ხოლო 18 მარტს განეიარაღებინათ მენშევიკური ჯარი და ბათუმის ოლქი თურქეთთან შეერთებინათ. ამავე დროს საქართველოს ყოფილი მთავრობა ზავის საკითხზე მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს რევკომთან. ამაზე მეტი ორპირობა და ვერაგობა შეიძლება?!

ასე გადაიქცა ბათუმი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ინტრიგის ცენტრად. მას ებღაუჭებოდნენ, ერთი მხრივ, თურქეთის აგენტები, მეორე მხრივ, ანტანტის იმპერიალისტები. მაგრამ საქართველოს რევკომმა გააფრთხილა ისინი: ვინც ბათუმს თავს დაესხმის, მედგარ წინააღმდეგობას შეხვდებაო (გაზ. „კავკასიის კომუნარი", 1921 წ.).

თურქი დამპყრობლები დაინტერესებული იყვნენ არა მენშევიკური დიქტატურის დაცვით, არამედ ბათუმით და ბათუმის ოლქით. თურქებმა საიდუმლო კავშირი დაამყარეს „ს

ლოდ არაფერს არ თმობდნენ, მაგრამ ქართველი მეომრები შეუპოვარი ბრძოლით წინ მიიწევდნენ და იკავებდნენ ახალ-ახალ პოზიციებს.

18 მარტს დღის 4-5 საათისათვის თურქეთის ჯარის დამარცხება ფაქტი გახდა. და სწორედ ამ დროს ბათუმში შემოვიდნენ წითელი არმიის ცხენოსნებიც (გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", № 60, 1921 წ.). ამის შემდეგ კიდეც შეწყდა საომარი მოქმედება, დაიდო დროებითი ზავი. იმავე საღამოს წითელი არმიის ცხენოსნები ქართველ ცხენოსნებთან ერთად ბათუმ-ნატანების რკინიგზის ლიანდაგის დასაცავად გაეშურნენ. თურქებმა დრო იხელთეს და დაზავების პირობები დაარღვიეს, სროლა აუტეხეს ქართველ მეომრებს.

19 მარტს ბარცხანაში სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა თურქებსა და ქართველებს შორის. ქართველმა მეომრებმა სასტიკად დაამარცხეს თურქი დამპყრობლები და ტყვედ იგდეს 60-მდე ასკერი, 20 ოფიცერი და ერთი ტყვიამფრქვევი (გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", № 73, 1921 წ.).

დამფრთხალმა თვითმარქვია გუბერნატორმა ქიაზიმ-ბეიმ კაპიტულაციის ნიშნად თეთრი დროშა აღმართა. 21 მარტისათვის ბათუმი მთლიანად გაიწმინდა თურქებისაგან. წითელი არმიის ნაწილებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს რევკომს წესრიგის აღდგენაში.

ჩვენი ქალაქი უკვე აღარ განიცდიდა თურქთა თავდასხმის საშიშროებას. მაგრამ აჭარის სოფლებში შეფარებული თურქები წყალწაღებულივით ხავსს ებღაუჭებოდნენ, იწვევდნენ კრებებს და მოსახლეობას მოუწოდებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ამასთან საჩუქრად პირდებოდნენ ოქროებსა და იარაღს. თურქების მიზანი იყო მოსახლეობის აჯანყების მოწყობით დაემტკიცებინათ, რომ მაჰმადიან ქართველობას თითქოს არ სურდა საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა. მაგრამ ისინი ამჯერადაც მწარედ მოტყუვდნენ. „თურქებს არ მიემხრო არც ერთი მაჰმადიანი ქართველი" (გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", № 21, 1921 წ.).

ქართველმა ხალხმა წითელი არმიის დახმარებით აჭარიდან საბოლოოდ განდევნა მოძალადე თურქები.

20 მარტს შეიქმნა ბათუმის ოლქის რევკომი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ს. ქავთარაძე (თავმჯდომარე), მ. ტოროშელიძე, თ. ყლენტი, ი. პევცოვი, დ. მახარაძე, მ. აბაშიძე, კ. თავბერიძე, რ. ნიკარაძე, კ. საჯაია.

აჭარის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას მთელ საქართველოში. 27 მარტს ბათუმში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელმაც მისალმება გაუგზავნა ვ. ი. ლენინს.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა აგრეთვე ხულოში, ქედაში, ქობულეთში, ჩაქვში, ხუცუბანში, გონიოში და სხვა სოფლებში.

თურქები დიდ იმედებს ამყარებდნენ სასაზღვრო სოფლების მოსახლეობაზე, ცდილობდნენ მათს ანკესზე წამოგებას. 1921 წლის 11 აპრილს სოფ. მარადიდში გაიმართა დიდი მიტინგი. თურქებისა და მათი აგენტების ვარაუდი — მიტინგი ანტისაბჭოთა ხასიათს მიიღებსო, არ გამართლდა. მიტინგმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების ნიშნად მოითხოვა კომუჯრედის ჩამოყალიბება. იმავე დღეს პარტიის რიგებში შევიდა თვრამეტი გლეხი.

ეს იყო აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების ზეიმის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელი.

1921 წლის ნოემბერში აჭარის მშრომელებმა აირჩიეს აჭარის ასსრ უმაღლესი ორგანო — წითელი მეჯლისი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები რ. ნიკარაძე, ს. დიასამიძე, ქ. ნოღაიდელი, ხ. თხილაიშვილი, რ. გოგიტიძე, ს. კომახიძე, ხ. ჯიჯავაძე, ი. კაიკაციშვილი, ა. ხალვაში, ჯ. მჟავანაძე და სხვ.

შეიქმნა აგრეთვე რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ რ. ნიკარაძე, ს. დიასამიძე, მ. გათენაძე, ჯ. ფაღავა და სხვები.

ამ ღირსსახსოვარი დღეების შემდეგ ორმოცი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში აჭარის მშრომელებმა წინათ ჩამორჩენილი და ღატაკი აჭარა საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე კუთხედ გადააქციეს.

ჰ. ცაქვიტარია,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲔᲣᲓᲠᲔᲙᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ს. გერსამიას ნარკვევი „მემედ აბაშიძე". ამ პატარა მოცულობის გულთბილად დაწერილ წიგნს მკითხველები დიდი ინტერესით შეხვდნენ. ავტორი მშრალად, მოწყვეტილად კი არ განიხილავს ამ გაბედული და ენერგიული პატრიოტის ცხოვრებას, არამედ მჭიდროდ უკავშირებს მას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სიტუაციებს, ხელშესახებად წარმოგვიდგენს მემედ აბაშიძის ნათელ პორტრეტს — პირადულ ცხოვრებას და საზოგადოებრივ საქმიანობას, მის მგზნებარე პატრიოტულ მოღვაწეობას.

ს. გერსამიას პირველი სტრიქონებიდანვე მოხერხებულად შეჰყავს მკითხველი საქმის კურსში. „მ. აბაშიძე, — წერს იგი, — იყო პირველი ქართველი მუსლიმანი მწერალი, პუბლიცისტი და ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწე, რომელიც მოგვცა ოსმალთა სამასწლოვანი ბატონობის უღლისაგან გამოხსნილმა და დედა-სამშობლოსთან კვლავ შემოერთებულმა აჭარამ. მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრება მ. აბაშიძემ მოახმარა ქრისტიან და მუსლიმან ქართველთა შორის „ჩატეხილი ხიდის" გამართვებისათვის, ბარბაროსთა უღლისაგან განთავისუფლებული თავისი კუთხის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის, საქართველოს მთლიანობისათვის დაუცხრომელ ბრძოლას".

მ. აბაშიძის პორტრეტის ამ ზოგადი დახასიათების შემდეგ ავტორს გადაუყავართ იმდროინდელ სამყაროში. ნარკვევში ფაქტები უხვადაა და, ეფიქრობთ, ზოგიერთის გამეორება ზედმეტი არ იქნება.

მ. აბაშიძე ქართველი ერის ნამდვილად ღირსეული შვილია. მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური წრიდან გამოვიდა, ქართველი ხალხის პროგრესული ძალების რიგებში უყოყმანოდ ჩადგა და ჩვენი კუთხის — აჭარის პირველარამის მძიმე უღელი უშიშრად ასწია თავისი ღონიერი ქედით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი არა მარტო სიმპათიურად იყო განწყობილი რევოლუციის მამოძრავებელი ძალებისადმი, არამედ აქტიურადაც ეხმარებოდა მათ და მხარს უჭერდა. დროის კარნახით, მან მიზნად დაისახა „ბრძოლა საქართველოს მთლიანობისათვის". და ეს მარტო ლიტონი სურვილი როდი იყო, მას ხორცს ასხამდა მრავალსახეობა მოღვაწეობით — კალმით, სიტყვით და საქმით. ის აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, ეკამათებოდა იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეებს (ბ. მირიანაშვილი, გ. გვაზავა) „ვეფხისტყაოსნის" გვირთა სარწმუნოების შესახებ. ამ მსჯელობის არსს დღესაც არა აქვს დაკარგული მნიშვნელობა, სადაც მან გამოამჟღავნა მაღალი ნიჭი და [illegible]თული და უცხო ენების (არაბული, თურქული, სპარსული) ღრმა ცოდნა.

მ. აბაშიძე ახალგაზრდობიდანვე დაუკავშირდა ქართველი ხალხის პროგრესულ ძალებს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, თედო სახოკია, სოფრომ მგალობლიშვილი, რაფიელ ერისთავი, ეალერიან გუნია და სხვ. იგი ახლო კავშირში იყო ბათუმში მოღვაწე სახელოვან ადამიანებთან ი. მესხთან, გრ. ეოლსკისთან, დ. კლდიაშვილთან და სხვ. აი ის ნიადაგი და ატმოსფერო, რომლითაც უხვად იკვებებოდა და სუნთქავდა, ყოველდღიურად იზრდებოდა და კაჟდებოდა მ. აბაშიძე.

მ. აბაშიძე ერთა შორის ინტერნაციონალური დამოკიდებულების მომხრე იყო. მთავრობის ვერავითარმა ნაციონალისტურ-შოვინისტურმა ხრიკებმა ის ვერ ჩააბა ერთა შორის ხოცვა-ყლეტის სამარცხვინო საქმეში. პირიქით, ჩვენი სასიქადულო საზოგადო მოღვაწე მოუწოდებდა მათ ერთიანობისა და ძმობა-მეგობრობისაკენ. ამითაც არ კმაყოფილდებოდა, იგი ნიღაბს ხდიდა მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას — „დააქუცმაცე და იბატონე".

ოხრანკა შეეცადა მოესყიდა მ. აბაშიძე და მეფის სამსახურში ჩაეყენებინა, ესარგებლა ხალხში მისი დიდი აღორიტეტითა და ნდობით. მაგრამ ამაოდ. ბოლოს გადაწყვიტეს თავიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეშორებინათ იგი ადმინისტრაციული წესით. ამ ვერაგული განზრახვის განხორციელებაში მთავრობას ხელს უწყობდნენ რეაქციონერი ბეგები. მ. აბაშიძე იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსეთი და თავი შეეფარებინა თურქეთისათვის, მაგრამ თავშესაფრის ნაცვლად ტრაპიზონის ციხეში აღმოჩნდა, როგორც რევოლუციონერი... აქ მას თავს დაატყდა მოულოდნელი პირადი უბედურება: ორი ვაჟკაცი შვილი ქემალი და ბექირი დაკარგა. მ. აბაშიძე მძიმე ავადმყოფი უმცროსი შვილით (იბრაჰიმით) ხელში ტყე-ღრით მალულად დაბრუნდა ბათუმში (1913 წ.), მაგრამ რუსეთის ცარიზმის ოხრანკამ იგი მაშინვე დააპატიმრა და ციხიდან ციხეში გადაჰყავდა.

1917 წელს მემედ აბაშიძე კვლავ ბათუმშია.

კარგად ერკვეოდა რა ეროვნულ და სარწმუნოებრივ საკითხებში, მ. აბაშიძე ამბობდა, სარწმუნოების სხვაობა ხელს არ უშლის ერის ერთიანობას, კერძოდ ქართველთა ერთიანობას. იგი სარწმუნოებას უყურებდა როგორც ჭეშმარიტ ადამიანის სხეულზე, რომელიც სწავლა-განათლებით ჩამოირეცხება და დავრჩება ერთი ხალასი ცნება — ქართველი. ამიტომ არ იზიარებდა მისიონერთა „მოღვაწეობას“ აჭარაში, რომელმაც ხელი შეუწყო მუჰაჯირობას და დიდი გასაქანი მისცა ხოჯა-მოლების თარეშს, გააძნელა ქართველთა ურთიერთ გათვითცნობიერება, კულტურული აღმავლობისათვის ზრუნვა ადგილობრივ მოსახლეობაში.

მ. აბაშიძე ბათუმის ქართულ სკოლაში თურქული ენის მასწავლებლადაც მიუწვეიათ, მაგრამ იგი ეროვნულ საკითხს ერთი წუთითაც არ ივიწყებდა. გაკვეთილებზე მოსწავლეებს უამბობდა ქართველი ხალხის ისტორიას, აღვივებდა მათ ეროვნულ-პატრიოტულ შეგნებას. ამიტომ მალე გაათავისუფლეს სამუშაოდან.

მხოლოდ მშობელი ერის დიდ მოსიყვარულესა და სულით რაინდს შეეძლო გაბედა თურქეთის სამხედრო მინისტრის ენვერ-ფაშისათვის, რომ თქვენ სტუმრად ხართ ჩამოსული ჩვენს ქვეყანაში და „იმედი გვაქვს მოკლე დროში ბათუმსა და მის ოლქს დატოვებთო“. მაგრამ მომხვდურთა ჩინიანი წარმომადგენლების წინაშე ასეთი გაბედული გალაშქრება მას იოლად არ დაუჯდა — ტრაპიზონის ციხეში ამოაყოფინეს თავი და სასტიკადაც დასჯიდნენ, მაგრამ იქ მცხოვრებმა მადლიერმა ლაზებმა და აჭარლებმა გამოაპარეს. მ. აბაშიძე დაბრუნდა სამშობლოში და კვლავ სათავეში ჩაუდგა საყვარელ საქმეს: გააძლიერა განმათავისუფლებელი მოძრაობის კომიტეტის მუშაობა, დარაზმა ფართო მასები თურქ ინტერვენტთა წინააღმდეგ. კომიტეტის გადაწყვეტილებით, მ. აბაშიძემ დააარსა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში, როგორც რედაქტორი. მიუხედავად ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგობისა, მან მოიწვია აჭარის მშრომელთა ყრილობა, გამოააშკარავა თურქ ინტერვენტთა და ადგილობრივი თურქოფილი ბეგების, ხოჯა-მოლების უღირსი საქციელი, რაც გამოიხატა ხალხის მოტყუებაში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. მ. აბაშიძემ მოუწოდა ხალხს ერთიანი საქართველოს დროშის ქვეშ დარაზმულიყო და მოითხოვა, რათა თურქეთის ჯარებს სასწრაფოდ დაეტოვებინათ არა მარტო აჭარა-ქობულეთი, არამედ ქართველი ხალხის მთელი მიწა-წყალი.

მ. აბაშიძე, განვლო რა მკაცრი და სახელოვანი ბრძოლის სკოლა ერთხელ არჩეული გზით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ერის მოწინავე შვილებთან ერთად კვლავ აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში.

1926 წელს მ. აბაშიძემ ჟურნალში „ქართული მწერლობა“ მოათავსა წერილი „ქართული ენის განწმენდისათვის“ და მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართველოს გაერთიანებულ მწერალთა ყრილობაში, სადაც დღის წესრიგში ენის სიწმინდის საკითხი იდგა.

მ. აბაშიძე მოითხოვდა მშობლიური ენის დაცვას უცხოურის გავლენისაგან და მისი გაუხვების ძირითად წყაროდ მიაჩნდა ქართველი ხალხის ენა. იგი ამბობდა: „ჩვენ ჩვენი მშობლიური მეტყველების სალაროს სიღრმეში მოგვეპოვება სანაცვლო სიტყვები, მხოლოდ მათ შესწავლა უნდა, გამოტანა და წარმოებაო“.

სამართლიანად ასკვნის ს. გერსამია წარმოდგენილ ნაშრომში: „ამგვარად, მეზობელ ერთა ენებიდან სიტყვების სესხების აუცილებლად საჭიროების შესახებ საკითხი მწერლობაში გადაჭრით და ოფიციალურად პირველად მ. აბაშიძემ დააყენა“.

აღსანიშნავია მ. აბაშიძის მთაგრმნელობითი მუშაობაც. იგი თარგმნიდა პროგრესული თურქული და ირანული მწერლობის ნიმუშებს, აგრეთვე საუკეთესო ქმნილებებს ქართულიდან თურქულად. ბოლოს, იგი შეუდგა უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ თურქულად თარგმნას.

ასეთია ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის ცხოვრების გზა და უკე სიბერეში შესული მ. აბაშიძე სავსებით სამართლიანად წერდა: „ჩემი ისტორიული მისია პირნათლად შევასრულე. თუ რამე შეცდომები მქონდა, ერი მომიტევებს და შემინახავს, არ დამივიწყებს, მაცოცხლებს“. მადლიერ ერს რომ არ დავიწყებია იგი, ამას მოწმობს ს. გერსამიას ნარკვევიც.

ს. გერსამიას ეს წიგნი ნათელი შინაარსითა და ფაქიზი შესრულებით უდავოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ გვაქვს ცოტა სასაყვედუროც. იგი მეტისმეტად მოკლეა და მთელი სისრულით ვერ ასახავს მ. აბაშიძის მრავალფეროვან საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. სულ მალე, 1963 წელს, შესრულდება მისი დაბადების 90 წლისთავი და სასურველია აღნიშნული ნარკვევი შეივსოს ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალებით და გამოიცეს გაცილებით უფრო ვრცელი მონოგრაფია მ. აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ჩვენი თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე უდავოდ ამის ღირსია.

სასურველი იყო აგრეთვე ავტორს მოეცა ცნობები იმერელ და ბათუმელ აბაშიძეთა ისტორიული და ნათესაური დამოკიდებულების შესახებ. ნარკვევს დაამშვენებდა მ. აბაშიძის თურქეთიდან გამოგზავნილი წერილი რომანოვსკისადმი, სადაც აგრეთვე ნათლადაა გამოხატული მისი ეროვნული და პოლიტიკური მრწამსი.

დოც. ხ. ხალვაში.

საინტერესო ანტირელიგიური წიგნი

აჭარის სახელგამმა გამოსცა კ. ლილუაშვილისა და ხ. ახვლედიანის წიგნი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: „ისლამი და მისი ზოგიერთი გადმონაშთი" (ავტორი კ. ლილუაშვილი) და „ისლამის ზოგიერთი გადმონაშთი აჭარაში" (ავტორი ხ. ახვლედიანი).

სარეცენზიო ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული მუსლიმანთა საღვთო წიგნი ყურანი და მასზე დამყარებული მუსლიმანური კანონმდებლობა — შარიათი და ადათი.

ნარკვევში განხილულია სხვადასხვა მუსლიმანური სექტები, მიმდინარეობანი და დოგმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მარხვას ანუ რამაზანს, ბაირამს, ყურბან-ბაირამს და სხვ. მდიდარ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით მხილებულია ამ რელეგიური დოგმების რეაქციული და მავნე ხასიათი.

წიგნის მეორე თავში განხილულია აჭარაში ისლამის ძალდატანებით გავრცელების ისტორია, ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა გამაჰმადიანების წინააღმდეგ. მდიდარ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია, თუ როგორ და რა საშუალებებით ნერგავდნენ თურქები აჭარაში ისლამს.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის მეოხებით მშრომელმა მოსახლეობამ დიდი ხანია დაგმო ისლამი, მაგრამ, როგორც ნარკვევშია ნათქვამი, მისი ზოგიერთი წეს-ჩვეულება, გადმონაშთის სახით, აქა-იქ დღესაც იჩენს თავს. ზოგან, განსაკუთრებით სოფლად, კვლავ შემორჩენილია მცირეწლოვანი ქალების გათხოვება, იძულებითი ქორწინება, მომშობიარების უხეში წესები, წინდაცვეთა, მარხვა (რამაზანი), შელოცვებითა და „ნუსხით" მკურნალობა, ბაირამობა და სხვ.

კარგად არის ნაჩვენები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი ხალხის მასების კულტურული დონის ამაღლებისა და ისლამის გადმონაშთების დასაძლევად.

სარეცენზიო წიგნს, ღირსებებთან ერთად, გააჩნია ზოგიერთი ნაკლიც. კერძოდ, გვხვდება ქრონოლოგიური უზუსტობანი. ასე, მაგალითად, ნარკვევის მიხედვით „მე-16 საუკუნის დამდეგიდან ოსმალთა ბატონობა გავრცელებას იწყებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე" (გვ. 15), მაშინ როცა ოსმალებმა აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობა ჯერ კიდევ XIV საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყეს და XVI საუკუნის დამდეგისათვის მათ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილი და მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული უკვე დაპყრობილი ჰქონდათ. აქვე ნათქვამია, რომ „მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალებმა დაიპყრეს სამხრეთ საქართველოს უმეტესი ნაწილი და მათ შორის აჭარის მიწა-წყალიც" (გვ. 52). როგორც სათანადო წყაროებიდან ირკვევა, ოსმალებმა აჭარა XVI საუკუნის პირველ ნახევარში კი არა, XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაიპყრეს.

საინტერესო იქნებოდა ყურადღება მიქცეოდა იმ ფაქტს, რომ აჭარაში მეჩეთებისა და მედრესეების მშენებლობა მხოლოდ XIX საუკუნის 40-50-იან წლებიდან დაიწყო. რა იყო ამის მიზეზი, რით იყო გამოწვეული ეს მოვლენა?

„არაბეთის მოსახლეობის ფართო ნაწილი, — ნათქვამია ნარკვევში, — ბინადარ ცხოვრებას ეწეოდა, არაბთა უმრავლესობას კი შეადგენდნენ მეჯოგე-მომთაბარე ტომები, ანუ ბედუინები" (გვ. 5). ეს სწორი არ არის. თუ არაბეთის მოსახლეობის ფართო ნაწილი ბინადარ ცხოვრებას ეწეოდა, მაშინ როგორღა შეადგენდა არაბთა უმრავლესობა მეჯოგე-მომთაბარე ტომებს?

იბნ-სინა (ავიცენა) იყო არა არაბი (გვ. 39), არამედ ტაჯიკი ფილოსოფოსი და მეცნიერი.

კარგი იქნებოდა, ნაშრომში გარკვეული ადგილი დათმობოდა თანამედროვე პანისლამისტურ მიმდინარეობათა კრიტიკას.

ვ. სვანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაღვა შუბლაძე

სარეკელა

ღარში წყალი გუგუნებს და,
ქვაზე რომ ხტის სარეკელა,
თუმც ხმას არვინ უწუნებდა,
უჩიოდა თავად ყველას:
— წყალს შეხედეთ, რარიგ ჰგოდებს,
დამაყრუოს მალე მგონი.
ნეტავი ხმას არ მიხშობდეს,
ვიქნებოდი იადონი.
სხვებიც წუხილს გამოსთქვამდნენ,
უჯერებდნენ და მოსთქვამდნენ.
ერთხელ მოჰყვა დარებს დარი,
დარჩა ყანა უთესავი.
ღარში ჩადგეს საგუბარი,
წყალს მინდვრისკენ უკრეს თავი.
წისქვილს გული მოწყდა თითქოს,
მყის დადუმდა სარეკელაც.
ხმა სულაც ვერ ამოიღო,
თუმც ეხვია თავზე ყველა.
თქვეს: საბრალო გარდაცვლილა, —
და უნთებდნენ სანთლებს წყვილად.
აი მალე ლეგა-ლეგა
ღრუბლებს მოჰყვა ქარიშხალი
და წისქვილის მაცოცხლებლად
კვლავ ამღერდა ღარში წყალი.
რომ დაბრუნდა ქვა, ვით ჯარა,
ტრაბახს მოჰყვა სარეკელა.
მაშინ ბრიყვს და მეტიჩარას
შეაქცია ზურგი ყველამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სამსონია

სტუდენტობა და სიყვარული

დ ღ ე ო ბ ა

მაშასადამე, გადაწყდა — დღეიდან მე ქეთინოს არ ვიცნობ! — შევფიცე ჩემს თავს ლექციებზე წასვლის წინ, მორჩა და გათავდა შენი სამიჯნურო თავგადასავალი, სიმონ მდინარაძევ. პაემანზე სიარული და გულის კანკალი შენი საქმეა არაა, შენ მხოლოდ წიგნი იკითხე და გამოცდებისათვის მოემზადე.

როგორც კი ეს გადავწყვიტე, იმ წუთში შვება ვიგრძენი. და აი ბედნიერი კაცის კმაყოფილი ნაბიჯებით ავდივარ ინსტიტუტის კიბეებზე. გარშემო ედემის ბაღი გეგონება — ერთმანეთში ირევიან წითელკაბიანი და შავკაბიანი, თეთრკაბიანი და ცისფერკაბიანი ქალიშვილები, იღიმიან, იცინიან და კისკისებენ, ალბათ, უხარიათ, ლამაზები რომ არიან. ღმერთმა ყველას ხელი მოგიმართოთ, ყველა გათხოვილიყოთ და ქორწილები გადაგეხადოთ, ოღონდ მე ნუ მიყურებთ ასეთი თვალებით. ბევრიც რომ ეცადოთ, მაინც არაფერი გამოვა — ჩემი გულის კარები სიყვარულისათვის ჩაკეტილია, დღეიდან მე მხოლოდ წიგნები მიყვარს და მეცნიერებას უნდა შევწირო თავი!

და უცებ ქორივით შემომაფრინდა რაღაცა გულზე, შემომაფრინდა და სიმები ჩამორეკა.

ქეთინო!

ორიოდე ნაბიჯით წინ მიდის ქეთინო — თეთრი ქალიშვილი, მიდის და უკან არ იხედება. არც კი იცის, რომ უკან სიმონია, სოფლელი ბიჭი, რომელმაც გუშინ ერთი საათი უცადა პაემანზე.

დაღუპულია, სიმონ, შენი საქმე, ქვეყანაზე აწი ვერაფერი გიშველის! ნუთუ არ გესმის შენი გულის ხმაური, სიმონ? აბა, კარგად დაუგდე ყური! სიყვარულია მაგი, წიგნებში რომ კითხულობდი და გიკვირდა. შენ ახლა გადარეული ხარ, სიმონ, და მაგის წამალი აფთიაქში არ იშოვება. დროს ნუ აცდენ, მიდი და უთხარი რაღაცა.

— ქეთინო!

გაჩერდა.

მობრუნდა.

შემხედა.

გავფუჭდი.

— ო, გამარჯობა, სიმონ, როგორა ხარ?

— არა მიშავს, შენ?

— ისე, საშუალოდ. რა ამბავია ახალი სტუდქალაქში?

გამაგრდი, სიმონ, ვაჟკაცი არა ხარ? მართალია, მან შორიდან დაგიწყო, მაგრამ შენ პირდაპირ უთხარი სათქმელი!

— სტუდქალაქი ქეა ადგილზე, მარა შენ ნუ იცინი, ქეთინო, სერიოზულად უნდა გელაპარაკო.

— მოიცა, კარგად შეგხედო, სიმონ მდინარაძე ხომ ხარ?

— ვარ და ერთი საათი გიცადე გუშინ ვერაზე.

— ოო, რაში ყოფილა საქმე! მაშასადამე, ბრაზობ, არა?

— მე სრულიადაც არ ვბრაზობ.

— ნამდვილად ცუდ ხასიათზე ხარ, სიმონ.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. შენ ის მითხარი, რომ დამპირდი, რატომ მომატყუე?

— არავითარი პირობა, მე ვთქვი ვნახოთ-მეთქი, მაგრამ ვერ მოვიცალე.

— აბა ვერ მოიცალე, ხომ?

— ვერა.

---

* მეორე ნაწილი. პირველი ნაწილი იხ. „ლიტ. აჭარა", № 5, 1960 წ.

— კარგი, ბატონო, მეტს აღარ შეგაწუხებ არაფერზე, — რაც შეიძლება მტკიცედ ვთქვი მე და აუდიტორიაში შევედი.

ქეთინოს ჯიბრზე იმ დღეს სულ ნანას გვერდით ვიჯექი და ანეგდოტებს ვუყვებოდი, რომლებზეც მხოლოდ მე ვიცინოდი.

— შეხვდა ერთმანეთს ორი კინტო და...

ნანა გაკვირვებული მიყურებდა.

— რაღაც უცნაური გახდი, სიმონ.

— დღეიდან მე, ნანა, ახალ ცხოვრებას ვიწყებ.

— ეს როგორ გავიგოთ?

— მალე გაიგებ ყველაფერს.

ნანა მიყურებს და ღიმილი დგება მის ლურჯ თვალებში. მაინც როგორ უხდება ეს ღიმილი. შეგხედავს და რატომღაც ყოველთვის ზღვა გაგახსენდება, ლურჯი ზღვა, წყნარი და მოალერსე. ნანა რომ კარგი გოგოა, ამას მტკიცება არ უნდა. რითაა ახლა ქეთინოზე ნაკლები? — არაფრით! მერე შენ თვალი სად გქონდა, სიმონა მდინარაძე?.. ჰო, კარგი გოგოა ნანა, მაგრამ ქეთინო მაინც სხვანაირია, თუმცა მე რა, ჩემთვის ახლა სულერთია.

შემთხვევით მოხდა თუ ბედი იყო, ლექციების შემდეგ მე და ქეთინოს კვლავ ერთად მოგვიწია კიბეებზე ჩასვლა.

— ქეთინო! — ეს მე არ მინდოდა, ვიღაცამ ჩემს მაგივრად შეაჩერა ქეთინო.

— რა იყო, სიმონ, თავი ხომ არ გტკივა?

— თავი არა, მარა მარცხენა წარბი კი მითამაშებს.

— მარტო ეს გინდოდა გეთქვა?

— ეს არა, მარა...

— რა მარა?

— იგი, რომ... მოიწი აქეთ, ორი სიტყვა უნდა გითხრა.

ქეთინოს გაეცინა და მეც გავთამამდი.

— ჰო, იმას გეუბნებოდი, გუშინ თუ ვერ მოახერხე, მაშინ დღეს წავიდეთ კინოში, იმისთანა სურათი გადის თურმე, ბავშვები თექვსმეტ წლამდე რომ არ დაიშვებიან.

— არა, სიმონ, დღესაც არ მცალია.

— მაშ როდის?

— რა ვიცი, ისე ვარ დაკავებული, რომ...

გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტივით სახეალეწილი ვიდექი ქეთინოს წინაშე და ჩემი თავისთვის სალანძღავი ეპითეტი ვერ მომეგონებინა.

ალბათ, ძალზე შესაბრალი ვიყავი, ქეთინომ რომ თანაგრძნობით შემხედა.

— კარგი, ცხვირი ნუ ჩამოუშვი. ამღამ დღეობა მაქვს, ხომ მოხვალ?

— მე?

— ჰო, შენ, ნუ გრცხვენია, სულ ჩვენები იქნებიან.

ქეთინო წავიდა. მე კი ამ მოულოდნელმა წინადადებამ ისე დამაფიქრა, რომ სტუდქალაქში როგორ ავედი, არც გამიგია.

— დღეობაზე წასვლა საერთოდ კარგია, ოღონდ ცუდი ისაა, მისატანი რომ უნდა. — მითხრა ნოდარმა.

— ჰო, უფულობა ცუდია, — დავეთანხმე მე, —რა ვქნა, არ წავალ და ისაა.

ნოდარმა მიყურა, მიყურა და გაიცინა.

— აი ხუთი თუმანი, მეტი რომ მთხოვო, არა მაქვს და არც გინდა. იყიდე ყველაზე დიდი ტორტი და მიიტანე.

გახარებული, ბედნიერი და აღელვებული ჩემს მხსნელს კისერზე ჩამოვეკიდე.

— ნოდარ, ძმაო და ძმაზე უტკბესო, შენ ხარ მოვლენა, შენ საოცრება ხარ, მე კი მხოლოდ და მხოლოდ სიმონი ვარ და არ ვიცი, რა უნდა გაგიკეთო სამაგიერო.

— შენ ახლა წახვალ და შარვალს დაივიწროებ. — მითხრა ნოდარმა.

— როგორ?

— როგორ და ოცდახუთ სანტიმეტრზე დაიყვან.

— მომკალი და მაგას ვერ ვიზამ.

— რატომ?

— რატომ და სტილიაგას დამიძახებენ.

— ახლა რას გეძახიან?

— ახლა სიმონის მეტს არაფერს.

— ჰოდა, სიმონ, დამიჯერე, ამ შარვლით დღეობაზე წასვლა არ იქნება.

შევყოყმანდი.

— რაკი მასეა და რაკი შენ მთხოვ... ჯანდაბას, დავავიწროებ. არ მომკლავენ კი ვიცი და მეტი რა უნდა მომივიდეს!

სამკერვალო სტუდქალაქთან ახლოსაა. მთელი ვაკის ბიჭები იქ დადიან. მე რომ მივედი, ვიღაც ახალგაზრდას კოსტუმს არგებდნენ.

— ესეც ასე! — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა მკერავმა, — გხატავს პირდაპირ. ვინა თქვა ქართველობა გადაგვარდაო?.. ახლა უკან მობრუნდი, პაჟალსტა! კარგია ჩემმა მზემ, არა?

— ბეჭებში როგორია, თამაზ, — მიუბრუნდა ახალი კოსტუმის პატრონი თავის ამხანაგს.

— მხეცურია. ძვირად კერავს, თორემ სარქისას ხელობა უვარგა.

მკერავს შექება ესიამოვნა.

— სულ სიხარულსა და პურის ჭამაში დაგეხიოს, ჯიგარო!

— ეხ, სარქის, ახალი გვითხარი რამე, მაგი ძველია.

— ახალი თქვენ უნდა მითხრათ, პრაფესორებისა და ნასწავლი ხალხის შვილები თქვენა ხართ. აბა საწყალ სარქისას წიგნს ვინ წაიკითხებს.

როცა ახალგაზრდები წავიდნენ, სარქისამ მეც შემამჩნია, უფრო სწორად ჩემს ტანსაცმელს შეავლო თვალი.

— შენც კოსტუმი გინდა, არა? რა ვქნა,

ძმაო, მე კალხოზნი ხალხს არ ვუკერამ, დრო არა მაქვს.

— მე, ბატონო, შარვლის დავიწროება მინდა.

— ჰაჯან?

— დავიწროება მინდა-მეთქი.

— ქართულად მითხარი, რაღა!

— აი, დაბუტილკებას რომ ეძახიან.

— ჰოო, ბუტილკა?! მასეთ რამეებს მე არ ვაკეთებ, ეგერ უგლაოში ედიკასთან მიდი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ედიკამ დამიბუტილკა შარვალი, მერე საღამოც მოვიდა, მე ტორტი ვიყიდე და დღეობაზე წავედი.

მივდივარ, მაგრამ ასე მეჩვენება, მთელი ქალაქი მე მიყურებს. ვინმე გაიცინებს და ეგ მგონია ჩემს შარვალზე იცინიან. ერთი სიტყვით, სულ ცივი ოფლი მასხამდა, ხოლო როცა ქეთინოს სახლს მივუახლოვდი, ნაშიმშილევი კაცივით მუხლები მომეკვეთა და თავში ფიქრები დატრიალდა.

— აქამდე კი მოაღწიე, სიმონა მდინარაძევ, მაგრამ ახლა სად მიხვალ? რა შენი საქმეა დღეობა, რა გებუტილკებოდა და გეტორტებოდა, ყოფილიყავი წყნარად სტუდქალაქში, დაგელია ჩაი და დაგეძინა. არ ჯობდა ასე? არა ხომ? კარგი აბა, ნახავ რა მოგივა!

ხელის კანკალით დავრეკე ზარი.

კარები ქეთინომ გამიღო.

— ოო, სიმონ, სადა ხარ ამდენ ხანს? შემოდი!

— მომილოცავს ქეთინო, — რაც შეიძლება რიხიანად ვთქვი მე და ტორტი გავუწოდე, — ამ კოლოფში რაცაა, ჩემდა ნახელავად გქონდეს და მე ქე წავალ ახლა.

— რაო, რაო?

— ბოდიში, მარა შიგ ვერ შემოვალ.

— შენ მთვრალი ხომ არა ხარ, შემოდი ახლავე! — ხელი მომკიდა და თითქმის ძალით შემათრია.

კარები გაიღო და ხალხით გაჭედილი ოთახი კითხვის ნიშნად გადაიქცა.

— სიმონი მოვიდა! — გამოაცხადა ქეთინომ, — ვინც არ იცნობს, გთხოვთ გაიცნოთ.

— ოო, სიმონი?

— გამარჯობა, სიმონ!

— სიმონს სალამი!

ახმაურდა ოთახი.

ოცზე მეტი კაცი კი იქნება და ყველას საოთოოდ ხელს ვართმევ, სანახევროდ ვიღიმები, სანახევროდ ვიცინი და ვამბობ სიტყვებს: „ძალიან სასიამოვნოა“, „ო, როგორ გამახარეთ“, „არ გადამრიოთ“ და ასე შემდეგ.

ქართლოსი დიდი ამბით მომესალმა.

— ბიჭოს, ბუტილკა! მხეცი ხარ, რამდენი სანტიმეტრია?

— ოცდახუთი.

— რამდენი გქონდა?

— ოცდაათი.

— დიდი პროგრესია. მასე თუ გააგრძელებ, ბოდების გამოფენაზე წაგიყვანებენ.

ჩვენს საუბარს ყურს უგდებენ. თითქოს განგებ, თვითეულ სიტყვას ქართლოსი ხმამაღლა და მკაფიოდ გამოთქვამს. მე ვწითლდები, მასხამს ოფლი და არ ვიცი, სად წავიღო ჩემი დაბუტილკებული ფეხები.

ისევ ნანამ მიხსნა გაჭირვებიდან, ჩამკიდა ხელი და კუთხეში გამიყვანა.

— რა დაგემართა, ასე რატომ დაიმორცხვე?

მე გულწრფელად გამოვუტყდი:

— პირველად ვარ დღეობაზე და არ ვიცი როგორ მოვიქცე.

— როგორც სხვები მოიქცევიან, ისე. ახლა, მაგალითად, როიალზე დაუკრავენ და იმღერებენ. შენ იცი სიმღერა?

— რომ დავთვრები, კი.

— დღეობაზე დათრობა არ ვარგა, — გაიცინა ნანამ.

— ეს ისე ვთქვი, თორემ მე ღვინო არ მათრობს.

— შენ რა ტრაბახი გცოდნია.

— ა, ბატონო, სმა თუ იქნა, ნახავ რამდენს დალევ.

როცა მაგიდას შემოვუსხედით, თამადად ქართლოსი დაასახელეს დ მისი კანდიდატურა ერთხმად გავიდა.

ქართლოსმა სუფრას გადახედა.

— მეგობრებო, გთხოვთ ავწიოთ ჭიქები და ყველამ ბოლომდე დავცალოთ ქეთინოს სადღეგრძელო! მე ორატორი არა ვარ, მჭევრმეტყველებით რომ გაგაკვირვოთ. მე მხოლოდ მინდა უბრალოდ ორიოდე ტკბილი სიტყვა ეუთხრა ქეთინოს. — და ნახევარ საათს ილაპარაკა რისი თქმაც უნდოდა: რომ ქეთინო გადასარევი ქალიშვილია, რომ იგი უმაღლესში სწავლობს, რომ მას კარგი მეგობრები ჰყავს და ასე შემდეგ.

მე პირდაღებული ვუსმენდი ქართლოსს და მშურდა, ასეთ ლამაზ სიტყვებს რომ გამოთქვამდა.

ქეთინოს სადღეგრძელო ყველამ ფეხზე ადგომით დალია.

ჩემი ჯერიც მოვიდა.

— აბა, სიწყნარე იყოს, სიმონი გვეტყვის ორ სიტყვას. — გამოაცხადა ქართლოსმა.

დარცხვენილი წამოვდექი. წინასწარ დალაგებული აზრები ერთბაშად გაიფანტა და თავში მხოლოდ სიცარიელე დარჩა.

— ჰო, მიდი, სიმონ, ნუ გეშინია, — გამამხნევა ქართლოსმა.

რა გაეწყობოდა, ჩავახველე და დავიწყე.

— ქეთინო, მე... მე სოფელი ბიჭი ვარ, მზიანეთში ვცხოვრობ. მზიანეთში დღეობებს არ იხდიან. ღვინოს მხოლოდ ქორწილში და ქელეხში სვამენ, ამიტომ მე პირველად ვარ ასეთ დღეობაზე და სწორედ ამიტომ, ქეთინო, მე მინდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გინდა შენ, სიმონა მდინარაძეევ? როდის იყავი ოქროპირი, ახლა რომ გააფინე ენა შარაზე? დალიე მაგი ღვინო და დაჯექი შენთვის ლამაზად!

როგორც იქნა, მოვუყარე თავი წინადადებებს და სადღეგრძელოს წერტილი დავუსვი.

— მოკლედ, სულ ბედნიერებას გისურვებ. — ვთქვი და ჭიქა გამოვცალე.

მადლობის ნიშნად ქეთინომ თავი დამიქნია. ქართლოსი მისკენ გადაიხარა და რაღაცა გადაულაპარაკა, რაღაცა კი არა, ბევრმა გაიგონა და მეც ყური მოვკარი.

„შეყვარებული ქაჯი!“

ვიღაცამ გაიღიმა.

ვიღაცამ გაიცინა.

თვალებში რაღაც დატრიალდა. მერე სუფრას ვინც უსხდა, ლანდებად იქცნენ და ცეკვა დაიწყეს.

„შეყვარებული ქაჯი, შეყვარებული ქაჯი!“— ყვიროდნენ ისინი.

გაისმა ჭახანის ხმა (ეს ჩხუბი არ დაწყებულა. მე თურმე ჭიქა გამიტეხია).

სკამი მივწიე. ნანამ ხელი მომკიდა.

— სიმონ, გეხვეწები, ნურაფერს ეტყვი.

მაგრამ ჩემი გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა.

ერთბაშად უხერხული სიჩუმე ჩამოწვა ოთახში.

მე ნელ-ნელა მივდივარ ქართლოსისაკენ. ისიც წამოდგა და აი ჩვენ პირისპირ ვდგევართ.

— გაიმეორე, რა თქვი! — რაც შეიძლება წყნარად ვეუბნები მე.

უცებ ჩვენს შორის ქეთინო ჩადგა.

— არ გაბედო, შე მართლა ქაჯო!

არ მინდა ყურებს დავუჯერო, მაგრამ ნამდვილად ასეა. ამ სიტყვებს ამბობს ქეთინო, თეთრი ქალიშვილი, ვინც მე დღეობაზე დამპატიჟა და ვისაც მე ტორტი ვუყიდე.

რატომღაც ერთბაშად დავმშვიდდი. წყენამ გამიარა.

— უმორჩილესად გთხოვთ მაპატიოთ, ქაჯი ახლავე დაგტოვებთ.

სუფრა გამოერკვა.

ოთახში ჩოჩქოლი ატყდა.

კარებთან მისულს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმის:

— ნახე რა გაბედა!

— სად გაიქცევა, ყბებს დავუმტვრევთ მაგ ლაწირაკს!

— ოღონდ ახლა არა.

წვიმს.

ქუჩაში კანტიკუნტად დადიან გამვლელები. მე მილიცჯელივით შუაში თეთრ ხაზს მივყვები და ყურადღებას არ ვაქცევ მანქანებს. მაგრამ ეს ვინ არის, ვინ მეძახის, სიმონ დაიცადეო. ნანას ხმაა, ისაა ნამდვილად, მაგრამ რატომ უნდა დავუცადო, ჯანდაბას ყველა ნანა და ქეთინო! მე ხომ ქაჯი ვარ, მე ხომ სიმონი ვარ და ჩემი გზა მაქვს.

— დაიცადე-მეთქი, — ხელს მკიდებს ნანა. იგი სულ სველია.

— ძალიან გთხოვ, ნურაფერს მეტყვი, — ვეუბნები მე.

— არა, უნდა გითხრა.

— ხომ მითხარით და იცინეთ უკვე, აღარ გეყოფათ ახლა?

— სიმონ, აბა რას ამბობ!

მაგრამ სიმონი ყურადღებას არ აქცევს, სიმონი მიდის და ტოვებს ნანას.

— რა უგულო ყოფილხარ!

ისეთნაირადაა თქმული ეს სიტყვები, რომ წამსვე ადგილზე მაჩერებს, შემდეგ ვბრუნდები და ახლა მე თვითონ მივდიეარ მისკენ.

— რაო, რა თქვი, ნანა?

ნანა არაფერს ამბობს, ან რა უნდა თქვას, როცა თვალები ამბობენ სათქმელს, ლურჯი თვალები, სველი თვალები.

ნუთუ?

ჩვენ უსიტყვოდ შეეცქერით ერთმანეთს, მერე ნანა ზურგს მაქცევს და მიდის.

— ნანა!

ნანა არ ჩერდება.

წვიმს.

ნანა თვალს მიეფარა.

ისევ წვიმს.

მე ვდგევარ შუა ქუჩაში და მასველებს წვიმა.

შემდეგ გვიან. ძალიან გვიან ვბრუნდები სტუდენტალაქში. გრძელ დერეფანში არავინაა. მე ფანჯარას ვეყრდნობი. კარგია, რომ არავინაა და დამშვიდებით შეგიძლია იფიქრო.

ეს წვიმა ხმაურობს თუ ქართლოსის სიტყვები მესმის:

„შეყვარებული ქაჯი!“

და შემდეგ ნანა:

„რა უგულო ყოფილხარ!“

მე მართლაც ქაჯი ვარ და უგულოც, არა, უგულო არ უნდა ვიყო, პირიქით, მე ჩვილი გული მაქვს.

ვიღაცა მხარზე ხელს მკიდებს. თავი ავიღე, ნოდარი ყოფილა. ვუცქერით ერთმანეთს და არაფერს ვამბობთ. კარგა ხნის შემდეგ ჩვენ უხმოდ ავდივართ კიბეებზე.

წვიმს...

მე უარყოფითი ვხდები

როცა ამ მოთხრობის წერას ვიწყებდი, გადაწყვეტილი მქონდა ჩემი თავი დადებით გმირად გამომეყვანა და მხოლოდ მტრები დამემუხტა უარყოფითად, მაგრამ ასეთი მტკიცე განზრახვის მიუხედავად, მე მაინც უარყოფითობისაკენ გადავიხარე, უფრო მეტიც, მე უარყოფითი გავხდი და არც კი ვიცი, მოთხრობის ბოლოს თუ გამოვსწორდები.

ისე, კაცმა რომ თქვას, უარყოფითობა ზოგჯერ კარგია. როცა უარყოფითი ხარ, შეგიძლია

ჩაიცვა ვიწრო შარვალი, შეიყვარო ქალაქელი „სტილიაგა“ ქალიშვილი, გააცდინო ლექცია და დალიო ღვინო. ყოველივე ეს შეიძლება დადებითმა გმირმაც გააკეთოს, მაგრამ როცა ამას გააკეთებს, ის უკვე დადებითი გმირი აღარ იქნება.

ამ თეორიული დებულების დასასაბუთებლად კონკრეტულ მაგალითებს ჩემი ცხოვრებიდან მოვიყვან.

მაშასადამე, როგორც გითხარით, დღეობაზე მე ამირიეს, შემდეგ მე ავურიე. ეს მოხდა წინა ღამით. მეორე დილით კი, ის იყო ლექციების დაწყების ზარი დარეკეს, რომ სიკომ მითხრა:

— დაბლა ბიჭები გიცდიან, ჩამოვიდესო.

— ვინ ბიჭები?

— ერთი კალათბურთელი რომაა, ისტორიკოსი, დანარჩენებს არ ვიცნობ.

მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

— სიკო, წამომყევი, იქნებ საჭირო დარჩე.

— სად წამოგყვე, უნდა იჩხუბო?

— მაგი მეც არ ვიცი, მაგრამ ჩემთან იყავი.

— რა ვქნა, ხიდაშელმა უნდა გამიძახოს სემინარზე.

რაღა უნდა მეთქვა, ხელი ჩავიქნიე და კიბეებზე დავეშვი. ინსტიტუტის გაჩერებასთან ტრამვაიში ნოდარი შევნიშნე. ხელით ვანიშნე ჩამოსულიყო.

ქართლოსი და მისი ძმაკაცები კუთხეში მიცდიდნენ.

— ხევში ჩავიდეთ. — მითხრა ქართლოსმა.

— ახლა?

— ჰო, ახლა.

— კარგი, ჩავიდეთ.

ნოდარი წამოგვეწია.

— ოო, ნოდარ, გამარჯობა! — მიესალმნენ ბიჭები. ეტყობა, ყველანი კარგად იცნობდნენ.

— გაგიმარჯოთ. საით გაგიწევიათ?

ქართლოსმა ჩემზე მიუთითა.

— ცოტა სალაპარაკო გვაქვს ამ ამხანაგთან.

ნოდარი შუაში ჩაგვიდგა.

— ახლა მე მომისმინეთ, რას გეტყვით. ეს ამხანაგი ჩემი მეგობარი სიმონ მდინარაძეა, გასაგებია?

— სიმონი რომ არის, ჩვენც გაგვიგია, — თქვა ქართლოსმა, — მაგრამ შენი მეგობარი თუ იყო, არ ვიცოდით.

— ახლა ხომ გაიგეთ? ისე, ხუთი კაცის ერთთან გასვლა ვერაფერი ვაჟკაცობაა.

— ნოდარ, შენ არ იცი, რაში იყო საქმე.

— არა, მე ყველაფერი ვიცი, სიმონმა მითხრა.

მე ლაპარაკში ჩავერიე.

— შეიძლება გადავაჭარბე, მაგრამ იმ დროს სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავი.

— ალბათ, მეც არ ვიყავი სწორი, — თქვა ქართლოსმა, — რაც იყო, იყო, გახსენებადაც აღარ ღირს.

— ახლა ჩამოართვით ხელი ერთმანეთს, — გვითხრა ნოდარმა.

ჩვენ შევრიგდით.

— ეს სხვა საქმეა! — თქვეს ბიჭებმა, — ურიგო არ იქნება, სათანადოდ აღვნიშნოთ. შენ რას იტყვი, ნოდარ?

— მე პირადად საქმეზე მივდივარ, სიმონსაც, ალბათ, ლექცია აქვს.

— კარგი, რა დროს ლექციაა, — გაიცინა ქართლოსმა.

— მაინც გავაცდინე და აწი სულერთია, — ვთქვი მე.

ტრამვაის გაჩერებასთან ნოდარი დაგვემშვიდობა და წავიდა. ჩვენ ფეხით გავუყევით.

რესტორანში რომ ჩავდიოდით, ოფიციანტი ძველი ნაცნობივით შემოგვეგება.

— აბა, ერასტი, ჯიგარო, კარგი რა გაქვს? — შეეკითხა ქართლოსი.

— ოღონდ თქვენ მითხარით და ჩიტის რძესაც გავაჩენ, — თქვა ჯიგარმა.

სუფრა გაიშალა.

სადღეგრძელოები სადღეგრძელოებს მიყვება.

ნელ-ნელა იცლება ბოთლები.

ღვინო თავში მიიწევს.

მე კარგ ხასიათზე ვარ, ქართლოსიც არაა ნაკლებზე.

— ჩემზე არ ეჭვიანო, — მეუბნება იგი, — სინდისს გეფიცები, მე ქეთინოსთან არაფერი მაქვს სერიოზული.

— ჩემთვის ახლა სულერთია, — ვამბობ მე.

— რა, უკვე შეიძულე? თუმცა სწორი ხარ, არაფერი საინტერესო მაგ გოგოში არ არის, მეგობრებიც მასავით თავქარიანი ჰყავს, მხოლოდ ნანა... რატომ მიყურებ ასე? ნანა სხვანაირი გოგოა.

— კი, სხვანაირი გოგოა, — ვეთანხმები მე, — ნანას ლურჯი თვალები აქვს და, როცა უყურებ, ზღვა გახსენდება.

ქართლოსმა ღვინო დაასხა.

— მოდი, ამით ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს!

— მე აღარავინ მიყვარს ამ ქვეყანაზე.

— ხომ გიყვარდა?

— კი მიყვარდა, მაგრამ ახლა აღარ მიყვარს.

— ჰოდა, როცა შეყვარებული იყავი, მოდი იმ გრძნობას გაუმარჯოს. ეი, თქვენ, ვაჟკაცებო, — მიუბრუნდა ბიჭებს, — რას ჩამოგძინებიათ სუფრაზე, ჭიქები შეავსეთ, სიყვარულის სადღეგრძელო ისმება!

ამ ლაპარაკში მეორე სუფრიდან ვიღაცა წამოდგა, ბარბაცით წამოვიდა და ქართლოსს მხარი გაკრა.

— წესიერად ვერ გაივლი? — მიუბრუნდა ქართლოსი.

— ბოდიში რა, თუ გაწყენინე, — უპასუხა მან და ისევ დაეჯახა.

ქართლოსს ჭიქიდან ღვინო გადაეღვარა და კრეპის კოსტუმზე დატოვა კვალი.

ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა.

გაცეცხლებულმა ქართლოსმა ჭიქაში დარჩენილი ღვინო იმ კაცს სახეში შეასხა. როგორც კი მეზობელ სუფრაზე ამ სურათს თვალი მოკრეს, პროტესტის ნიშნად ჩვენი ტერიტორიისაკენ ბოთლი წამოვიდა, რომელიც საბედნიეროდ ჩემს თავს აცდა და კედელზე მიემსხვრა.

ეს იყო პირდაპირი აგრესია.

— ბიჭებო, გვცემენ! — იყვირა ქართლოსმა და ვეფხვივით გადახტა მტრების ბანაკში.

ბიჭები წამოიშალნენ, მეც უკან მივყევი, მაგრამ თავში სკამი მომხვდა და ჩავიკეცე.

როცა თვალებიდან ბინდი ჩამომშორდა, ჩხუბი ზენიტში იყო ასული. ისე, კაცმა რომ თქვას, კარგი სანახავია, ოღონდ ძნელია გაარჩიო, ვინ ვის ურტყამს.

იმსხვრევა ბოთლები, თეფშები, თავები.

შეშინებული ოფიციანტები ზევით არბიან.

ზემოდან ჩამორბიან მილიციელები.

სასტვენის ხმა.

პურის ჭამა დამთავრდა!

შემდეგ მილიცია, სასამართლო და განაჩენი — თხუთმეტი დღე ხულიგნობისათვის.

როგორც იქნა, გავიდა ის თხუთმეტი დღე.

გამოგვიშვეს.

ბიჭებს თვალს ვერ ვუსწორებ. ასე მგონია, მთელი ინსტიტუტი ჩემზე ლაპარაკობს:

„აი ეს არის ნაციხარი სიმონი!“

დაბრუნებისთანავე ახალი სასამართლო მელოდა. იმავე დღესვე ჯგუფში კრება მოიწვიეს და ტყავი გამაძვრეს, როგორც გამოუსწორებელ მოჩხუბარსა და ალკოჰოლისტს.

მე თავდახრილი ვუსმენდი და ცივი ოფლი მასხამდა.

გათავდა, სიმონ მდინარაძევ, შენი უსახელო ცხოვრების გზა, შენი გამოსწორება აწი აღარ იქნება, შენ უარყოფითი ხარ და უნდა დაისაჯო!

დამსაჯეს კიდეც. გარიცხვით არ გაურიცხივარ, მაგრამ უკანასკნელი საყვედური მომაკრეს. კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვახტანგმა თქვა, დრო მივცეთ და ვნახოთ როგორ წაიყვანს საქმესო, თუ გამოსწორდება, მაშინ სხვანაირად ვიმსჯელებთო.

ჩემი გამოსწორება იმავე დღეს დაიწყო. კრების დამთავრების შემდეგ ქართლოსი და მისი ძმაკაცები შემხვდნენ და ციხიდან გამოსვლის აღსანიშნავად ისევ რესტორანში ჩავუხვიეთ.

— ვახ, ცოცხლები ხართ? — გაუკვირდათ ოფიციანტებს.

— ცოცხლებიც ვართ და პურიც უნდა ვჭამოთ, — მიუგო ქართლოსმა.

— ჩვენი თავი თქვენ გენაცვალოთ!

დავლიეთ.

ისე ტკბილად ვაქსოვდით სადღეგრძელოებში გრძნობებს, რომ თვალებზე ცრემლი მომადგა.

— ჩვენ ძმობას გაუმარჯოს, — გულჩუყებული ვამბობდი მე, — იმ გრძნობას, რომელიც ციხის კედლებში გამოიწრთო. მეგობრებო, მე დაჩაგრული კაცი ვარ, ჯერ იყო და სიყვარულში არ მქონდა ბედი, დღეს კიდევ უკანასკნელად გამაფრთხილეს, ხვალ ან ზეგ, ალბათ, ინსტიტუტიდანაც გამრიცხავენ.

— საყვედურებს ვერც ჩვენ ავცდებით, მაგრამ მაგის ნუ გეშინია, — დამამშვიდა ქართლოსმა.

გვიან დავიშალეთ. სტუდქალაქში რომ ავედი, პირველი საათი იყო. ასეთ დროს უმეტესობას ძინავს, მაგრამ ჩვენს ოთახში სინათლე ენთო. კარები ოდნავ ღია იყო და ლაპარაკი ისმოდა.

პირდაპირ ხელებით რომ ამტკიცებს რაღაცას, ეს სიკოა. დაიცა, როგორო? — მაგრად შეახურეს სიმონი და ღირსია სწორედაცო, არ მეგონა გარიცხვას თუ გადარჩებოდაო.

— შენ რა, გიხარია მერე? — შეეკითხა მანუჩარი.

— ხომ იცი, ვიტირებ ერთბაშად. სხვისი რატომ უნდა ვიდარდო, ჩემიც მეყოფა.

— კიდევ კარგი, შენისთანა ხალხი არც ისე ბევრია ინსტიტუტში. — ჩაერია ლაპარაკში გიგანტი.

— ღირსეული მეგობარი კი არის სწორედ: მოვხსნათ, დავსაჯოთ, გავრიცხოთ!.. ეხ, სიკო, სიკო! — ამოიოხრა მანუჩარმა.

— რას გადამეკიდეთ, რა გინდათ ჩემგან? — იყვირა სიკომ.

— კაცი გვინდა გამოგიყვანოთ, — უთხრა ნოდარმა. — ისეთი მეცნიერება უნდა შეგასწავლოთ, მატრიკულში რომ არ იწერება.

— სიმონი ქვეყანას აქცევს და ხმას არ ეუბნებით, ყველამ ჩემს წინააღმდეგ შეკარით პირი?

— სიმონს ცალკე ვეტყვით. ნეტავ, ამდენ ხანს სად არის ის ყმაწვილი?

როგორც კი ეს სიტყვები თქვა ნოდარმა, მე კარები შევაღე.

— აქა ვარ, აქ, ჩემო ძმებო და მეგობრებო, გამარჯობა თქვენი კაი! რა, კრებას ხომ არ აგრძელებთ? თავმჯდომარე, ალბათ, სიკო იქნება. პატივცემულო თავმჯდომარე, მაპატიეთ დაგვიანებისათვის. ამხანაგო მდივანო, გთხოვთ ოქმში შეიტანოთ ჩემი სიტყვები. მაშ საყვედური გამომიცხადეთ, დამსაჯეთ, არა? კეთილი. ოღონდ ჯერ კენჭი ვუყაროთ, ვინ არის მომხრე? ბიჭოს, მღუპავთ, ყველა ხელს სწევთ? წინააღმდეგი? არავინ. ეს არის თქვენი ძმაკაცობა? რას მიყურებთ? — უღირსი კომკავშირელი უღირსი საქციელის შემდეგ დაგიბრუნდათ. რა, ღვინის სმას მიკრძალავთ?

ყველანი დუმილით შემომცქეროდნენ. ნოდარი წამოდგა და პირდაპირ დამიდგა.

— დაამთავრე?

— კი, დავამთავრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელი დარტყმა ვიგრძენი სახეში. თვალებში ნაპერწკლები დატრიალდა.

— ნოდარ, შენ?! — გაოგნებული ვიკითხე და ინსტინქტურად საპასუხოდ მოვემზადე, მაგრამ მაშინვე ხელები დავუშვი და მეორე ლოყა ვუჩვენე.

— ახლა აქაც გამარტყი.

კვლავ დარტყმა და კვლავ ნაპერწკლები თვალებში.

— დიდი მადლობელი ვარ, — ვთქვი მე. მერე ბარბაცით მიეედი ლოგინთან და ჩავეშვი.

ბოლმა მახრჩობდა. მინდოდა მეტირა, მაგრამ ცრემლები გამშრობოდა რატომღაც.

წერილი მზიანეთიდან

„შვილო, სიმონ!

გაგიკვირდა ხომ, ცოცხალი რომ ვარ და წერილს რომ გწერ? კი, ბაბა, არ მომკვდარვარ ჯერ, სული ქე მიდგას პირში. შენი შემხედვარე ასე რომ ვარ, მაგიც დიდი გასაკვირია. იკითხავ, ალბათ, რამ გამამწარა, ასე მაგარ-მაგარ სიტყვებს რომ გწერ. რამ გამამწარა და გეტყვი ახლა, კარგად დამაყურე.

აგია, შვილი გავზარდე-მეთქი რომ მიხაროდა, ცაზე რომ ვიყავი გამოკიდებული? რა დაგიშავე ამისთანა, წყალში რომ ჩაგვიყარე ყველაფერი?! ბიჭო, მამა ვარ შენი, ხომ არ დაგვიწყებია?

მომითმინე ერთი წუთი, თავს ნუ იმართლებ. მე ყველაფერი ვიცი. საიდან? მაგი არაა შენი საქმე, ჩიტმა მომიტანა ამბავი. ისე, რავა ფიქრობ, შენს გარდა სხვაიც დადის თბილისში!

ბიჭო-მეთქი, რა ჭკუაზე ხარ, რა დაგემართა, მითხარი ერთი. გალოთდი ხომ, ბაბა, კალენიკა გაგუასავით, მოგეჭრა თავი და მეც დამასხი თავსხლაფი ხომ? დიდი მადლობელი ვარ, ჩემო შვილო და ჩემო ნუგეშო! რავა, სოფელში რომ იყავი, არ გიყვარდა აი ოტკა და ღვინო და თბილისში რა ჰაერია მაგისთანა, დღე და ღამე დასპირტული რომ დადიხარ თურმე. შენ რავა ფიქრობ, უმაღლესში იმიზა გაგიშვი, ღვინო დეისხი თავზე და ჭკუა დაკარგე-მეთქი? ვთქვათ, სვამ და ჯანდაბას შენი თავი, მარა იმაზე თუ დაფიქრდი, რამდენი ასიანები უნდა ქონდეს მამაშენს, რესტორნებში სასიარულოდ რომ გაძლიოს?

ბიჭო, შე შეჩვენებულო, მე და დედაშენი კაპიკს კაპიკზე ვაწებებთ, ბაღანას არ მოშივდეს თბილისში, უმაღლესი დაამთავროს და კაცი გამოვიდესო. თურმე რავა ტყუილა ვწვალობ! შეაყარე კედელს ცერცვი და მერე ურტყი თავი შენმა შემხედვარემ!

აი ყველაფერი კაი, ამას კიდომ გოუძლებდა კაცი, მარა გუშინ იმისთანა ამბავი გევიგე შენზე, რომ დარდით კინაღამ გული გამისკდა. იჩხუბე, ბაბა, და ციხეში წაგაბრძანეს მერე? მართალია მაგი თუ მოგიგონა ვიღაცამ? თუ მაგი მართალია, მზიანეთისკენ პირი რომ არ ქნა, კი ჯობია, მე და ჩემმა ღმერთმა! რა ქენი მაგი, რა გეიგონა აგი ჩემმა ყურებმა! მომცა შენი თავი ახლა, კი ვიცი, რასაც გიზამ. იმდენს გირტყამ, რუსის ბარაბანს რომ არ მოწევია, ყურებს ხელში მოგცემ, შე მამაძაღლო! კი, ასე ვიზამ ნამდვილად, იცი შენ ჩემი ამბავი.

დღესვე მინდოდა წამოსვლა თბილისში, ამ ცხელ გულზე შემომაკვდებოდი, ალბათ, მარა დედაშენმა შემაჩერა. მერე მეც დავწყნარდი ერთი დაწყნარება. მოგიცდი პატარას, დაგაყურებ აწი რა ჭკუაზე იქნები. არა და ჩამოვალ მაქანე, მოგკიდებ ხელს და ჩამოგიყვან სოფელში და მერე მე მკითხე შენი პატივისცემა. არც მაგისთანა უმაღლესი მინდა და არც მაგისთანა დიპლომი!

ახლა რასაც გწერ, კარგად დაიმახსოვრე, ერთხელ თუ ვერ გაიგო, მეორედ წეიკითხე და მერე ჭკუას მოუხმე, თუ დაგრჩა რამე მაგ თავში. ფულის იმედი ნუ გექნება. სანამდი შენ კარგს არ გევიგონებ, მანამდე კაპიკს ვერ ეღირსები ჩემი ხელიდან.

ახლა დედაშენს დააყურე, ერთი განაწერა უნდა გითხრას რაღაცა.

ნენა, სიმონა!

რაფერ ხარ, ბიჭო. ცოცხალი თუ ხარ მაინც? მართლა ციხეში იჯექი, ნენა? მოგიკვდა ჩემი თავი. სიზმარი მჭონდა მე უბედურს იმისთანა, რომ რაცხა ფარცაკი რომ არ მოგსვლოდა, არ იქნებოდა. ვითომ, ნენა. ჩვენ რომ კოპიტი გვაქვს ალაგესთან. იმაზე გასულიყავი. ჩამოიმეთქი, გეხვეწებოდი, მარა შენ მაინც კატარში ადიოდი. მოგიტყდა მერე ერთი ბოლი, ვიკივლე მე და შენ მეორეს ჩამოეკიდე. მეორეც მოგიტყდა, კიდომ ვიკივლე მე და ქე გამეღვიძა ამასობაში. ა, ხომ ხედავ რაფერ კაკლა-კაკლად ამისრულდა ყორიფელი. არ მინდა დევიჯერო ახლა მაი. სხვისი გულიზა მოგიწია, ალბათ, თვარა შენ არ იყავი მაგისთანა. მამაშენმა რომ შეიტყო, გადარეულივით დეიწყო სირბილი ეზოში, ცოცხალი თუ დაღამებდა, არ მეგონა. მეც აღარ ვიყავი ერი სოი, მარა, თმას ხომ არ გევიშლიდი და ხომ არ ვიკივლებდი შუკაში. ისე კი მოგვჯაყე ამდენ ხალხში და სხვაი შენ იცი.

მე კი ვატყობ, რეიზა დაგემართა მაგი ამბავი. გული მიჩივა, ქალია გარეული მაგ საქმეში, მაგი გადაგრევდა, მაგენს ქონდეს შენი ცოდვა და მაგენმა არ გეიხარა ამ ქვეყანაზე. თმაი, ტუჩები და თითები არ კმაროდა ვითომ, ახლა ფეხის ფრჩხილებიც გუუწითლებიათ თურმე ანთიმოზას მამალივით და ისე დათოხარიკობენ შარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარა! დედა, დედა, რას არ გეიგონებს კაცი ამ დასაფსებ ყურებში!

ნენა, შენს მეტი ქვეყანაზე არიკაცი მყავს და ამას გეხვეწები, ნუ აყვები მაგენს, თვარა დაგიბნევენ ტარაბუას და წასულია შენი საქმე. კაბას ნუ უყურებ, შვილო, წიგნს დააკალი თავი. მაგიზა გაგიშვი უმაღლესში, თვარა ქალს მზიანეთშიც კი გიშონიდი.

კიდომ გიჩივი, ნენა, ჭკუით იყავი. ნუ მოგვიშხამავ ამ ორი დღის სიცოცხლეს მე და მამაშენს. ა, შენ იცი ახლა, რასაც კარგს იზამ დ[illegible] რასაც გულს გაგვიხარებ. მაგიორში მე მკითხე შენი პატივისცემა.

ახლა კიდომ მინდოდა რაცხა მომეწერა, მარა მეტი აღარ დამანება მამაშენმა და ქაღალდიც ქი გათავდა.

კარგად იყავი და იანვარში რომ ჩამოხვალ, კაი ნიშნები ჩამოგვიტანე. ფულის ნუ გეშინია, მამაშენს არ ვეტყვი, ისე გამოგიგზავნი".

თოვლი, ხეხიშვი და ნანა

დეკემბერი დადგა თუ არა, თოვლი მოვიდა.

პირველი თოვლის სიხარულს თბილისში ფეხბურთის სეზონის გახსნა თუ შეედრება. ისეთი ჟრიამული ატყდება, ისე ახმაურდება ქალაქი, რომ რუსთველის ჭადრებზე ბეღურების ჟივჟივი იფარება. მოდის პირველი თოვლი და მთაწმინდაზე იხსნება სვიტრების გამოფენა. ეს არის გენერალური რეპეტიცია ბაკურიანში წასვლის წინ.

ახალგაზრდა ბიჭები საქმეს პოულობენ.

აგერ ქალიშვილი მოდის, არავინ ახლავს. მისი ბრალია, რატომ დადის მარტო თოვლში?

გუნდებიანი ხელები მაღლა აღიმართება.

— აბა, ლამაზო, მოემზადე.

— ძალიან გთხოვთ ნუ დამარტყამთ, — ეხვეწება ლამაზი.

— აბა, დედიკო დაიფიცე.

დანარჩენები, რომლებიც სეირს უყურებენ, იცინიან.

— რაო, სიყვარულს ხომ არ გიხსნის?

— დაარტყი, რაღას უცდი!

— შენ იცი, თუ არ დააცდენ.

თოვლის კისერში ჩაყრას მართლაც დიდი ვაჟკაცობა უნდა. ქალიშვილს თვალები ცრემლით ევსება, სამაგიეროდ ბიჭები იცინიან.

— დედა, როგორ უხდება ტირილი!

— დედა, რა გადასარევია!

გზად მიმავალი მოხუცი აღშფოთებული უყურებს ამ სცენას.

— არ გრცხვენიათ, ახალგაზრდებო?

ახალგაზრდებს, პირიქით, უხარიათ, საოხუნჯო რომ იშოვეს.

— ბაბუ, ნაძვის ხეზე არ გაგვიანდება?

— წადი რა, ტოლი ნახე!

— აბა გავიაროთ, ნუ გავჩერდებით!

და მოხუციც მიდის, არ ჩერდება, რა ქნას მოხუცმა!

ზამთრის სუსხი ჩვენს ინსტიტუტშიც დგება. ორ კვირაში იწყება სესიები და საგამოცდო ციებ-ცხელება. ლექციებსა და სემინარებს არავინ აცდენს, ბიბლიოთეკაში ერთბაშად ივსება ცარიელი ადგილები. ყველაზე ბეჯითები ათეთრებენ კონსპექტებს, ყველაზე ზარმაცები ეძებენ ლექტორის ნაცნობებს. ერთი სიტყვით, ყველას ეშინია და ყველას იმედი აქვს.

მე ინერტულ მდგომარეობაში ვიმყოფები. არც მეშინია და არც იმედი მაქვს. საერთოდ მე უიმედო კაცი ვარ.

დღეობის შემდეგ მე და ქეთინო სათოფედ არ ვეკარებით ერთმანეთს. თვალს მოვკრავ თუ არა, ვითომც არაფერი, არც გული შემიქანდება და არც გამოლაპარაკების სურვილი მაქვს.

გამიფრინდა გულიდან სიყვარული! რამხელა სულელი ვიყავი თურმე, თუმცა დიდი ჭკვიანი არც ახლა ვარ. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი ასე ადრე დამთავრდა.

ნახვამდის, სიყვარულო, კარგად იყავი, ქეთინო! არ გიყვარდი, მაგრამ არ იყო შენი ბრალი.

ნანა?

ნანა ქეა მიზდა.

მეც ჩემთვის ვარ. მას შემდეგ, რაც უარყოფითი გავხდი, ყველაფრის ხალისი დამეკარგა. აღარც კალთბურთს ვთამაშობ და აღარც ღვინოს ვსვამ (ფული არაა). მოკლედ, მეც არ ვიცი, რას ვაკეთებ.

დავგლახდიო ამას ჰქვია. ისე საცოდავად დაეჩალიჩობ, რომ ძია მოსე სტუდბილეთსაც აღარ მთხოვს შესასვლელში. ჩემმა სისაწყლემ ხიდაშელის ქვის გულიც კი მოალბო და ბიჭებს უთხრა თურმე, ცოდვაა, დაეხმარეთ და გამოასწორეთო.

აბა რა უნდა დამეხმარონ! თუმცა რაც მართალია, დარიგებას არ მაკლებენ.

— დღეს საღამოს ხიდაშელის მომზადებას ვიწყებთ. ამოდი ჩემთან. ხომ იცი სად ვცხოვრობ? — ვაკეში, ტექნიკუმის პირდაპირ, — მეუბნება ჯუმბერი.

— საღამოს არ ვიცი თუ მეცლება,

— უნდა მოიცალო, გესმის? ამოდი, ნანაც ჩვენთან იქნება.

— ნანაც?

— ჰო, ერთად ვიმეცადინებთ, მოდი უსათუოდ.

ახლა ნანა მინდა მე? არა, მეცადინეობა კი მინდა, მაგრამ ნანა? თუმცა რა, ნანა კარგი გოგოა, ლურჯი თვალები აქვს. მაშინ დღეობაზე... არა, ნანა კარგი გოგოა, მაგრამ მე არაფერ შუაში ვარ, მე საერთოდ სიმონი ვარ და რა ჩემი საქმეა, როგორი გოგოა ნანა, ან რა ფერის თვალები აქვს.

ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ
გავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და მითხოვდები
სხვას...

ბიჭოს, შენ მღერი, სიმონ, კარგ ხასიათზე ხარ? კაცი შენ ყოფილხარ, აბა! ისე, ჩვენში დარჩეს და, რა გაქვს სასიმღერო? ორ კვირაში გამოცდები დაიწყება და შენ წიგნი არ აგიღია ხელში. ნეტავ, რა გიხარია ასე, პირველი თოვლი, არა?

ჰო, კარგია თოვლი თბილისში, სიყვარულიც კარგია, სიმონ, მაგრამ სადაა?

ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ
გავხარ ზღვას...

სტუდენტალაქის ჭიშკართან ნოდარი შემომხვდა.

— დაბრუნდი, ისევ წასასვლელი ხარ, — მითხრა მან.

— სად?

— ჯუმბერთან.

— რა, ჯუმბერი იყო ჩვენთან?

— ჯუმბერი კი არა, ერთი ქალიშვილი იყო.

— ვინ ქალიშვილი?

— არ იცი ვითომ, აი, ლურჯი თვალები რომ აქვს.

— ნანა?

— შე ბოთე, კაცს ასეთი გოგო გაკითხავდეს და სახლში არ დაუხვდე?

— მერე რა მინდაო?

— ცოლად თუ წამიყვანო. ნუ იკრიჭები უშნოდ, ჯუმბერთან ამოვიდეს, უიმისოდ მეცადინეობას არ დავიწყებთო.

— რა მინდა მაგათთან, გადაღეჭილი აქვთ მთელი საგანი.

— ჰოდა, ახლა შენც დაღეჭე, — ხელი მომკიდა ნოდარმა. — წავედით აბა, მეც ქვემოთ მოვდივარ.

თოვს.

ფანჯარაზე თოვლის ფანტელები ცვივა.

ჯუმბერის ოთახში თბილა, რაღაც საამური სითბოა.

ნანა კითხულობს, მე და ჯუმბერი ვუსმენთ.

„მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი ქრისტიანული აღმოსავლეთისა არის სინას მთა. ქართველთა სამონასტრო კოლონია იქ გაჩენილა მეათე საუკუნის მეორე ნახევრისათვის...“

კითხულობს ნანა. გარეთ კი თოვს და ფანჯრებს თეთრი ფანტელები აცვივა. მერე ეს ფანტელები სითბოსგან დნება და მინაზე რჩება წყლის ზოლები.

ბარდნის გადაუღებლად, ხვავიანად. ალბათ, სინას მთაზეც თოვს ახლა და ჩემი მზიანეთიც თოვლს დაუფარავს. ბუხრებიდან ამოდის იისფერი კვამლი. ჭალაში პატრონს ეძახის მარტოდ დარჩენილი საქონელი. სუროზე ჭახჭახებენ შაშვები. მერე გავარდება ბეგლარა მუჯირის სტრაჟნიკობისდროინდელი ფილთა, შუკაში აყეფდებიან შეციებული ძაღლები, ალაგეზე ყვირილ-ყვირილით გადაცვივდებიან ბავშვები და მეზობლებს ახარებენ, ბაბაიამ ჩიტი მოკლაო.

კარგია ახლა სოფელში! ხარ შენთვის, არ გაწუხებს გამოცდა, წამოწობი ბუხრის პირას და წრუპავ ადესას.

...„ცხრაას თოთხმეტ წელს საქართველოსა და სომხეთს შემოესია არაბთა სარდალი აბულყასიმი, რომელმაც საშინლად გაანადგურა ორივე ქვეყანა. მოკლა და ძელზე ჩამოკიდა სომეხთა მეფე სუმბატი“.

ნანა წიგნს ხურავს.

— დავამთავროთ, დღეს გვეყოფა.

— მაშ ხვალაც ამ დროზე, — ამბობს ჯუმბერი.

ნანა საათს უყურებს.

— რა დრო გასულა, კიდევ კარგი, გამცილებელი მყავს.

გამცილებელი ეს მე ვარ, სიმონი.

ჩვენ გამოვდივართ ქუჩაში. ტრამვაი იქვე ჩერდება, მაგრამ ნანას ავიწყდება, რომ ეჩქარებოდა და, ფეხით წავიდეთო, ამბობს.

მე რა მენაღვლება!

მივდივართ.

უხვად ბარდნის. ჩვენ თეთრად ვიბურებით და თოვლს ვიბერტყავთ.

— რა თოვლია! იცი, როგორ მიყვარს თოვლი, შენ, სიმონ? — მეკითხება ნანა.

— კი, მეც მიყვარს.

— გამოცდებს მოვრჩები თუ არა, ბაკურიანში წავალ. შენ, სიმონ?

— მე... მე მზიანეთში წავალ.

— მერე რომ დაბრუნდები?

— რომ დავბრუნდები, ქე ვიქნები თბილისში.

— რა უცნაურად იცი ლაპარაკი. — იცინის ნანა.

კვლავ თოვს და კვლავ მივდივართ.

უცებ ნანას ფეხი უცურდება და, რომ არ წაიქცეს, ხელს მკიდებს, შემდეგ მკლავს მიყრის.

— ასე ჯობს, თორემ კიდევ დავეცემი.

სიმონ, რა ამბავია შენს თავზე? გამაგრდი, სიმონ, ნუ გეშინია. აბა, რა მიგარბენინებს, ნელა გაიარე, ყური დაუგდე, რას გეუბნება ნანა. არაფერსაც არ ამბობს? თუმცა რა საჭიროა ასეთ დროს ლაპარაკი.

— აი ჩემი სახლიც, — შეჩერდა ნანა, — მეორე სართულზე მარჯვნივ ჩვენი ფანჯარაა.

ჩემი სახლიო? რა უცებ მოვსულვართ!

— ნახვამდის, სიმონ.

— ნახვამდის, ნანა.

ნანა ზევით ადის.

მე დაბლა ვრჩები.

თოვლი კი ბარდნის და ბარდნის.

ჩვენ ყოველდღე ვმეცადინეობთ და ყოველდღე მეცადინეობის შემდეგ მე ნანას სახლამდე ვაცილებ. მე კმაყოფილი ვარ, მიხარია, რომ ერთად ვმეცადინეობთ და რომ ნანას ყოველდღე სახლამდე ვაცილებ.

მერე ახალი წელი გავითენეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭები ჩვენს ოთახში შეიკრიბნენ. ცოტა ვსვით, ბევრი ვილაპარაკეთ, ვიცეკვეთ, ვიმღერეთ და დავიძინეთ. ჩხუბი არ ყოფილა.

ახალი წლის შემდეგ სესიები დაიწყო.

პირველი გამოცდა ხიდაშელთან გვქონდა. გამწურა, რაც ვიცოდი და რაც არ ვიცოდი, ყველაფერი ვუთხარი. თვითონაც გაუკვირდა, მერე მეც გამაკვირვა და ოთხიანი დამიწერა. ჯუმბერმა და ნანამ ხუთები მიიღეს.

კიდევ ორი გამოცდა ჩავაბარეთ და ამოვიასუნთქეთ.

მერე არდადეგები დაიწყო.

დაცარიელდა სტუდქალაქი.

გაიფანტნენ სტუდენტები.

ნანა ბაკურიანში წავიდა, მე — მზიანეთში. ჯუმბერი თბილისში დარჩა.

გაზაფხულის სიმღერა

იწურება ზამთარი.

თებერვალი ყველაზე ბედნიერი თვეა — ადრე გადის და სტიპენდიასაც ადრე ვიღებთ.

მერე გაზაფხული დგება.

ზოოპარკში გადაირევიან მხეცები, ინსტიტუტში — სტუდენტები. აფორიაქებული გული ბუნების წიაღში გავლას ითხოვს, ტოვებ ლექციას, ჟურნალში გიწერენ „არას“, გიბარებს დეკანი და შენ ამაოდ უხსნი, რომ ყვაოდა ნუში და უღრუბლო ცაზე მზე იცინოდა.

ჩემს ცხოვრებაში ერთი შეხედვით თითქოს მნიშვნელოვანი არაფერია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

რაც მთავარია, მე უკვე აღარა ვარ უარყოფითი, მართალია, არც მთლად დადებითი ვარ, მაგრამ დადებითობისაკენ მივისწრაფი და, როცა მთლად დადებითი გავხდები, უკანასკნელგაფრთხილებიან საყვედურს მომიხსნიან, ასე ამბობს ვახტანგი და მეც გახარებული ვარ. საერთოდ გაზაფხულზე კაცი იშვიათადაა მოწყენილი. გაზაფხულზე მოწყენა არ შეიძლება. რაც უნდა სადარდებელი გქონდეს, მარტო ფეხბურთის სეზონი მოგიყვანს ხასიათზე. მას შემდეგ, რაც სტადიონის კარები გაიღება, გადარჩენილი ხარ!

მე ფეხბურთიც მიყვარს, გაზაფხულიც და არ ვიცი კიდევ რა მიყვარს. მიყვარს ჩემი ძმაკაცები, ნოდარი, გიგანტი, ჯუმბერი და...

ნანა კარგი გოგოა.

ნანას ზღვისფერი თვალები აქვს.

მე და ნანა დილით ტრამვაიში ვხვდებით ერთმანეთს. ბილეთს ხან მე ვყიდულობ, ხან ის.

მერე ლექციებზე ვართ.

ლექციებიდან სახლში ფეხით მივდივართ. გაზაფხულზე ფეხით სიარულს არაფერი ჯობია.

მე ყოველთვის მიხარია ნანას დანახვა და მინდა სულ ერთად ვიყოთ.

„დღეს კინოში ახალი სურათი გადის“, — იტყვის ზოგჯერ ნანა.

„ჰო, ბავშვები თექვსმეტ წლამდე არ დაიშვებიან“, — ვუმატებ მე.

„მარჯანიშვილის თეატრში კარგი სპექტაკლია თურმე“, — ამბობს ნანა.

„ჰო, კარგი ყოფილა“, — ვამბობ მე და მერე ენაზე კბილს ვაჭერ. მეშინია, პაემანი არ დავუნიშნო. საერთოდ პაემანის მეშინია. ვთქვათ, უარი მითხრა და მერე?

მერე რა?

არაფერი!

აკი ერთად დავდივართ და სახლამდე ვაცილებო?

დიდი ამბავი! უბრალოდ ერთი გზა გვაქვს, ასე რომ მეტისმეტად თავს ნუ დაიიმედებ, სიმონა მდინარაძეე.

ერთ დღეს, როცა ჩვეულებრივად ლექციების შემდეგ ერთად მივდიოდით, ნანამ მკითხა:

— დღეს კლუბში ჩვენი ინსტიტუტის კონცერტია, ხომ მოხვალ?

— კი მინდოდა, მაგრამ მოსაწვევი არა მაქვს.

— აი მოსაწვევი, — გამომიწოდა ნანამ, — ახლა აღარაფერი შეგიშლის ხელს.

— იმხელა მადლობა, რომ... მოიცა, შენთვის თუ დაგრჩა?

— მონაწილეებს ისე უშვებენ.

— როგორ, შენ გამოდიხარ?

— რა გაგიკვირდა, გამოვდივარ, მაშ! — ღიმილით თავი დამიქნია ნანამ.

— მღერი, ცეკვავ თუ ლექსებს კითხულობ?

— მოხვალ და გაიგებ.

როგორც იქნა, დადგა საღამო.

ხალხით გაჭედილ კლუბში დასაჯდომი კი არა, დასადგომი ადგილიც არაა, როგორც იტყვიან, ნემსი არსად ჩავარდება.

წინა რიგში ქართლოსს მოვკარი თვალი. მანიშნა ჩემთან ჩამოჯექიო. დიდი გაჭირვებით მოვთავსდით ორივე ერთ სკამზე.

სინათლე ჩაქრა და დაიწყო კონცერტი.

ერთმანეთს ცვლიან მომღერლები და მოცეკვაეები.

ზოგს ტაშს უკრავენ და ზოგსაც არ უკრავენ.

მე მოუთმენლად ველი ნანას გამოჩენას, ქართლოსიც თურმე.

— იცი, ნანა უნდა გამოვიდეს. — მეუბნება იგი.

— ვიცი.

— საიდან იცი?

— შენ საიდან იცი?

— მე ნანამ მითხრა.

— მეც ნანამ მითხრა.

— ჰოო!

— აბა რა გეგონა! — ამაყად ვეუბნები მე.

— ქეთინომ არაფერი გითხრა?

— მოკითხვა დამაბარა შენთან.

„გაზაფხულის სიმღერა“, ასრულებს პირველი კურსის სტუდენტი ნანა კახიანი“, გამოაცხადა კონფერანსიემ.

ჩვენ შევიშმუშნეთ და თითქოს ახლა შევნიშნეთ, რომ ორივე ერთ სკამზე ვისხედით.

დარბაზი მოლოდინში გაინაბა.

მე თვალები დავხუჭე და, როცა გავახილე, სცენაზე ნანა იდგა, ლურჯ კაბაში, ნანა ლამაზი, ლამაზი კი არა, გადასარევი.

ნანამ სიმღერა დაიწყო. მართალია, მე უნიჭო ვარ და სმენა არა მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან კარგად მღერის, რადგან ყველა ასე დაძაბულად უსმენს.

ქართლოსი ლამის სკამიდან წამოდგეს. ეს რა უცნაურად ანთებია თვალები. ნუთუ? არა, ალბათ, მე მეჩვენება ასე. უბრალოდ, ნანა ძალიან კარგად მღერის და ქართლოსსაც მოსწონს ეს სიმღერა.

მღერის ნანა. ეს არის გაზაფხულის სიმღერა, სიცოცხლის, სიყვარულის სიმღერა. ეს არის ნუშის ყვავილობა, მთვარიანი ღამე, ქუჩაში ხეტიალი, მზე და წვიმა, სევდა და სიხარული. ეს მე ვარ, პაემანზე რომ ველოდები... ქეთინოს კი არა, ნანას ველოდები... ეს კიდევ ნანაა, წვიმა რომ ასველებს და ცრემლები ჩადგომია ლურჯ თვალებში: „რა უგულო ყოფილხარ“.

ვუსმენ გაზაფხულის სიმღერას მე, უნიჭო სიმონი, და გული ჩიტივით მიფართხალებს. რატომღაც მე ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ ნანას ვიცნობ და კონცერტის შემდეგ სახლამდე მივაცილებ.

დამთავრდა სიმღერა. ჩემს გარდა, ყველა ტაშს უკრავს. მე კი სახეალეწილი ვდგევარ და, ასე მგონია, ყველა მე მიყურებს, თითქოს ეს ტაში ნანას კი არა, მე მეკუთვნოდეს.

კონცერტის შემდეგ ჩვენ ერთად გამოვედით ინსტიტუტიდან.

— მაშ, არც ისე ცუდი იყო? — მეკითხება ნანა.

— ცუდი კი არა, კარგი იყო, ძალიან კარგი, — ვუმტკიცებ მე.

ქართლოსი წამოგვეწია.

— მომილოცავს, ნანა, პირდაპირ ფეერვერკი მოახდინე. — ეუბნება იგი, შემდეგ ხელს კიდებს და ვითომც არაფერი, ასე ლაპარაკით მიჰყავს ქუჩაში.

მე ჩამოვრჩი და ერთბაშად არარაობად ვიგრძენი. მე ვიყავი კაცი, რომელიც ხუთი წუთის წინ ბედნიერი იყო, და ახლა გულის მაგიერ მკერდში სიცარიელე დარჩა.

არც მეორე სიყვარულში გქონია ბედი, გაჭირვებულო სიმონა მდინარაძევ! აბა რა შენი საქმე იყო ნანა, ქალაქელი გოგო! შენ სოფლელი ბიჭი ხარ და ქართლოსს რატომ ედრები? ხომ იცი წიგნებსა და კინოებში როგორაა — სოფლელმა სოფლელი უნდა მოიყვანოსო, ტოლი უნდა ნახოსო. შენ შენი გზით იარე, სიმონ, ნანა და ქართლოსი თავიანთ გზას მონახავენ, ისინი ბედნიერები იქნებიან, შენ — უბედური. ისინი ხელს მოაწერენ, დაქორწინდებიან. შვილი ეყოლებათ და შენს გასახსენებლად სიმონს დაარქმევენ.

მაშასადამე, ყველაფერი გადაწყვეტილია!

მე მარტო მივდივარ, გულმოკლული, ფიქრებით დამძიმებული.

უეცრად ვიღაცა ხელს მკიდებს და თვალს არ ვუჯერებ.

ნანა!

— რა ჩქარი სიარული გცოდნია, ძლივს დაგეწიე.

მე არაფერს ვამბობ. მე ახლა ბედნიერი ვარ, მე გადარეული ვარ და არ ვიცი, რას ვაკეთებ.

— სიმონ, სიმონ. — ჩურჩულებენ ნანას ტუჩები. იქნებ ეს წყენაა, საყვედურია, ან იქნებ სიხარულია, მე არაფერი ვიცი. მე ახლა არაფერი მესმის.

— სიმონ, სიმონ. — ისევ ჩურჩულებენ ნანას ტუჩები.

დიახ, მე სიმონი ვარ, მე მიყვარს ნანა და კაცშვილს არ დავუთმობ ამ ქვეყანაზე!..

გაზაფხულის ღამეა.

ტელევიზორის ანძაზე შემომჯდარა ნამგალა მთვარე.

ძინავს ქალაქს.

მორიგე მილიციელსაც ძინავს ჯიხურში.

მარტო ჩვენ არ გვეძინება.

ჩვენ ქუჩაში დავხეტიალობთ და ჩვენ ბედნიერები ვართ.

გ ა ც ი ლ ე ბ ა

სიყვარულის საკითხი როცა გადაიჭრება, მოთხრობას წერტილი უნდა დაესვას. მეც ასე მქონდა განზრახული, მაგრამ გადავიფიქრე და ორი წერტილი დავსვი: ჩვენს მოთხრობაში ზაფხულის გარდა წელიწადის ყველა დროა აღწერილი. რა დაუშავა ზაფხულმა? არაფერი.

მაშასადამე, როგორც წესი და რიგია, გაზაფხულს ზაფხული მოყვა და შორეულ ყაზახეთში დამწიფდა პურის ყანები.

ჩვენ ყამირმა მოგვიხმო.

კომიტეტის სახელზე დავწერეთ განცხადებები და შევისწავლეთ სიმღერა „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“.

კომიტეტში კარგა ხანს ატრიალეს ჩემი განცხადება და მითხრეს:

— თქვენ ხომ იცით, ყველას არ ვეპატიჟებით ამ დიდ საქმეში.

— კი მაგრამ, მე ხომ...

— თქვენ ნუ დაგავიწყდებათ, რომ პირად საქმეში საყვედური გიწერიათ.

საუბარში ვახტანგი ჩაერია.

— მე მგონი, დროა ამ საყვედურის მოხსნაზე ვილაპარაკოთ. აი როცა ყამირიდან დაბრუნდები, მაშინ ვნახოთ.

— დიდი მადლობელი ვარ, — გახარებულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვი მე, — მაშასადამე, უკვე უარყოფითი აღარა ვარ?

აღარ ხარო, სიცილით დამიდასტურა ვახტანგმა.

— მთლად დადებითი რომ არ ვარ, ეს კი ვიცი, მაგრამ მე უსათუოდ ვიქნები დადებითი! — პირობა მივეცი ვახტანგს.

მერე კლუბში მიტინგი გვქონდა, ყამირზე წამსვლელებს გაცილება მოგვიწყვეს. დარბაზში ტევა არ იყო, ერთი კონცერტი ხალხი მოვიდა. რა მუსიკა იყო, რა ყვავილები! იმდენი გვაქვს, რომ სიხარულისაგან გული კინაღამ ჩიტივით ამოგვიფრინდა. ყველაფერი კარგი, მაგრამ ხიდაშელს თუ გაცინებულს ვნახავდი, აღარ მეგონა. თადაოზა კომენდანტიც კი არ დარჩენილა, სიტყვით რომ არ გამოსულიყო. ჩვენს ვეფხებს ვენაცვალეო, — თქვა თადაოზმა, — ოღონდ თავი ისახელონ და მე მკითხონ პატივისცემაო, იმისთანა საწოლებს დავახვედრებ, ინსტიტუტის დამთავრებამდე ზამბარები ვერ დააწყვიტონო, ახალი წლიდან წყალიც გვექნება და გათბობაცო, ბორშიც გემრიელი იქნება და სალიანკაცო.

ჩვენც ვუსმენთ და ვუკრავთ ტაშს. თურმე რა ვყოფილვართ და აქამდე კაცმა არ იცოდა.

სადგურზეც უამრავი ხალხი იყო, ნანა და ქეთინოც მოვიდნენ გასაცილებლად.

მე უხერხულად ვიდექი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რა მეთქვა.

ქეთინომ ხელი გამომიწოდა.

— შევრიგდეთ, სიმონ, ნუღარ გავიხსენებთ, რაც იყო.

მეც ხელი ჩამოვართვი.

— ახლა დიდი ქაჯი მგონი აღარ უნდა ვიყო, ცოტა რქები დავიმტვრიე.

ჩვენ სამივე ვიცინით და მე კმაყოფილი ვარ, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა.

მატარებლის გასვლის ნიშანი მისცეს.

დავემშვიდობე და კიბეზე შევდექი.

— წერილი მოიწერე, გესმის, შე ქაჯო, — მეუბნება ნანა.

მე ვპასუხობ, რომ უსათუოდ მოვიწერ.

მატარებელი ნელ-ნელა დაიძრა.

თბილისი უკან რჩება.

ერთხანს ყველა ჩუმადაა, მაგრამ აი ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებმა აიტაცეს და მალე მთელი ვაგონი ამღერდა.

ეს არის ჩვენი სტუდენტური სიმღერა. მე მაგონდება გამოცდები, სტეპენდიის აღება და სტეპენდიის დაკარგვა, ხორციანი და უხორცო ბორში, ჭადრების ხეივანი, ჩოლკიანი ქალიშვილი და პირველი პაემანი.

ეს არის სიმღერა სტუდენტობასა და სიყვარულზე.

სტუდენტობასა და სიყვარულზე ტკბილი ქვეყანაზე არაფერია.

მღერიან ბიჭები.

ფანჯრებში ციცინათელებივით იელვებს ელნათურების შუქი, შემდეგ კვლავ სიბნელე ჩამოწვება. მატარებელი კი მიარღვევს წყვდიადს და იჩქარის სინათლის შესახვედრად.

ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ 1960 წლის ნომრების შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის

არველაძე ს. — ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთულ პოეზიაში, № 2.

ართილაყვა ზ. — ვ. ი. ლენინი მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, № 2.

ართილაყვა რ. — ლენინის ძეგლი ბათუმში, № 2.

გელაძე ლ. — მთა ელოდა, № 2.

დოლიძე კ. — ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის ორგანიზატორი და ბელადი, № 2.

ესენინი ს. — ლენინი, № 2.

მალაზონია ნ. — დიდი ლენინი იბადებოდა, № 2.

რამიშვილი თ. — ლენინ!, № 2.

როყვა შ. — შორსმჭვრეტელობა, № 2.

სანადირაძე გ. — ყველაზე ძვირფასი, № 2.

სურგულაძე ა. — ვ. ი. ლენინი ბათუმის შესახებ, № 2.

ფედინი კ. — ნახატი ლენინის სახიდან, № 2.

ქათამაძე თ. — ლენინის ხსოვნას, № 2.

შამილაძე ჯ. — ლენინის სახელით გულში, № 2.

შუბლაძე შ. — აპრილი და ლენინი, № 2.

ჯაყელი ჯ. — დიდი ზამთარი, № 2.

ლექსები, ბალადები, პოემები

აბრამია პ. — ზღვას, თეთრი აფრები, № 5.

ართილაყვა რ. — ვაჟას სოფელში, გუდამაყრული. მეწისქვილის სიყვარული, № 5.

ახობაძე დ. — ნაძვი ზღვასთან, № 1.

ბერიაშვილი ბ. — იქნებ..., № 4.

ბეროძე რ. — მშვიდობას სალამი, № 1.

ბაზოვი ა. — ისევ გამოიდარა, № 5.

გელაძე ლ. — გონიოს ციხესთან, მარადიდი, მე ვაგებ პასუხს, *** (რად გიკვირს...), № 1; რა ლამაზ დროს, ერთი სიტყვა, დედას, № 4; ბულბულის ციხე, № 6.

გიგაური გ. — ხევსური ზღვაზე, № 1.

გორგილაძე ზ. — მაინც, როგორ ფიქრობ, ლურჯო ზღვაო, № 1; გაფრინდი, შავო მერცხალო..., ნუ მეტყვი, № 6.

თოფურია გ. — რას შრიალებს ეს ვერხვები? სურათი, წვიმის წინ, № 1.

თევზაძე ვ. — ხომალდი, № 5.

მალაზონია ნ. — ავტობუსში, № 3; შენ და მთვარე, მამა, დედა, მამული, სიტყვა, გოგონას, ზღვა, № 4; ამხანაგი და მეგობარი მყავს, მდინარესთან, ტვინი და გული, დრო, უჩინონი, № 6.

მარიჯან — ბეშუმის ცის ქვეშ, რომ გავხედავ, გოდერძის უღელტეხილზე, ნადიმზე, ეთერ-ქალს, № 3.

მელია ი. — ილია ჭავჭავაძეს, სიმღერა თბილისზე, *** (არ მინდა მე სიტყვა...), № 4.

მუავია ქ. — საგაზაფხულო, № 3; ცაცხვების ხეივანი, სურათი მტკვრის სანაპიროზე, წაბლის ხის ნათქვამი, № 5.

რამიშვილი თ. — ერთი შვილით, № 4.

როყვა შ. — არწივები ტვერის ბულვარზე, აეროპორტი, *** (ქარს მიაქვს...), № 5.

რურუა პ. — რამ შეგაყრეოლა, შაბლონს ლექსი თუ აცდება, № 3.

უშვერიძე ი. — გალაკტიონს, ნუ გამიმეტებ..., იცი? № 1; ჭიაკოკონა, ტკბილი ხმები, მე..., № 3; ჩანჩქერი, უეცრად, *** (ახალგაზრდული ელვარებანი), იმ ზაფხულზე, მრისხანე სული, № 4.

ფოცხიშვილი მ. —ქაღალდის ნავები, № 4.

სალუქვაძე გიორგი — სიმღერა ბათუმზე, გაზაფხული, ქარი, ტბას გაეკრა ჩრდილი, მატარებელში, *** (შენ ოქროყანის...), *** (მოღერებული შველივით ყელი...), *** (ბაღის კარებთან...), *** (ფერდობს ანათებს იელი...), № 5.

სალუქვაძე გული — პატარა ლექსები, № 4.

შამანაძე ნ. — საქართველოში იმგვარი მზეა..., № 6.

შუბლაძე შ. — ქაქუთელთა სიმღერა, სიმღერა ხულოზე, № 6.

ჩიტიშვილი შ. — ჩემო მთაო და ზეცაო, *** (უძირო ცა ზღვისფერი), № 4.

ჩიქვილაძე ქ. — დედას, № 1; მშობლიური წყარო, ქარი აშარი, № 5.

ჩხაიძე ა. — თენდება, მამადავითზე, № 1; ჩემო ალუჩავ!, № 4.

ხალვაში ფრ. — ჩადრი, № 3; ატლანტიკაზე, ბროდვეი, სიყვარული მიჩიგანის ტბასთან, ნიაგარას კენჭები, „მთების იმედი“, № 6.

ჯალაღონია ნ. — ლოთს, ქართველი ქალი, მე დამიტოვა მხოლოდ სურათი, № 1; ორი ლექსი, № 4.

ჯაყელი ჯ. — ასე ამბობდა სოფლელი პაპა, ფრთამაღალ საარწივეთო, სიჭაბუკე, № 3; მოდრეკილი სატევარი, № 5.

ჯინჯიხაძე დ. — აკაცია, № 6.

თარგმნილი ლექსები, იგავ-არაკები

ბრიუსოვი ვ. — ასურული ლურსმული წარწერა, პირველყოფილ ადამიანთა სიმღერები, № 6.

კოფშტეინი ა. — ლექსები აკარაზე, № 6.

მიცკევიჩი ა. — ძაღლი და მგელი, № 5.

მოთხრობები, ნოველები, მინიატურები

კაკიტაძე გ. — უსახელო ბარათი, № 5.

ლოლაძე ო. — შერიგება, № 1.

ლორია პ. — მამა, № 3; უცნობის ჩანაწერები, № 6.

მოდებაძე ნ. — ჩემი სახლის პირდაპირ დგას ორი სახლი, № 3; წითელხილაბანდიანი ქალიშვილი, № 4; ის იწევდა მაღლა, მაღლა..., № 5.

რუსიძე კ. — ნიგარი, № 3.

სანადირაძე გ. — სარიდანი, № 4; ყველაზე ლამაზი ზღაპარი, № 5.

ურუშაძე გ. — სარძლოს ღიმილი, № 4.

ყაჭეიშვილი ი. — ქაღალდის ყვავილები, № 6.

შერვაშიძე ა. — მღელვარე დღეები, № 4; მემედი, № 5.

ჭანტურია ვ. — „ქარიშხლის თვალი“, № 4.

ხალვაში ფრ. — მარტში გასროლილი ტყვია, № 1.

ხელაძე ს. — დაბადების დღე, № 5.

თარგმნილი მოთხრობები, ნოველები, მინიატურები

ბაკუნცი ა. — ციცარი, № 1.

დელავრანჩა ბ. — ფანტა-ჩელა, № 3.

კრუშელი ჰ. — ათი ფოთოლი და აღსასრულიც დადგება, № 4.

კუპრინი ა. — სპილო, № 5.

მანი ჰ. — სტერნი, № 5.

პლატონოვი ა. — ბედნიერების პირისპირ, № 3.

უაილდი ო. — ქველმოქმედი, მოქანდაკე, №1.

ქემალი ო. — პატარა ჯამბაზი, № 4.

ჩეხოვი ა. — სტუმარი, წესები დამწყები ავტორებისათვის, ცხოვრება მშვენიერია, № 1.

ჯერომი ჯ. კ. — როგორ დაკარგა ჰერისმა ცოლი, № 5.

დღეები და ადამიანები

სხვიტარიძე რ. — მწვანე ოქროს მაძიებელნი, № 1.

ჩხაიძე ალ. — ძნელი კილომეტრები, № 2; ზღვის კაცი, № 4.

პუბლიკაცია

გალაკტიონ ტაბიძის ერთი უცნობი ლექსი, № 2.

იმედაშვილი ი. — აბაშიძე, ჰაიდარ ალის-ძე, № 3.

მებუკე გ. —გალაკტიონ ტაბიძის ერთი დაუბეჭდავი იუმორისტული ლექსი, № 1.

ფრანგი ორიენტალისტი ბათუმის შესახებ, № 6.

შალვა დადიანის გამოუქვეყნებელი ლეგენდა, № 2.

მწერლის არქივიდან

იოსელიანი შ. — ამ ლექსის ავტორს, თბილისიდან ბათუმამდე, № 3.

მოგონებანი

ჩავლეიშვილი ალ. საუბრები იოსებ გრიშაშვილთან, № 5.

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

აბაშიძე ლ. — მხატვრული სახის ბუნების შესახებ, № 6.

ბოლქვაძე ს. — თვითმომსახურება — შრომითი აღზრდის შემადგენელი ნაწილი, № 3.

დიასამიძე ი. — აკარის კურორტები მიმდინარე შვიდწლედში, № 6.

ვადაკორია ს. — შენიშვნები ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის შესახებ, № 1.

თურნავა ს. — ახალი მასალები „დიდოსტატის მარჯვენის“ ფრანგულ თარგმანზე, № 3.

კალანდაძე შ. — კურორტი ცისკარი, № 4.

კომახიძე დ. — ქალაქ ბათუმის რეკონსტრუქციის პრობლემები, № 2.

ნიუარაძე შ. — ზოგიერთი შენიშვნა „ჩაისა“ და „მევლუდის“ მხატვრული ენის შესახებ“, № 5.

ნუცუბიძე გრ. — დასავლეთის ახალგაზრდობის ტრაგედია, № 2.

სანადირაძე ა. — ნანა გვარიშვილის პოეზია, № 2.

ქურიძე შ. — იოსებ გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკა, № 3; სიცოცხლისა და სიხარულის პოეტი, № 4; ნამდვილი და ყალბი განძი, № 5.

შერვაშიძე ა. — ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიაში, № 1.

ჩავლეიშვილი ალ. — ერთი მოთხრობის ტიპიური პერსონაჟები, № 2; ეგნატე ნინოშვილის ისტორიული რომანის გამოქვეყნების საკითხისათვის, № 4.

ჩხეიძე ნ. — ლიტერატურული სახე და ცნება, № 1.

ხინთიბიძე ტ. — საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების შვიდწლედი, № 1.

ლიტერატურული კალენდარი

ბაბილოძე გრ. — დიდი ქართველი პედაგოგი, № 6.

დუმბაძე ნ. — დიდი ხალხის დიდი მწერალი, № 6.

ქაშიბაძე ი. — სიტყვის გენიალური ოსტატი, № 1.

ცინცაძე მ. — აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკა, № 3.

ხმალაძე პ. — პოეტი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, № 2.

აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავი

აბაშიძე ჰ. — აკაკი და აჭარა, № 6.

დონაძე კ. — რომანტიკული სტილი აკაკის შემოქმედებაში, № 6.

ნაცვალაძე დ. — აკაკი ბათუმში, № 6.

ქიქოძე ბ. — აკაკი წერეთელი და ძველი ქართული ლიტერატურა, № 6.

ქურიძე შ. — აკაკი წერეთელი და ქართველი ქალი, № 6.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

დავითაია ე. — „ოტელო" ბათუმის დრამატულ თეატრში, № 1; „როცა ასეთი სიყვარულია", № 6.

კომისაროვა ქ. — შინაარსიანად და საინტერესოდ, № 5.

წ ი გ ნ ი ს თ ა რ ო

არველაძე ს. — გიორგი ჯიბლაძის „კრიტიკული ეტიუდები", № 1.

ელიზბარაშვილი კ. — ვაჭრობის ისტორიის ღრმად შესწავლისათვის, № 4.

თალაკვაძე ნ. — სიცოცხლის სიმღერა, № 5.

მგელაძე ვლ. — ისტორიული ნარკვევი ბათუმის შესახებ, № 2.

ნიუარაძე შ. — წარმატებითი დებიუტი, № 2.

ნოღაიდელი ნ. — საინტერესო საბავშვო წიგნი, № 1.

სიჭინავა ვ. — საინტერესო გამოკვლევა, № 4.

ღლონტი კ. — საქართველო-ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ, № 4.

ჩახვაშვილი ნ. — წიგნი აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ, № 4.

ცქვიტარია პ. — წიგნი რუსეთის პირველ რევოლუციაზე, № 1.

ხმალაძე პ. — პატრიოტული ლექსები, № 6.

ჯიჯეიშვილი მ. — აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, № 6.

სატირა და იუმორი

ლორია პ. —უცხოელი ჟურნალისტი საქართველოს შესახებ, № 1.

სამსონია ალ. — სტუდენტობა და სიყვარული, № 5.

შუბლაძე შ. — კიბო და ბონის კანცლერი, № 1; შაშვსა ჰკითხეს, გუგული, № 3; დისერტანტი კოდალა, ქურდი, № 5.

ჩხაიძე გრ. — თქვენ რომ ეძებთ, სწორედ ისა ვარ, № 3.

მ ო ბ ზ ა უ რ ი ს ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი

მახარაძე ფ. — თორმეტი დღე ამერიკის შეერთებულ შტატებში, № 4.

1945—1960

გურგენიძე ა. — მარადთოვლიან ალპებში, № 3.

თავაძე ი. — სიკვდილზე ძლიერნი, № 4.

ცერცვაძე ი. — ბრძოლით განვლილი გზა, № 3.

აჭ ა რ ი ს წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

მალაზონია ირ. — ამაგდარი პედაგოგი, № 1.

სიხარულიძე ი. — მონღოლი უფლისწულის ურდო აჭარაში, № 1.

შიშკინა-ახალაძე ა. — ნესტორ კალანდარიშვილის რევოლუციური მოღვაწეობა ბათუმში, № 1.

ცქვიტარია პ. — აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი, № 2; სახელოვანი ბრძოლის ისტორიიდან, № 6.

ს პ ო რ ტ ი

გამრეკელი გ. — ტურნირი დამთავრდა, № 2.

შაშიკაშვილი მ. — ასე იბადება წარმატება, № 1.

ტ ე ქ ნ ი კ ი ს ს ი ა ხ ლ ე ნ ი

მარგველაშვილი ვ. — მშვიდობიანი ატომის ქალაქი, № 4

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/II, 1961 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7 თაბახი. შეკვეთის № 551, ემ 00601, ქაღალდის ზომა 70X108, ტირაჟი 2.000.

***

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.

ფასი 40 კაპ.

6. 3/61

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара"

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ